ჟირინოვსკის კავკასიური ხილვები A3

ფოტორეპორტაჟი A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 28 ივნისი, 2004 წელი. №151 (700)

ფასი 50 თეთრი

# წლის გმირი



*ნატო-ს სამიტზე ჩასულმა საქართველოს პრეზიდენტმა სტამბოლში წლის გმირის წოდება და შიშლის რაიონის ოქროს გასაღები მიიღო.*

სტამბოლში მყოფ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, "წლის გმირის" წოდება მიანიჭეს.

საზეიმო ცერემონია სტამბოლის შიშლის რაიონის მუნიციპალიტეტში გაიმართა. პატივისცემის ნიშნად, შიშლის რაიონის მერმა მუსტაფა სარანგულმა საქართველოს პრეზიდენტს შიშლის რაიონის სიმბოლური გასაღები გადასცა და მიხეილ სააკაშვილს და საქართველოს შემდგომი წარმატებები უსურვა.

მიხეილ სააკაშვილი სტამბოლში ნატო-ს სამიტზე დასასწრებად ჩავიდა, რომელიც 28 ივნისს გაიხსნება და ორ დღეს გაგრძელდება. განხილვის ძირითადი თემები იქნება სიტუაცია ბალკანეთში და ნატო-ს როლი ამ რეგიონში, ნატო-ს ოპერაციების გაფართოება ავღანეთში, ახალი ოპერაციები ერაყში.

რაც შეეხება საქართველოს და კავკასიის რეგიონს, ნატო-ს სამიტზე საუბარი შეეხება რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტების თემას. სამიტის მონაწილეები აცხადებენ, რომ ამ კონფლიქტების მოგვარების საკითხი ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა და ეს სწორედ მიხეილ სააკაშვილისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის დამსახურებაა.

სტამბოლში გამართულ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ კონფლიქტებში რუსეთის ინტერესები იყო ჩადებული და მათ მოგვარებაშიც რუსეთის ხელისუფლების პოზიცია გადამწყვეტი იქნება. საქართველოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ "სამხრეთ ოსეთში" მოვლენები ისე განვითარდება, როგორც აჭარაში, და მოსახლეობა საკუთარ ბედს თავად გადაწყვეტს.

ნატო-ს გაფართოება და ამ ორგანიზაციის როლის გაზრდა სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი მთავარი წანაპირობაა. გარდამავალი დემოკრატიების ინსტიტუტის დირექტორის ბრიუს ჯექსონის შეფასებით, კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის დამკვიდრების პროცესის მთავარი რეჟისორები მიხეილ სააკაშვილი და ილხამ ალიევი იქნებიან.

*24 საათი*

## აჭარის არჩევნების შედეგები დამტკიცდა

გუშინ, გვიან ღამით, აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ შეაჯამა 20 ივნისის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები. არჩევნების საბოლოო შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, შვიდპროცენტიანი ბარიერი ორმა პარტიამ გადალახა: "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა" - 72,01 პროცენტი, "ბერძენიშვილი – "რესპუბლიკელები" – 13,51 პროცენტი.

შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე, აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პროპორციული სიით გასულ დეპუტატთა თანაფარდობა ასე გამოიყურება: "ნაციონალები" – 16 მანდატი, "რესპუბლიკელები – 2 მანდატი. რაც შეეხება მაჟორიტარულ არჩევნებს, თორმეტივე მანდატს "ნაციონალები" დაეპატრონენ.

არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებმა, "რესპუბლიკელებთან" შედარებითაც კი, საკმაოდ მოკრძალებული შედეგი აჩვენეს: "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 5,02 პროცენტი და "დემოკრატიული სიმართლის პარტია" – 4 პროცენტი. ერთპროცენტიანი ბარიერი, მხოლოდ "ლეიბორისტებმა", ბლოკმა "ედპ-ტრადიციონალისტები - ქრისტიან-დემოკრატებმა" გადალახეს. დანარჩენები კი ერთპროცენტიან ბარიერსაც კი ვერ მიუახლოვდნენ.

აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია უახლოეს დღეებში განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომის თარიღს.

*თამარ მჭედლიშვილი*

### ეკონომიკა

## თბილისში დენი უნდა გაიაფდეს!



ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი უკვე დაზუსტებით აცხადებს, რომ დენის ტარიფში "თელასის" კუთვნილი მარჟა უნდა შემცირდეს.

A4

### სამართალი

## როგორი კანონებით იცავენ საქართველოში არასრულწლოვან პატიმართა უფლებებს



სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთხელ მოხვედრილი ადამიანი მეორედ, მესამედ და უფრო მეტჯერაც უბრუნდება თავისუფლების აღკვეთის ადგილს.

A7

### ამინდი

| | 28/6 | 29/6 |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | 20 |
| ქუთაისი | 27 | 24 |
| ბათუმი | 23 | 23 |
| სოხუმი | 23 | 21 |
| ფოთი | 24 | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3270 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4923 |
| რუბლი | 0.0661 |

## ნატო-ს სამიტი - ახალი "ატლანტიციზმის" დასაწყისი?

ხათუნა გაბიევი

ნატო-ს სამიტის დაწყებამდე ორი დღით ადრე, 26 ივნისს ირლანდიაში, დრომოლენდის ციხესიმაგრეში ევროკავშირისა და აშშ-ს სამიტი შედგა. ევროკავშირის მხრიდან სამიტს ესწრებოდნენ ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი, ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე, ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ბერტი აჰერნი, ტრანსპორტისა და ენერგორესურსების კომისიის ვიცე-პრეზიდენტი ლოიოლა დე პალაჩიო, საგარეო ურთიერთობების კომისარი კრის პატენი, ვაჭრობის კომისარი პასკალ ლემი, სამრეწველო პოლიტიკის კომისარი იან ფიგელი, ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა, ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრაიან ქოუენი და ირლანდიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მერი ჰარნი. პრეზიდენტ ბუშთან ერთად კი შეერთებულ შტატებს წარმოადგენდნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, ვაჭრობის დეპარტამენტის მდივანი დონ ევანსი და მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში კონდოლიზა რაისი. სამიტის მთავარ თემებს შეადგენდა ერაყის, ახლო აღმოსავლეთისა და ტერორიზმის საკითხები. ხელი მოეწერა ერთობლივი სატელიტური სანავიგაციო სისტემების (ამერიკული ჯი-პი-ესი და ევროპული "გალილეოს" სისტემა) შესახებ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, ახალი ევროპული თანამგზავრის პროგრამა, ამერიკულ სანავიგაციო სისტემასთან ერთად, მთელ მსოფლიოში სამოქალაქო მიზნებს მოემსახურება. აღნიშნული პროგრამა უმაღლესი ტექნოლოგიების სფეროში ევრო-ამერიკული თანამშრომლობის გაღრმავების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იქნება. ევროკომისიის შეფასებით, "გალილეოს" პროგრამის ამოქმედება ევროპაში დამატებით 150 000 სამუშაო ადგილს შექმნის. ეკონომიკური პარტნიორობისა და ევროატლანტიკური

გაგრძელება A5 გვერდზე

## რევანშის აჩრდილი აჭარაში

ნიკა იმნაიშვილი

ასლან აბაშიძის ოდესღაც ყოვლისშემძლე ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლის დემონსტრაციული ჩასვლა (ერთგვარი "პი-არ დემარში") ბათუმში მხოლოდ ძალზე გულუბრყვილო ადამიანმა შეიძლება ახსნას ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებით, რასაც, თითქოსდა, "პოლიტიკასთან არაფერი ჰქონდა საერთო".

თავისთავად, მოსკოვში გადახვეწილი კლანის მიერ დიანა აბაშიძის შერჩევა ამ კარგად დაგეგმილი პროვოკაციის განსახორციელებლად, შემთხვევითი არ ყოფილა: აჭარის ყოფილი მმართველის ასული მანამდე არასდროს იყო ასოცირებული პოლიტიკურ პროცესებთან და ამდენად, თითქოსდა შესაძლებელი იქნებოდა მისი "დაბრუნების" ჩვეულებრივ ოჯახურ მოვლენად გასაღება. მაგრამ იმავდროულად, ეს იყო მკაფიო "მესიჯი" ასლან აბაშიძის მომხრეებისა და მისი მოსკოველი კურატორებისადმი, რომ აჭარის ყოფილ მბრძანებელს "თამაში" საბოლოოდ წაგებულად არ მიაჩნია და მისი სიტყვები "უახლოეს მომავალში ჩემს ხალხს სიურპრიზს ვუმზადებო", სავსებით კონკრეტული და შორსმიმავალი ინტენციის გამოვლინება იყო.

აქ ხაზი უნდა გაესვას არა მხოლოდ პირადად ასლან აბაშიძის განწყობას (ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ბოღმა და შხამი უტრიალებს გულში, აჭარიდან სამარცხვინოდ გაძევების შემდეგ, "საუკუნოვანი დინასტიის" შთამომავალს), არამედ ზემოხსენებული კურატორებისადმი თავისი "საჭიროების" და "გამოსადეგობის" მუდმივი დადასტურების აუცილებლობასაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის სპეცსამსახურები "ჰუმანიტარული ორგანიზაციები" სულაც არ არიან, რათა მრავალგვარი რესურსები უმიზნოდ და უყაირათოდ ხარჯონ – სპეციფიკური შედეგის გარეშე.

ამ თვალსაზრისით ასლან აბაშიძემ ის ნიშა დაიკავა, რასაც მანამდე იგორ გიორგაძეს აკუთვნებდნენ. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მას საერთოქართულ პოლიტიკაში დაბრუნების სურვილი იმდენად არა აქვს, რამდენადაც აჭარის "აფეთქების" შემძლე დეტონატორად აღიქმება, - რაკი აჭარაში "ბორბლის უკუ დატრიალება" - უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოს ერთადერთი რეალური გამარჯვების წართმევა, ახალი სახელმწიფოებრივი პროექტის სრული დისკრედიტაცია და საბოლოო იმედგაცრუება იქნება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროინტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ფოტორეპორტაჟი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 - B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## საქართველოს მწვანეებში განხეთქილებაა

### რაიონული ორგანიზაციები გიორგი გაჩეჩილაძის გადადგომას მოითხოვენ



ვახო ხაინდრავა ფოტო

*გაჩეჩილაძის მოწინააღმდეგეთა შორის მრავლად იყვნენ ცნობილი სახეები.*

"საქართველოს მწვანეებმა" მათი უმთავრესი დევიზის – "ეკოლოგია, დემოკრატია და არაძალადობა" - დაცვისათვის ბრძოლა დაიწყეს. უპირველესად კი, ამ პროცესების დამაბრკოლებელი ძალის, "მწვანეთა პარტიის" თავმჯდომარის გადაყენება გადაწყვიტეს.

იერდაკარგულ მუშთაიდის ბაღში შეკრებილი "საქართველოს მწვანეთა მოძრაობის" 27 რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მათ დამფუძნებლებთან ერთად, გუშინ ათკაციანი პოლიტიკური კომიტეტისა და მათი თავმჯდომარის, გიორგი გაჩეჩილაძის გადადგომას მოითხოვდნენ, მიზეზად კი მის პოლიტიკურ, თანაც არასწორ გადაწყვეტილებებს ასახელებდნენ.

როგორც გახსოვთ, "ვარდების რევოლუციამდე" "საქართველოს მწვანეთა პარტია" ედუარდ შევარდნაძის სამთავრობო ბლოკში გაერთიანდა და პარლამენტის რიგებში მოხვედრა მოისურვა. მაშინ ამ გადაწყვეტილებას გაჩეჩილაძე იმით ხსნიდა, რომ მთავრობასთან კონსტრუქციული თანამშრომლობა და ბუნების დაცვა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან უფრო ადვილი იქნებოდა. დღეს კი, "საქართველოს მწვანეები" (რასაკვირველია, გიორგი გაჩეჩილაძის გარდა) სწორედ ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, ქვეყნის ახალი ხელისუფლებისადმი უდიდეს სიმპათიებს ამჟღავნებენ და მასთან თანამშრომლობის სურვილს გამოხატავენ.

შეკრებილთა შორის საკმაოდ მრავლად იყო ცნობილი სახეები, მათ შორის - პეტრე მამრაძე, შალვა ოგბაიძე, როზა ლორთქიფანიძე და სხვები, ანუ "საქართველოს მწვანეების" დამფუძნებლების დიდი ნაწილი, რომლებიც პოლიტიკური განცხადებებისგან თავს იკავებდნენ და ყველა მათგანი, ამდენი ხნის შემდეგ, საქართველოს ბუნების გადარჩენაზე საუბრობდა.

**"საჭიროა მწვანეთა მოძრაობის რეორგანიზაცია და ყველა რეგიონში უნიკალური ბუნების შენარჩუნებისთვის ბრძოლა,"** – აღნიშნა სახელმწიფო კანცელარიის აპარატის ყოფილმა ხელმძღვანელმა პეტრე მამრაძემ.

მუშთაიდის ბაღში შეკრებილთა შორის, ყველაზე მეტად მაინც პარტიის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნოდარ ცინცაძე აქტიურობდა, რომელიც უახლოეს წარსულში, პარტიის დისკრედიტაციის მცდელობისათვის გათავისუფლდა თანამდებობიდან. როგორც შემდგომ გაირკვა, აჭარის მოვლენებამდე ცინცაძე, მთელ რაიონულ ორგანიზაციასთან ერთად, ასლან აბაშიძის ოპოზიციონერი გამხდარა და "ჩვენი აჭარის" რიგებში ჩაწერილა, რამაც თავისთავად "მწვანეთა პარტიის" პოლიტიკური კომიტეტის და მისი თავმჯდომარის უკმაყოფილება გამოიწვია.

როგორც ნოდარ ცინცაძემ აღნიშნა, **"გიორგი გაჩეჩილაძე ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის ნარჩენია, რომლისგანაც აუცილებლად გათავისუფლებაა საჭირო."**

ყველაფერი ეს კი უდიდეს გაკვირვებას და უკმაყოფილებას იწვევს თავად გიორგი გაჩეჩილაძეში.

**"ამ ამბების გაგების შემდეგ ძალიან დაბნეული ვარ, ვერ გამირკვევია, რა ხდება, ან რატომ. თუმცა, აშკარაა, ამ პიროვნებების უკან ვიღაც დგას, მაგრამ რა უნდა, ვერ ვხვდები,"** – განაცხადა "24 საათთან" ინტერვიუში გიორგი გაჩეჩილაძემ.

"საქართველოს მწვანეთა" ლიდერი "ამ მისთვის უცნობი ხალხის" მოთხოვნებს აბსურდულს უწოდებს და თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

**"ჩვენი პარტია თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება, მათი მოთხოვნა კი სისულელეა,"** – აღნიშნა მან.

*ნინო გომართელი*

## ფინანსთა მინისტრის ვიზიტი ქვემო ქართლში

გუშინ ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ქვემო ქართლის გუბერნატორთან სოსო მაზმიშვილთან ერთად წითელი ხიდისა და სადახლოს საბაჟო-გამშვები პუნქტები მოინახულა. შემდეგ მან რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციასა და საფინანსო პოლიციაში მოკლე თათბირები ჩაატარა, ხოლო სამხარეო ადმინისტრაციაში რაიონების გამგებლებს შეხვდა.

"წითელ ხიდზე შემოსავლების ამოღების მაჩვენებელი სამჯერ არის გაზრდილი, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია, რომ აღიკვეთოს ის, რაც ადრე ხდებოდა - კონტრაბანდის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით შემოსვლა," - განაცხადა ნოღაიდელმა.

"საბაჟოს აღარ ვენდობი. ეს უწყება წითელ ხიდზე აბსოლუტურად არ მუშაობს. მებაჟეები ხშირად არიან ნასვამ მდგომარეობაში და თუ ფული ვერ აიღეს, იმ დღეს გაკარგულად თვლიან. მათი მეოხებით, წითელი ხიდის საზღვარი სახელმწიფოში კი არა, ბანანის რესპუბლიკაში შემოსასვლელს ჰგავს," - ეს განცხადება პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში სოსო მაზმიშვილმა ერთი კვირის წინ გააკეთა. იქვე ის აცხადებდა, რომ სიტუაციის გამოსასწორებლად მებაჟეების შეცვლა იყო საჭირო.

გუშინ ფინანსთა მინისტრმა გამორიცხა უახლოეს პერიოდში ქვემო ქართლის მასშტაბით საბაჟოებზე ან თუნდაც საგადასახადო ინსპექციებსა და საფინანსო პოლიციაში რაიმე საკადრო ცვლილებების გატარების ალბათობა. ზურაბ ნოღაიდელმა დადებითად შეაფასა ფინანსური პოლიციისა და საგადასახადოს მუშაობა.

ფინანსთა მინისტრის თქმით, ბოლო თვენახევრის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით სერიოზული ანტიკონტრაბანდული ღონისძიებები გატარდა, კერძოდ - აჭარაში, კახეთსა და ქვემო ქართლის მიმართულებით; საკმაოდ დიდი შედეგი გამოიღო ერგნეთის დაკეტვამ.

"ამა ყველაფრის შედეგს ყოველდღიურ შემოსავლებში ვხედავ. ნავთობპროდუქტების და სხვა პროდუქციის ლეგალიზებამ უკვე მოგვცა დადებითი შედეგი. ახლა კმაყოფილები ვართ, თუმცა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია არა მიღწეულით დაკმაყოფილება, არამედ ის, რომ ყველა მზად იყოს მომავალ 6 თვეში უფრო დიდი და უფრო მნიშვნელოვანი გეგმების შესასრულებლად," - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

*მაია მოსიაშვილი*

## კონფლიქტის ზონაში ოსებს მკაცრი კონტროლი აქვთ დაწესებული

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის ჯარისკაცებმა გუშინ დილით, ფრონეს ხეობის სოფელ გუგუთში, ანძის აღსადგენად მიმავალი ტექნიკური ჯგუფის წევრები დააკავეს და თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ მისცეს.

როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა განაცხადა, ტექნიკური ჯგუფის ორი ინჟინერი ოს სამხედროებს რამდენიმე საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული და საბოლოოდ, დანიშნულების ადგილამდე მისვლის საშუალება მაინც არ მისცეს. ტექნიკური პერსონალი სოფელ ავნევში დაზიანებული ანძის შესაკეთებლად მიდიოდა.

გუშინ დილითვე, რამდენიმესაათიანი დაკავების შემდეგ, ოსმა სამართალდამცველებმა ცხინვალის ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარე იოსებ ვახტანგიშვილი და მისი თანმხლები ამერიკელი ჟურნალისტი გაათავისუფლეს. მათ ოსი სამართალდამცავები საზღვრის უკანონო გადაკვეთაში ადანაშაულებდნენ.

ამ დროისათვის დე ფაქტო ხელისუფლებას ცხინვალის მიმართულებით ყველა შესასვლელზე ისევ მკაცრი კონტროლი აქვს დაწესებული.

*პრაიმ-ნიუსი*

## ბრალდებულ მინისტრს გამოკვლევას კიდევ ჩაუტარებენ

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას მეშვიდე საპყრობილედან სამედიცინო გამოკვლევებისთვის კარდიოლოგიურ კლინიკაში დღეს გადაიყვანენ. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესების გამო გუშინ ექიმთა კონსილიუმი შედგა. ბიუჯეტისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის ბრალდებულ ყოფილ მინისტრს ბოლო სამი დღის განმავლობაში რამდენჯერმე გაუმეორდა სტენოკარდიული შეტევა, რის გამოც, მეშვიდე საპყრობილესთან ბოლო დღეებში რამდენიმე სამედიცინო ბრიგადა იყო გამოძახებული.

მირცხულავას ოჯახის წევრები დარწმუნებულები არიან, რომ გამოკვლევის შემდეგ ბრალდებულს, რომლის საჩივარიც სტრასბურგის სასამართლომ წარმოებაში მიიღო, ისევ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დააბრუნებენ.

როგორც დავით მირცხულავას ინტერესების დამცველი და ოჯახის წევრები აცხადებენ, ბრალდებულს, რომლის სასამართლო პროცესიც უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს, გამოკვლევა რამდენიმე სპეციალიზებულ საავადმყოფოში ესაჭიროება. შეგახსენებთ, დავით მირცხულავას საქმის გამოძიება უკვე დასრულდა. ბრალდებული მინისტრი უახლოეს ხანში სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს.

*24 საათი*

## აზოტელები ურეკის პანსიონატ "მაგნეტიტს" არ თმობენ

დაბა ურეკში სააქციო საზოგადოება "აზოტის" ბალანსზე მყოფი პანსიონატი "მაგნეტიტი" ოზურგეთის რაიონის ქონების მართვის სააგენტომ გასული წლის შემოდგომაზე ტენდერით გაასხვისა. "მაგნეტიტი" ვინმე ვ. ბერიძემ 167 ათას ლარად შეიძინა, მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი პანსიონატის რეალურ მფლობელად ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი დასახელდა.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ "აზოტის" 1500-ზე მეტმა თანამშრომელმა მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიას და ნინო ბურჯანაძის სახელზე მიმართვა გააკეთა, სადაც ისინი კანონდარღვევით გასხვისებული "მაგნეტიტის" უკან დაბრუნებას ითხოვდნენ. ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა რეხვიაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ტენდერის გაუქმების თაობაზე, რაც მყიდველმა ვ. ბერიძემ სასამართლოში გაასაჩივრა. როგორც "აზოტის" პროფკავშირების თავმჯდომარე აცხადებს, სასამართლო სარჩელის განხილვამდეც ვერ მივიდა, რადგან ეკონომიკის სამინისტროსა და ბერიძეს შორის გარიგება შედგა - ბერიძემ გამოიტანა სარჩელი, ხოლო სამინისტრომ ტენდერის შედეგი კვლავ კანონიერად ცნო.

ეს გარიგება "აზოტის" მუშა-მოსამსახურეებმა და დაბა ურეკის მაცხოვრებელთა ნაწილმა ნეიტრალურ უწყებაში - აფხაზეთის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს.

რამდენიმე დღის წინ სასამართლომ განიხილა სარჩელი და დააკმაყოფილა მოსარჩელე აზოტელებისა და ურეკელების მოთხოვნა. სასამართლომ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია ეკონომიკის სამინისტროს მიერ აქამდე წარმოდგენილი პრივატიზების პირობების იურიდიული დასაბუთება და დაავალა მას, ხელმეორედ წარმოადგინოს ის. ასევე სამინისტროს დაევალა კიდევ ერთხელ გადაიხედოს უკვე განხორციელებული პრივატიზაციის კანონიერება.

როგორც "აზოტში" აცხადებენ, მათ უკვე დაწყებული აქვთ ახალი სარჩელის მომზადება, სადაც ისინი იმ ტენდერის შედეგების გაუქმებას მოითხოვენ, რომლის მიხედვითაც "მაგნეტიტი" უკანონოდ გასხვისდა.

აზოტელები, საკუთარი აქტიურობის წყალობით, მიმდინარე საკურორტო სეზონზე კიდევ შეძლებენ "მაგნეტიტში" დასვენებას. შემდეგ კი სასამართლო გადაწყვეტს, კვლავ წავლენ შეღავათიან ფასებში რუსთაველი ქარხნის მუშები ურეკში თუ არა.

*მაია მოსიაშვილი*

## არძინბას ნათესავს თავს დაესხნენ

სოხუმში თავს დაესხნენ ვლადისლავ არძინბას ბიძაშვილს ქემალ არძინბას. მას რამდენიმე ტყვია ხელში აქვს მოხვედრილი.

ქემალ არძინბა იქაურ პოლიტიკურ წრეებთან არცთუ დაახლოებული პირია და ამიტომ, როგორც ვარაუდობენ, მასზე თავდასხმა უფრო ბიზნესთან და ბიზნესში გავლენის სფეროების გადანაწილებასთან არის დაკავშირებული. იგი საკმაოდ დიდ წილს ფლობს სიგარეტის, ღვინის, ნავთობისა და ხე-ტყის წარმოებაში.

ქემალ არძინბა ბიზნეს-პარტნიორი იყო აკა არძინბასი, რომელიც დაახლოებით წელიწადნახევრის წინათ სოხუმში მოკლეს.

*მედია-ნიუსი*

## სომხეთი საარჩევნო ურნებს ითხოვს



*ასეთი საარჩევნო ყუთებიდან 114 დაიკარგა.*

სომხეთის რესპუბლიკა სამგზის არჩევნებგამოვლილი და "ვარდების რევოლუციის" ძირითადი მაპროვოცირებელი საარჩევნო ურნების დაბრუნებას ითხოვს, რომელიც ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს გვათხოვა.

ევროპის სტანდარტების შესაბამისი ათასი გამჭვირვალე ურნა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის საზეიმოდ გადმოეცა საქართველოს. კმაყოფილი იყო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და ქვეყნის მთავრობაც. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ამ "ევროურნებში" ამომრჩევლების მიერ ჩაყრილი ბიულეტენები საქართველოში პოლიტიკურ ვითარებას რადიკალურად შეცვლიდა.

როგორც ჩანს, ამ ისტორიულ ურნებს ჩვენი მეზობლებისთვისაც დაედო ფასი, რადგან როცა ნათხოვარი უკან დაუბრუნდათ, აღმოაჩინეს, რომ 114 ურნა აკლდა და ხმაურიც ატეხეს.

რამდენიმე დღის წინ, სომხეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა სპეციალური განცხადება: **"საქართველომ დაგვიბრუნა 886 საარჩევნო ურნა, რომელიც ჩვენ მათ დროებით, არჩევნების ჩატარებისთვის ვათხოვეთ, დანარჩენი 114 ურნის ბედი კი უცნობია"**.

რაც შეეხება ქართულ მხარეს და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალ ხელმძღვანელობას, ის მზადაა დაკარგული ურნებისთვის კომპენსაცია გადაიხადოს, მაგრამ დაკარგვის ფაქტზე პასუხისმგებლობას მაინც შევარდნაძის დროინდელ ცესკო-ს აკისრებს.

**"სომხეთისგან ათასი ურნა საქართველომ, ეუთო-ს დახმარებით, 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის მიიღო. ზოგი ურნა დაიმტვრა, ზოგი გაიტაცეს, ზოგიც წყალში აღმოჩნდა,"** – განაცხადა ჩვენთან საუბარში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ ნონიკაშვილმა.

ალბათ, წარსული არჩევნების გამოცდილების მაგალითზე, ქართულმა მხარემ ნათხოვარი ურნები სადაზღვევო კომპანიაში დააზღვია. ამიტომ, დაახლოებით 5 ათასი აშშ დოლარის გადახდა არა ცესკო-ს, არამედ კომპანია "იმედი ელ"-ს მოუწევს, მაგრამ აქ კიდევ ერთი პრობლემა ჩნდება, - სომხეთს არა ფული, არამედ თავისი ურნები უნდა.

**"ჩვენ მზად ვართ, სომხეთს დაკარგული ურნებისთვის კომპენსაცია გადავუხადოთ. მაგრამ არ ვიცით, სად გადავრიცხოთ ეს ფული, რადგან აქამდე არანაირი ოფიციალური მოთხოვნა ან განცხადება არ მოსულა. როგორც ირკვევა, სომხეთის ცესკო-ს არა თანხის, არამედ ყუთების მიღება სურს,"** – ამბობს ნონიკაშვილი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ურნების პრობლემის მოგვარებას და სომხეთის საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებას უახლოეს დღეებში აპირებს, **"მორიგი განცხადებების თავიდან ასაცილებლად"**.

*ნინო გომართელი*

## სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად

პარლამენტარი ვალერი გელბახიანი სპეციალური დადგენილების მიღების ინიციატივით გამოდის, რომლითაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს მომხმარებელთან ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებას დაავალდებულებს.

როგორც გელბახიანმა განაცხადა, ამ შემთხვევაში კომპანიები კარგი გადამხდელი მომხმარებლის წინაშე პასუხისმგებლობას იგრძნობენ. "ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის სანქციები იქნება განსაზღვრული. ენერგოკომპანიამ უნდა იცოდეს, რომ თუ გადამხდელ მომხმარებელს ელექტროენერგიას არ მიაწვდის, დაჯარიმდება და იზარალებს," - განაცხადა გელბახიანმა. მისი თქმით, ამჟამად ელექტრომომარაგებაზე პასუხს არავინ აგებს, რადგან ენერგოორგანიზაციები არსებულ კრიზისს ერთმანეთს აბრალებენ.

"მომხმარებელი ზარალდება, ამის კომპენსირებას კი ვერავინ ახერხებს," - აღნიშნა პარლამენტარმა. ვალერი გელბახიანი საჩხერის მაჟორიტარი დეპუტატია. საჩხერის რაიონი ერთ-ერთი ასპროცენტიანი გადამხდელი იყო, თუმცა ექვსი თვეა, ელექტროენერგიის საფასურს ცუდად იხდის. "როცა გადახდის მაჩვენებელი 100 პროცენტი იყო რაიონს დენი არ ჰქონდა. ამიტომ გადახდის აზრს მოსახლეობა ვერ ხედავს," - განაცხადა გელბახიანმა.

*ინტერ-პრესი*

## ცხინვალის ჩაკეტვას ადგილობრივი მოსახლეობა აპროტესტებს

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში შესასვლელ-გასასვლელი გზები, რომლებიც ედუარდ კოკოითის ბრძანებით 27 ივნისს ჩაიკეტა, შესაძლოა, 29 ივნისს გახსნას. ამის მიზეზად მოსახლეობის უკმაყოფილება სახელდება.

რაც შეეხება ცხინვალის დევნილობაში მყოფი ახალგაზრდული დეპარტამენტის ხელმძღვანელს იოსებ ვახტანგაშვილს, მის თანმხლებ ამერიკელ ჟურნალისტსა და თარჯიმანს, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების უშიშროების სამინისტროში ექვსსაათიანი პატიმრობის შემდეგ, ისინი უკვე გაათავისუფლეს. სამივე მათგანი სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის "საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის" ბრალდებით დააკავეს.

*მედია-ნიუსი*

## ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსის გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) გამოხმაურება

"24 საათის" შაბათის ნომერში გამოქვეყნდა წერილი "ართქმა უფრო დიდი დანაშაულია", რასაც მკითხველის უდიდესი დაინტერესება და გამოხმაურება მოჰყვა. წერილი რედაქციისთვის თვით მეუფე გრიგოლს არ მოუწოდებია. გამოქვეყნების შემდეგ მეუფე რედაქციაში დაგვიკავშირდა და განაცხადა, რომ მოხდა სამწუხარო გაუგებრობა. წერილი განკუთვნილი იყო მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქისათვის და ავტორი მის საჯაროდ გამოქვეყნებას არ აპირებდა, რადგანაც არასწორად მიაჩნია მის უწმინდესობასთან გაზეთის საშუალებით საუბარი და თვლის, რომ ეს მხოლოდ შეუშლის ხელს გარკვეული საკითხებისა და პრობლემების მოგვარებას.

## ქიზიყში ალოობა დაიწყო

*კახეთის რეგიონში ალოობა დაიწყო. თუმცა, როგორც ქიზიყელი გლეხები ამბობენ, თუ მთავრობამ მათთვისაც არ მოიცალა და სასუქით მაინც არ დაეხმარა, შესაძლოა, გაისად, ოდითგანვე ხორბლის სიუხვით განთქმულმა ქიზიყმა მარცვლეული კულტურის გაშენებას თავი დაანებოს: "ხელისუფლებას გლეხი არ აინტერესებს, მიწა და ხალხი კი შველას ითხოვს", - აცხადებენ სიღნაღელი გლეხები. ყანების გაჭრის ცერემონიალში მონაწილეობა სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შერვაშიძემ და მხარის გუბერნატორმა პეტრე ცისკარიშვილმა მიიღეს.*

იმ ფერმერთა დიდი ნაწილი, რომელსაც მარცვლეული მოჰყავდა, დღეს იძულებულია სხვა მეურნეობას მიჰყოს ხელი. არასახარბიელო კლიმატურ პირობებს ხელისუფლების უყურადღებობაც ემატება. **"მარტო რომ ტრაბახობენ, მაგარი რესურსების მქონეა საქართველოო, რატო ხალხზე არ ზრუნავს მთავრობა? -** კითხულობს ქიზიყელი 70 წლის ნემო კახოიძე, რომელიც, როგორც თავად ამბობს, 18 წლის ასაკიდან თესავს და უვლის პურს, - **უწინ, შვილო, მიხაროდა მიწასთან მუშაობა, ხლა კი ბუნებამაც გაგვწირა და არავის აღარ აინტერესებს გლეხი, შრომის ინტერესი დამეკარგა. თუ უწინ 1 ჰექტარზე 2 ტონა ხორბალს ვიღებდით, ახლა 150-200 კილოზე მეტს ვერ ვიმკით. იქნებ ახლა მაინც მოგვაქციონ ყურადღება. ათ წელზე მეტია, რაც სასუქი არ დაგვიყრია ნაკვეთებში, რადგან ფიზიკურად არ არსებობს. ჩვენ სასუქის სამადლოდ ჩუქება კი არ გვინდა! იმ საბაზრო ფასში შევისყიდით, რაც საწარმოს ან ქარხანას დაუჯდება. ხელისუფალთ დახმარებას ამისათვის ვთხოვთ,"**

გარდა სასუქისა, გლეხებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას საწვავიც წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც "დიზელის" საწვავზე ფასები გაიზარდა, მოსახლეობის უმრავლესობამ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები ვერ დაამუშავა.

პრობლემების მოგვარებას კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მთავრობა უახლოეს მომავალში გეგმავს. ერთადერთი საკითხი, რაც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ფერმერებს მოუგვარა, იაპონიის მთავრობის მიერ ნაჩუქარი 130 კომბაინის და სხვა სასოფლო სამეურნეო ტექნიკის უსასყიდლოდ მოხმარებაა, თუმცა გლეხებს გარკვეული თანხის - ჰექტარზე 40 ლარის გადახდა მაინც უწევთ: **"აღნიშნული გადასახადი ისევ ამ ტექნიკის შეკეთებას მოხმარდება, რადგან კომბაინის სათადარიგო ნაწილები ძვირი ღირს,"** - განუცხადეს "24 საათს" სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე პრობლემების დასაძლევად მოლაპარაკებებს, როგორც თავად აცხადებს, "იტერას" წარმომადგენლებთან აწარმოებს: **"ინტენსიურად ვმუშაობთ "იტერასთან". ვთხოვთ, რომ საწარმომ სასუქებზე ფერმერებისთვის გარკვეული ფასდაკლება დააწესოს, რისი იმედიც გვაქვს,"** - განაცხადა სიღნაღში ალოობაზე ყოფნის დროს დავით შერვაშიძემ. კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი კი ირწმუნება, რომ სასუქით იგი რეგიონს მომავალი კვირიდან მოამარაგებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ამ პრობლემების გარდა, ხორბლის სათესლე მარცვლის გაუმჯობესებას და ევროსტანდარტებთან გათანაბრებას გეგმავს. **"ამ დროისთვის უნდა ითქვას, რომ მარცვალი, რომელიც ჩვენ მივიღეთ სტანდარტებს ესადაგება, თუმცა ამით მე კმაყოფილი არა ვარ,"** - ამბობს მინისტრი.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს ხორბლის მოსავალი არც თუ ისე სახარბიელოა, მაგრამ ამ პირობებშიც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ხორბლის რეალიზაციის საკითხი, რადგან, როგორც ქიზიყელები ამბობენ, **"ამ დროს მაფიოზური კლანები ერთად იკვრებიან და ფასს დაბლა სწევენ, რათა მათი ბიზნესი წარმატებული იყოს, გლეხის მდგომარეობა კი სულაც არ ადარდებთ."** კახეთის გუბერნატორი კი მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია, რადგან ამ სეზონზე კაჭრეთის წისქვილკომბინატი გაიხსნება, მომავალ წელს კი წნორის საწარმოც ამუშავდება.

**ზვიად რუაძე, კახეთიდან**

## "რესპუბლიკელები" ხაბაზისთვის ხმის მიცემას არ აპირებენ

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ჯერჯერობით, "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარის" საარჩევნო სიის პირველი ორი ნომრის, მიხეილ მახარაძისა და კობა ხაბაზის კანდიდატურები განიხილება.

"რესპუბლიკური პარტია" თავისი კანდიდატის დასახელებას არ აპირებს. როგორც პარტიის ლიდერი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, უზენაეს საბჭოში ისინი უმცირესობაში არიან და კანდიდატურის დასახელებას, უბრალოდ, აზრი არ აქვს, თუმცა "რესპუბლიკელები" კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებენ და მიხეილ მახარაძეს დაუჭერენ მხარს.

"კობა ხაბაზს უმაღლესი განათლების დიპლომი არ აქვს და, უხერხულია, უზენაეს საბჭოს, სადაც რამდენიმე მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია, ასეთმა პირმა უხელმძღვანელოს," - აცხადებს ბერძენიშვილი.

აჭარის უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც თავმჯდომარეს აირჩევენ, კანონის მიხედვით, აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებიდან, ანუ 20 ივნისიდან ერთ თვეში უნდა დანიშნოს. როგორც აჭარის უსკო-ს მდივანი გიორგი მჭედლიძე აცხადებს, კომისია არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებას 28 ივნისისთვის აპირებს და, შესაძლოა, უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომის თარიღიც ამ დროისთვის გახდეს ცნობილი.

*მედია-ნიუსი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ძღვენი საქართველოდან

დალი კუპრავა

*შაბათს, 26 ივნისს, როცა თბილისში საზოგადოების ერთი ნაწილისთვის დღის მოვლენა მაკლაფლინი იყო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აზერბაიჯანში აქცია მოაწყო - ბელაქნის, ზაქათლისა და კახის რაიონების თორმეტივე ქართულენოვანი სკოლა სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით და მხატვრული ლიტერატურით დაასაჩუქრა. ამ ნაბიჯით საინგილოს ყველა ქართულენოვანი მოსწავლე ძირითადი სახელმძღვანელოებით ასი პროცენტით დაკმაყოფილდა. სასწავლო ნივთები საჩუქრად აზერბაიჯანულენოვანმა მოსწავლეებმაც მიიღეს. საჩუქრებში ქალბატონ სანდრა რულოვსის გაგზავნილი ყუთებიც იყო. ძღვენით დატვირთულ საქართველოს დელეგაციას აზერბაიჯანის განათლების მინისტრმა მისირ მარდანოვმა უმასპინძლა.*



*განათლების მინისტრმა კახის წმინდა გიორგის ეკლესიას საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაგზავნილი ხატი ჩაუტანა.*

აზერბაიჯანში აპრილის ვიზიტის შემდეგ განათლების და მეცნიერების სამინისტრომ საინგილოს სკოლებისთვის ბიუჯეტიდან გამოყო 53 000 ლარი და 15 000-მდე სახელმძღვანელო შეისყიდა. ამას გარდა საჭირო შეიქნა სასკოლო თვალსაჩინოებების მინიმალური ასორტიმენტისათვის 16 000 ლარი და ქართული მხატვრული ლიტერატურა სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის, რაც საქართველოს საზოგადოებამ უზრუნველყო - საქართველოს გამომცემლებმა, განათლების მუშაკთა პროფკავშირმა, "თიბი-სი" ბანკმა, "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ", ხელოვნების და მოდელების კავკასიის სააგენტო სარეკლამო AMCA-მ, საქველმოქმედო ფონდმა "ქართუმ". სამინისტრო განსაკუთრებულად აღნიშნავს საქართველოს იმ მოქალაქეების ღვაწლს, რომლებმაც აზერბაიჯანის ქართულენოვანი სკოლების ბიბლიოთეკებისთვის წიგნები პირადი ბიბლიოთეკიდან გაიღეს.

დელეგაციამ კახის წმინდა გიორგის ეკლესიას საქართველოს საპატრიარქოს მიერ გაგზავნილი ხატი ჩაუტანა - ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება.

თუ ივნისის ვიზიტის შემდეგ მოსწავლეები სასწავლო პროცესისთვის უკვე მზად არიან, აზერბაიჯანის ქართულენოვანი მოქალაქეების ზოგადი პრობლემები ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. მართალია, აპრილში "თავისიანს" დანატრებულმა მოსახლეობამ განათლების მინისტრს თავისი სატკივარი გაუმხილა, მაგრამ ივნისის შეხვედრაზე ამ პრობლემებს უფრო მეტი მსმენელი ჰყავდა: პარლამენტარები, საზოგადოების და მასმედიის წარმომადგენლები.

ალიაბადელი გამგებლის თავნებობა, რომელიც მშობლებს ნებას არ რთავს ახალშობილს სახელი თავისი ნებით დაარქვას, აზერბაიჯანის განათლების მინისტრმა მისირ მარდანოვმაც კონსტიტუციის დარღვევად ცნო. როგორ შეიცვლება სიტუაცია და ასწავლის თუ არა ჭკუას ზაქათლელ "ციციკორეს" კანონი, მოკლე ხანში გამოჩნდება.

საქართველოში მიღებულ განათლებას გვიწუნებენ და სამსახურში არ გვიღებენო, - თქვეს ბელაქნელმა და ზაქათლელმა მოქალაქეებმა, რაც ასევე კონსტიტუციური უფლებების დარღვევაა.

საქართველოში გადასასვლელად საზღვარზე დიდ ხარჯიანობას ჩივიან, მიწების უსამართლოდ დასაკუთრებას... კახში წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვაზე მოსულმა ბავშვებმა კი თავისი სურვილი გამოხატეს: რატომ გვქვია აზერბაიჯანულად "კახ ინგილო სანდი (დასახლება)"? "კახ გურჯი სანდი" უნდა ეწეროს, რადგან ჩვენ ინგილოები კი არა, ქართველები ვართო.

**P.S.** ავტობუსში ვან გოგი არა, მაგრამ ზეთში შესრულებული ქურმუხის ტაძრის პეიზაჟი კი იდო, რომელიც საინგილოში მინისტრს აჩუქეს.

# ჟირინოვსკის კავკასიური ხილვები



რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

"საქართველოზე უკვე იმდენი აზრი მაქვს გამოთქმული, რომ პრესსამსახურს ახლა დავავალებ კრებულის მომზადებას" – იქადნება ვლადიმირ ჟირინოვსკი.

"სამხედრო ბაზების გატანის მოთხოვნა შეცდომაა, რადგანაც რუსეთს კავკასიაში ძალთა ბალანსი ხელიდან ეცლება. ინგუშეთის შემდეგ პუტინს ბაზების გატანაზე საუბარიც არ სურს. რამდენიმე დღის წინ რუსეთი კავკასიაში დიდ ომს გადაურჩა, ცინიკური იყო ამ დღეს თქვენი დელეგაციის მოსკოვში ჩამოსვლა ბაზების გატანის მოთხოვნით," – ასეთია ვოლფოვიჩის ტრადიციული შეფასება, რომელშიც გარკვეულწილად კრემლის პოზიციაც გამოსჭვივის.

**- რუსეთი ამერიკელ პარტნიორებთან უშიშროების საკითხებში თანამშრომლობს. რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება საქართველოს?**

- საქართველოში დღეს რაიმე უფლებებზე საუბარი ზედმეტია, რადგანაც თქვენ საკუთარი სურვილით მიდიხართ უფსკრულისკენ. ამის უფლება თუნდაც იმიტომ არა გაქვთ, რომ საქართველო მუდამ რუსეთის კოლონია იყო და მის ხელში ყვაოდა. ახლა ამერიკის კოლონია ხართ, თანაც - რუსეთის წინააღმდეგ განწყობილი. თქვენ ხვალ იქნებით აშშ სამხედრო ფილიალი, საიდანაც ნატოს თვითმფრინავები დაბომბავენ ირანს, ერაყს, ავღანეთს. აშშ-ს ეკონომიკური ძლიერება უახლოეს ათ წელიწადში დაემხობა. რუსეთი კი აყვავებული იმპერია იქნება. ამიტომ ნუ მოითხოვთ უახლოეს ათ წელიწადში რუსეთის გაგდებას.

**- რატომ არ აკრიტიკებთ რუსეთის ხელისუფლებას, როცა იგი, მაგალითად, ნატო-სთან აქტიურად თანამშრომლობს?**

- ეს კრემლის შეცდომაა. რაღაც ძალები ლობირებას უწევენ ნატო-ს რუსეთში. ამიტომ ამერიკა აქტიურად გეხმარებათ ეთნოკონფლიქტების მოგვარებაში, რათა სულ მალე საქართველო ნატო-ს სამხედრო ბაზად გადააკეთონ ახლო აღმოსავლეთის წინააღმდეგ საომრად.

**- რამდენად იზიარებთ მოსკოვში გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს მოსკოვი და ვაშინგტონი შეთანხმდნენ, რომ პოლიტიკური პროცესები საქართველოში ამერიკამ მართოს, ეკონომიკა კი რუსეთმა?**

- რუსეთს არაფერი არ გამოუვა. ყველა პროცესი აშშ-ს ორბიტაშია მოქცეული. ხელფასები ვაშინგტონიდან წამოვა, რათა ბაქო-ჯეიჰანის მილი დაიცვან.

**- კახა ბენდუქიძის ფაქტორი არ შეასრულებს დადებით როლს საქართველოს ეკონომიკის აღმავლობაში?**

- კახას, სამწუხაროდ, არაფერი გამოუვა. უახლოეს მომავალში დაგეგმილია მისი გაპრემიერება. მისი ფაქტორი დადებითი იქნებოდა მაშინ, თუკი ახალი საწარმოები, ახალი სამუშაო ადგილები გაჩნდებოდა, სადაც სამუშაო ენა რუსული იქნებოდა. კახას ამის გაკეთების საშუალებას არ მისცემენ და იგი მალე უკან გამოიქცევა. მან უკვე იცის, რომ თუკი დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება, ქართველები მაინც ამერიკელ ჯარიკაცებს მოემსახურებიან.

**- თქვენ ერთხელ თქვით, რომ საქართველოს ხსნა იქ პრორუსული ლიდერის მოსვლა იქნებოდა...**

- კარგი იქნებოდა ამის პოლიტიკური საფუძველი რომ შეიქმნეს. ბენდუქიძეს თუ შეუძლია, შეეცადოს. მერე, შეიძლება, გიორგაძე დავაბრუნოთ ან პატიაშვილი, ან კიდევ-ქვეყნის ხალხია საქართველოში, ვინც საჭირო პოლიტიკას გაატარებს.

# რევანშის აჩრდილი აჭარაში

პირველი გვერდიდან

ეს შესანიშნავად იცოდნენ მათ, ვინც ასლან აბაშიძის მოსკოვში "დაკონსერვების" გადაწყვეტილება მიიღო. მათ ისიც ზუსტად გათვალეს, რომ განსხვავებით ედუარდ შევარდნაძისაგან, რომელმაც 2003 წლისათვის საბოლოოდ ამოწურა ყველა პოლიტიკური რესურსი, - ასლან აბაშიძეს აჭარაში გარკვეული დასაყრდენი კიდევ დარჩა, რომელიც შეიძლება გაიზარდოს, თუ ცენტრალური ხელისუფლება შეცდომებს დაუშვებს, ადგილობრივ სპეციფიკას არ გაითვალისწინებს და მოსახლეობის მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებას ან "ავტონომიის გაუქმების" საბედისწეროდ მცდარი იდეის რეალიზაციას დაუშვებს.

ამრიგად, "დიანას დაბრუნება" საკმარისად ზუსტად გათვლილი პროვოკაცია იყო. თუმცა, ავტორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ხელისუფლებას (მათ შორის აჭარაში), თავის მხრივ, ჯერ კიდევ ისეთი ოდენობისა და ხარისხის პოლიტიკური კრედიტი აქვს, რომელიც მანევრის ფართო საშუალებასა და გადამჭრელი მოქმედების შესაძლებლობას ქმნის.

ბუნებრივია, ხელისუფლება ვერ დაუშვებდა, დიანა აბაშიძეს, "ასლანისტური ელიტისათვის" მისი ყოფილი წინამძღოლის "გზავნილის" მიგვრის შემდეგ, უპრობლემოდ დაეტოვებინა ბათუმი "მეორედ მოსვლამდე".

თავის მხრივ, "ოჯახმა" ვერც კი წარმოიდგინა, რამდენად გაღიზიანებული და გადაქანცული იყო როგორც აჭარული, ასევე საერთოქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მათი "სოციალური ხიბლით" და მათთან სამართლიანად დაკავშირებული სოციალური უსამართლობით.

მართლაც, საოცრად ნიშანდობლივია დიანა აბაშიძის სიტყვები, რომ იგი უკრძალავს მამამისს "თუნდაც ერთი კაპიკის გადახდას". მაშასადამე, ქონება, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ იგი კანონიერია და "უსამართლობას" ხარკად ვერ გადაეხდება.

აქ აშკარა ფეოდალური მენტალიტეტია, რომელიც საერთოდ არ აღიარებს არგუმენტად იმას, თუ რა გააჩნდა ოჯახს ხელისუფლების მოპოვებამდე და რამდენად კანონიერია ამ ხელისუფლების გამოყენება ქონების მოპოვების წყაროდ.

"მადლობელი იყავით იმისთვის, რომ ვარსებობთ და გპატრონობთ" - ამ ფილოსოფიით მართავდა თავის სამფლობელოს ყველა ფეოდალი შუა საუკუნეებში, - ევროპელი ჰერცოგებიდან, - აღმოსავლელ "ფაშებამდე".

ისინი არსებობენ ("მადლობა უფალს") და მათ ეკუთვნით სამფლობელოში ყველაფერი: პირველი ღამის უფლებიდან, - ქვეშევრდომთა მატერიალურ თუ სულიერ ყოფიერებამდე.

შეუძლიათ შეიწყალონ და "წურთნან"; თავისი შეხედულებისამებრ განსაჯონ და დასაჯონ; მიიღონ და გასცენ.

აჭარაში ყოველივე და ყოველი მათია, - ღვთით ბოძებულია, ტრადიციით განათლებული და ისტორიით სხივმოსილია.

აქედან გამომდინარე, განა შეიძლება ვინმემ გაბედოს და ეჭვ ქვეშ დააყენოს კეთილშობილი ოჯახის უფლებამოსილება, თუკი იგი საკუთარი ფონდიდან ქველმოქმედებასაც კი გასცემდა გაჭირვებული "სულიერი საკუთრების" დასაპურებლად?! - წარმოუდგენელია ასეთი უმადურობა, ტრადიციის ასეთი დარღვევა და წინაპართა ანდერძის შებღალვა!

ამ ადამიანებს ვერ აუხსნი, ვერ გააგებინებ, ვერაფრით შეასმენ (საერთოდ ვერ აღიქვამენ რაზე საუბრობ) რომ ამჟამად საქართველოში არა 1491 ან 1678 თუ 1762, არამედ 21-ე საუკუნის დასაწყისია, ხოლო დემოკრატიული სისტემა მხოლოდ დემოკრატიული ტრადიციის კანონიერებას აღიარებს. ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება რეალურ ძალაუფლებას და არა გვაროვნულ ალამზე ამოქარგულ არშიას თუ ოჯახურ მუზეუმში დაცული ხანჯლის მოოჭვილობას.

მათ, ვინც ამ დღეებში მხურვალე ცრემლი აპკურა ტელეკამერებს "დიანას მიმართ გამოჩენილი უმოწყალობის გამო", ძალიან იოლად დაავიწყდათ, რა ხდებოდა აჭარაში მთელი ამ წლების განმავლობაში, - მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძე "წინაპართა უფლებებში" აღადგინეს ძალზე ახლოს მჭვრეტელმა პოლიტიკოსებმა 1991 წელს.

მხოლოდ ერთი სახასიათო მაგალითი: 1998 წელს, როდესაც საქართველოს სასაზღვრო გემმა აჭარის აკვატორიაში შესვლა გაბედა და იქიდან სამარცხვინოდ გამოაძევეს ("ჩვენს" აკვატორიას ჩვენ თვითონ დავიცავთ და "თქვენ" აქ არაფერი გესაქმებათო"), ასლან აბაშიძემ, ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე, ასეთი რამ თქვა: "ჩვენს" საზღვაო აკვატორიაში შემოსვლას ვეღარ ბედავენ და ახლა მოსახლეობას ამშვიდებენ, - ეკონომიკურ ზონაში დავცურავთო. მაგრამ ეკონომიკურ ზონაში ცურვა საზღვაო აკვატორიაში შემოსვლას არ ნიშნავს და ასე შეუძლიათ ხმელთაშუა ზღვიდანაც გვაკონტროლონ".

საქმე ის კი არ არის მხოლოდ, რომ ეს შხამიანი ირონია არაფრით განსხვავდებოდა არძინბა-შამბა-თარბათა გამონათქვამებისაგან იმავე თემაზე, მაგრამ დავუკვირდეთ, რამდენი სიძულვილი და შეურიგებლობაა აქ არა კონკრეტული ხელისუფლების, არამედ თვით ქართული სახელმწიფოს მიმართ.

თანაც, იმიტომ კი არა, თითქოს ასლან აბაშიძე ქართველი არ იყო. როგორ გეკადრებათ, - საქმეც ის არის, თხემით ტერფამდე ქართველი იყო! ოღონდ მთელი მისი პიროვნული კონსტიტუცია ატარებდა სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლებისადმი) თავკერძი რეგიონული მმართველის სიძულვილის გენეტიკურ, ისტორიულ კოდს, რაც უეჭველად არა მარტო პოლიტიკურად, არამედ გენეტიკურადაც გადმოჰყვა "გულგოროზი" წინაპრებისაგან.

შემთხვევით როდი უსვამდა ხაზს "არგვეთელობას" და ქარაგმულ პარალელებსაც ავლებდა (ადვილად მისაგნები ქვეტექსტებით) ლიპარიტ-ბაგრატიონთა დაპირისპირებებს შორის. თანაც, არც თუ სამეფო დინასტიისადმი კეთილგანწყობით.

მთლიანობაში, ეს იყო შუა საუკუნეებიდან - მე-20 საუკუნეში სრულიად შემთხვევით, ერთდროულად რამდენიმე ფაქტორის "ლაღი თანხვედრით" გადმოსული ფენომენი.

ამითვე აიხსნება კიდევ ერთი საოცარი ფენომენი: კვლავ და კვლავ იმათ გასაგონად, ვინც სენტიმენტალური სერიალივით ადევნებდა თვალს "დიანას დევნას": ასლან აბაშიძეს იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილშიც კი, ასჯერ მაინც შეეძლო კომპრომისზე წასვლა ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

აშკარა ტყუილია, თითქოს პრეზიდენტი სააკაშვილი მისდამი შეურიგებლად იყო განწყობილი და არანაირი დათმობა არ შეუთავაზებია. აბა კარგად გავიხსენოთ: მიხეილ სააკაშვილმა აბაშიძეს პირადადაც და პრემიერ-მინისტრის თუ პარლამენტის თავმჯდომარის მეშვეობითაც, რამდენჯერმე შესთავაზა როგორც გრძელვადიანი, ასევე ტაქტიკური კომპრომისი. თანაც ისეთი, რაც აჭარის მმართველს არა მხოლოდ სახის, არამედ ძალაუფლების უდიდესი წილის შენარჩუნების გარანტიას უქმნიდა.

ცენტრალური ხელისუფლება ამაზე მიდიოდა მიუხედავად იმისა, რომ თავად ბევრად ნაკლებად შეძლებდა სახის შენარჩუნებას (კომპრომისის შემთხვევაში) და სამკვდრო–სასიცოცხლოდ გადაიკიდებდა გუშინდელ პარტნიორებს (თუნდაც იმავე "რესპუბლიკელებს") – აჭარაში ასლან აბაშიძის მმართველობასთან შერიგების შემთხვევაში.

არადა, ბოლოს და ბოლოს, რას ითხოვდა ცენტრალური ხელისუფლება აბაშიძისაგან? – მინიმუმზე მინიმუმს, ელემენტარულს: აჭარის ეკონომიკური საზღვრის ერთობლივ(!) კონტროლს, ასევე ერთობლივ (და არა ექსკლუზიურ) კონტროლს ძალისმიერ სტრუქტურებზე, შემოსავლების ნაწილის (მხოლოდ და მხოლოდ ნაწილის, - 50-40 პროცენტის) გადმორიცხვას ცენტრალურ ბიუჯეტში იმ პირობით, რომ დანარჩენი ისევ ასლან აბაშიძის განკარგულებაში დარჩებოდა; სთავაზობდა ფაქტობრივად ფედერაციული ხელშეკრულების გაფორმებას ავტონომიურ რესპუბლიკასთან – იმ დროისათვის არსებული სახელისუფლებო სისტემის ხელშეუხებლად დატოვებით.

ვინ იოცნებებდა მაშინ (ბათუმის რევოლუციამდე) ავტონომიის ე.წ. "მეთაურის" პოსტის გაუქმებაზე, ორპალატიანი პარლამენტის ერთპალატიანად გადაკეთებაზე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თბილისიდან დანიშვნაზე, აჭარის ახალი კონსტიტუციის მიღებაზე და ასე შემდეგ. და ასე შემდეგ?!

ამის მეასედსაც კი იმ დროს (მარტში და აპრილშიც კი!) ვერავინ წარმოიდგენდა. ანუ, ასლან აბაშიძეს სულ მცირეოდენი დათმობით, ელემენტარული მოთხოვნის შესრულებით შეეძლო თავიც გადაერჩინა და საკუთარი გარემოცვაც (იგი ამჟამად ცნობილ გზას გაუყენეს) ეხსნა, მაგრამ ჭეშმარიტად, ხანგრძლივი, შეუზღუდავი ძალაუფლება გონებას უჩლუნგებს ადამიანს. მით უმეტეს, თუ იგი განსაკუთრებით ძლევამოსილი ინტელექტით ნამდვილად არ გამოირჩეოდა.

თუმცა, ეს სიჩლუნგეც ისევ და ისევ იმ "გულგოროზობის" გამოვლინებაა, რომელიც ოდესღაც (ასე 4 საუკუნის წინ) პოლიტიკოსს ბევრს არაფერს აკლებდა, უფრო სუვერენობის დადასტურება იყო, მაგრამ მესამე ათასწლეულში უკვე უნიჭობად აღიქმება.

ახლა კი, მოსკოვში გადახვეწილი, გულგასიებული პოლიტიკური პიგმეი ახალ სქემებს ადგენს "დასაბრუნებლად". ოღონდ, ხელისუფლებამ მართლაც მოახერხა იმის დემონსტრირება (და ეს ძალიან მნიშვნელოვანი საპასუხო "მესიჯი" იყო არა მხოლოდ ოჯახისთვის, არამედ მთელი "ასლანისტური" კამარილიისათვის), რომ ძველი რეჟიმი უსისხლოდ(!) აჭარაში ძალაუფლებას ვერ დაიბრუნებს.

როგორც ჩანს, მისთვის ესეც არ იქნება პრობლემა ანუ სისხლის დაღვრას სეპარატისტული რეჟიმი და მისი ნარჩენი არ მოერიდება ("მეგობრების მხარდაჭერით, რომელთაც მისთვის ვერ უპატიებიათ "საქართველოსათვის აჭარის უმსხვერპლოდ ჩაბარება"), მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწევს "ბეწვის ხიდზე გავლა" აჭარაში.

აქ შეცდომის დაშვება მართლაც ისტორიული დანაშაულის ტოლფასი იქნება, ამდენად, ხელისუფლებამ, ალბათ (მოკრძალებული და უპრეტენზიო პოლიტოლოგიური ანალიზიდან გამომდინარე დასკვნით) რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მომენტი უნდა გაითვალისწინოს:

უპირველეს ყოვლისა, უნდა შეწყდეს პროვოკაციულობამდე არა შორსმჭვრეტელი საუბრები ავტონომიის გაუქმებაზე – ყოვლად დაუშვებელია აჭარული სოციუმის თვალში (იქ კი სოციალურად უკმაყოფილო ელემენტი არ დაილევა) "ავტონომიურობა" გაიგივდეს ასლან აბაშიძესთან და მის კლანურ ფენომენთან. ეს აბაშიძეთა კლანის სრული რეაბილიტაცია იქნებოდა.

გარდა ამისა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევურიგდეთ აზრს, რომ აჭარის ავტონომია შემთხვევითი, ან მხოლოდ რუსულ-იმპერიალისტური ინტენციით წარმოშობილი რეალობა არ ყოფილა – მას ნამდვილად ჰქონდა და აქვს ობიექტური საფუძვლები. ამ აზრით, ყოვლად დაუშვებელია რელიგიურ თემატიკასთან (იგივე ცეცხლთან) თამაში. თუ მოსახლეობის ნაწილს აჭარაში გაქრისტიანება სურს – იგი ამას ისედაც გააკეთებს და ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ რა საჭიროა ამის "შოუდ" ქცევა და მოსახლეობის მეორე ნაწილის გაღიზიანება.

მესამე: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას მიზანშეწონილია შეუნარჩუნდეს ყველა ის საგადასახადო პრივილეგია, რაც კანონით იყო მისთვის მინიჭებული, რათა არ მოხდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი(!) გაუარესება.

თუმცა, ასლან აბაშიძის სეპარატისტული პრეფერენციების გაუქმების შემდეგ, გარკვეული გაუარესება მაინც გარდაუვალია და ამას "ყოფილთა კამარილიის" იდეოლოგები კარგად ითვალისწინებენ, როდესაც რუსული ჟურნალ-გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუებში აცხადებენ: საზღვარზე და პორტში ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის დამყარების შედეგად აჭარის მოსახლეობის კეთილდღეობა უეჭველად გაუარესდებაო.

მეოთხე: დამანგრეველი შედეგის მომტანია ამჟამინდელი აშკარა დაპირისპირება (მით უმეტეს, საჯარო ცემა-ტყეპით) ყოფილი "ანტიასლანისტური" ოპოზიციის სეგმენტებს შორის. სამწუხაროდ, ჩვენებურ "პროვინციელ დემოკრატებს" კვლავინდებურად ვერაფრის დიდებით ვერ შეაგნებინებ: ქართული მენტალიტეტი ისეთნაირად არის მოწყობილი და იმგვარი თვისებების მატარებელია, რომ ამგვარი დაპირისპირებით "განსხვავებული პოზიციისადმი" პატივისცემის ჩვევას კი არ ჩაუნერგავენ, არამედ წარსულ სიმშვიდესა და პროგნოზირებადობას მონატრებენ.

და ბოლოს: ერთ–ერთი ყველაზე ქმედითი სტერეოტიპი, რასაც აქტიურად იყენებდა ასლან აბაშიძე თავისი ძალაუფლების იდეოლოგიურ საფუძველთა შესაქმნელად, ის იყო, რომ "ასლან აბაშიძემდე აჭარლებს აჭარაში თანამდებობებზე არ ნიშნავდნენ, - მხოლოდ ასლანის წყალობით ეღირსნენ აჭარლები თანამდებობებს".

რამდენად სამართლიანია ეს სტერეოტიპი – სხვა საკითხია, მაგრამ გარწმუნებთ, იგი არსებობს და ცენტრალურმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საკადრო გადაწყვეტილებათა მიღებისას. ყოველ შემთხვევაში "კოგნიტიური დისონანსი" მაინც შეუქმნას მის მატარებლებს, თუ მთლიანად ნიველირებას ვერ შეძლებს.

ამ პირობათა დაცვის და აჭარის ელიტისადმი (ეს რეგიონული ელიტა ტრადიციულად ძალზე გავლენიანია) მოქნილი პოლიტიკის შემთხვევაში, ასლან აბაშიძე მართლაც იქცევა "გუშინწინდელ დღედ" და მას უეჭველად "ჩამოწერენ" მისი ოდინდელი პატრონები, ისევე, როგორც იგორ გიორგაძე ჩამოწერეს, როდესაც მის უსარგებლობაში საბოლოოდ დარწმუნდნენ.

International Finance Corporationa Member of the World Bank Group

**საააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!**

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

**"ს/ს თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**29 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ვაშლიჯვარის დასახლების, დიღმის მასივის III, IV, V და VI კვარტლების, გელოვანის, გოძიაშვილის, მარჯვენა სანაპიროს, პეტრიწის, სარაჯიშვილის, ჭიაურელის, ახმეტელის, ლუბლიანას ქუჩების მაცხოვრებლებს.

**29 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის, იყალთოს მთის, ბახტრიონის, იყალთოს, გამრეკელის, მიცკევიჩის, ჭაბუკიანის, ცინცაძის, ბაკურციხის, წინაუბნის, ტუსკიას, ფანასკერტელ-ციციშვილის, ტეხურის, ჩაილურის, სიმონ ჩიქოვანის, ლიხაურის, ბუდაპეშტის, დოლიძის, ახალშენის ქუჩების მაცხოვრებლებს

**29 ივნისს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის, გამრეკელის, მიცკევიჩის, ცაგარელის, ცინცაძის, ბახტრიონის, კოსტავას, ხვიჩიას, ჭაბუკიანის, იყალთოს, ბაკურციხის, წინაუბნის, ფანასკერტელ-ციციშვილის, ტუსკიას, ჩაილურის, ჩიქოვანის, ლიხაურის, ბუდაპეშტის, დოლიძის, ახალშენის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# თბილისში დენი უნდა გაიაფდეს!

## ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი სემეკ-ს დენის ტარიფის შემცირებისკენ მოუწოდებს

*გუშინ "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია გამართა ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების დამცველმა დავით ებრალიძემ და ჟურნალისტებს "რაო ეეს როსიისა" და "ეი-ი-ეს"-ს შორის გასული წლის აგვისტოში სრული კონფიდენციალობის პირობებში დადებული ხელშეკრულების ახლად გამჟღავნებული დეტალები გააცნო. ახალი გარემოებების გათვალისწინებით, ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი უკვე დაზუსტებით აცხადებს, რომ დენის ტარიფში "თელასის" კუთვნილი მარჟა უნდა შემცირდეს. ეს კი, თავის მხრივ, დენის სამომხმარებლო ტარიფის ორი-სამი თეთრით გაიაფებას ნიშნავს.*

მაია ურუშაძე

**"ეი-ი-ეს კორპორაციამ" თავის ვებსაიტზე უკვე გამოაქვეყნა 2003 წლის ფინანსური ანგარიში, რომელიც საკმარის წარმოდგენას იძლევა იმ გარიგების თაობაზე, რომელიც თავის დროზე "ეი-ი-ეს სილკ როუდ ჰოლდინგს ბი-ვი"-ს, "რაო ეეს როსიი"-სა და საქართველოს ხელისუფლებას შორის მოხდა,"** – აცხადებს ებრალიძე.

კერძოდ, ამ ანგარიშებიდან ჩანს, რომ "ეი-ი-ეს"-ის კუთვნილი, საქართველოს აქტივები ამერიკულმა კორპორაციამ "რაო ეეს როსიი"-ს მხოლოდ მას შემდეგ მიჰყიდა, რაც "თელასს" 210 მილიონი დოლარის ოდენობის ვალი ნამდვილად ჩამოაწერა. შეგახსენებთ, რომ კომპანიას EBRD-ისა და IFC-ის 60 მილიონდოლარიანი სესხი ჰქონდა გასასტუმრებელი. "თელასს" "ეი-ი-ეს კორპორაციისგან" აღებული ჰქონდა 170 მილიონდოლარიანი სესხი, რაზეც, პროცენტების სახით, 100 მილიონ დოლარზე მეტი დაერიცხა. "ეი-ი-ეს"-მა სწორედ ეს ვალები ჩამოაწერა "ეი-ი-ეს ჰოლდინგს ბი-ვი"-ს მანამდე, სანამ მას "რაო ეეს როსი"-ის მიჰყიდდა.

**"სწორედ ამიტომ იყო, თავის დროზე, ასე გახარებული "რაო ეეს"-ს თავკაცი ანატოლი ჩუბაისი,** - განმარტავს ებრალიძე, - **თბილისში ვიზიტისას ის აცხადებდა, რომ "თელასში" "რაოს" შემოსვლის შემდეგ, თბილისის ტარიფი, შესაძლოა, გაიაფებულიყო. ამის საფუძველს მას სწორედ "ეი-ი-ეს"-თან დადებული სარფიანი გარიგება აძლევდა, რომლის მომგებიანობით მოხიბლული ჩუბაისი დენის შესაძლო გაიაფებას თბილისელებს იოლად დაჰპირდა."**

ებრალიძე აცხადებს, რომ თუ ხელისუფლების ნება იქნება, თავად "რაო" "თელასის" ტარიფის შემცირების მოთხოვნას არ გააპროტესტებს. თუმცა, დიდმა ფულმა მადაც დიდი იცის. მას შემდეგ, რაც ქვეყნის ენერგოსექტორში არსებული განუკითხაობა ახლოდან დაინახა, "თელასის" ხელმძღვანელობას კეთილშობილური ჟესტების სურვილი გაუქრა. **"დღეს "თელასი" ცდილობს, აღნიშნული არარსებული 210 მილიონი დოლარი ელექტროენერგიის ტარიფში ასახოს, რისი არავითარი საფუძველი (მათ შორის, არც სამართლებრივი), მიუხედავად თავის დროზე "ეი-ი-ეს"-თან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა, არ არსებობს,"** – ამბობს ებრალიძე და სემეკ-ს მოუწოდებს, დენის ტარიფში "თელასის" კუთვნილი წილის გაზრდის ნაცვლად, მისი შემცირების საკითხი განიხილოს და, ამასთან, რაც შეიძლება სწრაფად.

ამჟამად 1 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება მოსახლეობისთვის დღგ-ს გარეშე 11,2 თეთრს შეადგენს, საიდანაც "თელასის" წილად 7,5 თეთრი მოდის.



*"ახლა უკვე საიდუმლო აღარ არის, რომ "რაომ" "თელასში" მხოლოდ 23 მილიონი დოლარი გადაიხადა. ამიტომ მან თბილისელებს ამ თანხაზე მეტი არ უნდა მოსთხოვოს," აცხადებს ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი.*

**"მას შემდეგ, რაც "ეი-ი-ეს" კორპორაციამ თავისი ფინანსური ანგარიში წარმოადგინა, უკვე საეჭვო აღარ არის, რომ სემეკ-მა "თელასის" ტარიფი უნდა შეამციროს, რადგან "თელასს" ვალები აღარ აქვს. ეს ნიშნავს, რომ თბილისში მოქმედ ელექტროენერგიის ტარიფში დღეს ჭარბი კომპონენტებია გათვალისწინებული. 210 მილიონი დოლარი - "ეი-ი-ეს კორპორაციის" ზარალია, მისი წაგება, და "რაო ეეს როსი"-ის არავითარი საფუძველი არა აქვს იმისათვის, რომ ეს თანხა საქართველოს მოსახლეობას მოსთხოვოს. ამიტომ, "თელასმა" დღეს მადლობა უნდა თქვას, თუ სამომხმარებლო ტარიფში მისი წილი 5 თეთრით განისაზღვრება. არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებისა და სემეკ-ის მხრიდან ეს მისთვის მაქსიმალური ხელშეწყობა იქნება,"** – მიიჩნევს ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი.

ერთი სიტყვით, ებრალიძე ხელისუფლებისა და სემეკ-ისგან პრინციპულობას მოითხოვს. ამ პრინციპულობის დასასაბუთებლად საჭირო არგუმენტები ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების დამცველის აპარატმა სემეკ-ს უკვე წარუდგინა.

**"თუ კომისიამ, ამ არგუმენტების იგნორირებით, ტარიფი ისევ ძველი მეთოდით დათვალა, იარსებებს სრული საფუძველი იმისათვის, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას,"** – მიიჩნევს ებრალიძე და დასძენს, რომ, ტარიფის კანონით დათვლის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან "ზიანის ანაზღაურების ვალდებულება" (რითაც ენერგეტიკის მაღალჩინოსნები ხშირად იმუქრებიან) არ იარსებებს.

# "შელში" ახალი ხელმძღვანელობა მოდის

თორნიკე შარაშენიძე

ანგლო-ჰოლანდიურ ნავთობგიგანტ "შელს" ფინანსების ახალი შეფი ჰყავს. ეს არის შვეიცარიული ფირმა "ეიბიბის" აწ უკვე ყოფილი მთავარი ფინანსური ოფიცერი პიტერ ფოსერი. ფოსერს ერთობ რთული ამოცანის გადაჭრა მოუწევს – მან ბოლოდროინდელი უპრეცედენტო სკანდალების შემდეგ "შელს" ინვესტორების მხრიდან ნდობა და ძველი რეპუტაცია უნდა დაუბრუნოს.

"შელის" სკანდალმა წელს მთელი საქმიანი სამყარო შეძრა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ნავთობგიგანტმა თავისი რეზერვების ნაწილი ჩამოწერა და აღიარა, რომ ადრინდელი მონაცემები გაზვიადებული იყო.

ეს პირველად 2004 წლის იანვარში მოხდა და, იქიდან მოყოლებული, "შელმა" თავისი რეზერვები კიდევ ორჯერ ჩამოაფასა. როგორც საბოლოოდ გაირკვა, კომპანიის ხელმძღანელები ჯერ კიდევ 2001 წლიდან შეგნებულად აყალბებდნენ მონაცემებს თავიანთი რეზერვების შესახებ, რათა ამ მხრივ არსებული პრობლემები დაემალათ და აქციების ფასი მაღალ დონეზე შეენარჩუნებინათ. ასეთ დასკვნამდე მივიდა დამოუკიდებელი საგამომძიებლო ჯგუფი, რომელმაც გულდასმით შეისწავლა ანგლო-ჰოლანდიური ნავთობგიგანტის საქმეები და დაჰკითხა კომპანიის ახლანდელი და ყოფილი თავკაცობა.

ამ სკანდალს კომპანიის სამი ხელმძღვანელი შეეწირა. გამოძიების შედეგების მიხედვით, მონაცემთა გაყალბებაში უშუალო ბრალი მიუძღოდათ "შელის" ყოფილ თავმჯდომარეს, სერ ფილიპ უოტსსა და ნავთობისა და გაზის ყოფილ შეფს უოლტერ ვან დერ ვიივერს. რაც შეეხება მესამე გადამდგარ ხელმძღვანელს, მთავარ ფინანსურ აღმასრულებელს ჯუდი ბოინტონს, იგი ბრალდებული არ არის. საერთოდ, მონაცემთა გაყალბებასთან "შელის" ყველა უფროს თანამშრომელს ჰქონდა შეხება, მაგრამ ყველაფრის მოთავეები უოტსი და ვიივერი იყვნენ. ახლანდელი შეფასებებით, "შელის" რეზერვები 4,85 მილიონი ბარელით – 20 პროცენტით – ნაკლებია, ვიდრე ეს აქამდე იყო აფიშირებული.

ფოსერი "შელისათვის" უცხო სხეული არ არის. იგი ამ კომპანიაში 1982-2002 წლებში მუშაობდა და ნავთობგიგანტის ინტერესებს წარმოადგენდა შვეიცარიაში, ბრიტანეთში, არგენტინასა და ჩინეთში. "ეიბიბი"-ში წასვლამდე იგი "შელში" სწორედ მთავარი ფინანსური ოფიცრის ფუნქციებს ასრულებდა. "ეიბიბი"-ში მისი წასვლა იმით იყო განპირობებული, რომ შვეიცარიული კომპანია მაშინ ურთულეს ფინანსურ კრიზისს განიცდიდა და მაღალი დონის სპეციალისტის ჩარევა ესაჭიროებოდა. "შელის" ყოფილმა ფინანსისტმა ამ გამოწვევას წარმატებით გაართვა თავი – მის ხელში "ეიბიბი"-მ კრიზისიდან გამოსვლა მოახერხა.

თუმცა, "შელის" მომავალი მხოლოდ ფოსერის კვალიფიკაციაზე არ იქნება დამოკიდებული. ნავთობგიგანტის საქმეების გამოძიებას შეუდგა აშშ-ს მართლმსაჯულების დეპარტამენტი და ფასიანი ქაღალდების კომისია, ისევე როგორც ბრიტანეთისა და ჰოლანდიის ფინანსური სერვისების ზედამხედველი ორგანოები. რა თანხით დააჯარიმებენ ისინი კომპანიას, ჯერ კიდევ საკითხავია. გარდა ამისა, "შელის" წინააღმდეგ არაერთმა აქციონერმაც აღძრა საქმე.

პრობლემების დამალვა და აქციათა ფასის ხელოვნური გაბერვა მსოფლიო ბიზნესში ახალი ამბავი აღარ არის. ამ მხრივ, პიონერი ცნობილი "ენრონი" გამოდგა. მაგრამ მაშინ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ანალოგიური აფერით კიდევ ამდენი კომპანია იქნებოდა დაკავებული. ანალოგიურ სკანდალს კიდევ არაერთი გიგანტი შეეწირა (მაგალითად, "უორლდკომი"). "შელს", ჯერჯერობით, საქმე საამისოდ არ აქვს, მას გაკოტრება არ ემუქრება. მაგრამ კიდევ ერთი აფერის გამომჟღავნება ასეთ მაღალ დონეზე კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საქმიან სამყაროში პრობლემების დამალვა ჩვეულებრივი ამბავია.

# გერმანია რუსეთის ვალს "ყიდის"

დიანა ჩაჩუა

*პირველად პარიზის კლუბის ისტორიაში, მისი 19 წევრი ქვეყნიდან ერთ-ერთი მზად არის, კლუბის სხვა წევრის ვალის პრივატიზაცია მოახდინოს. რამდენიმე დღის წინ გერმანიამ, რუსეთის უმსხვილესმა კრედიტორმა, განაცხადა, რომ რუსეთის ვალის გარკვეულ ნაწილს ობლიგაციების სახით გააფორმებს და მას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გაყიდის. ეს შეთანხმება გერმანიის ფინანსთა სამინისტროს საკუთარი ბიუჯეტის დეფიციტის შემსუბუქების საშუალებას მისცემს, ხოლო რუსეთს კი, თავის მხრივ, საკუთარი ვალის "ფასდაკლებით" გამოსყიდვა შეეძლება.*

როგორც გერმანიის ფინანსთა სამინისტრომ და Deutsche Bank –ის და Goldman Sachs-ის მთავარმა მენეჯერებმა განაცხადეს, ისინი აპირებენ გამოსცენ სამ, ხუთ და ათწლიანი საკრედიტო ნოტები, ნომინირებულ დოლარებში და ევროებში, რომელიც რუსეთის ვალის გადასახადებთან იქნება დაკავშირებული.

**"გერმანიამ ამ შეთანხმების შესახებ რუსეთი საქმის კურსში ჩააყენა და ისიც არ შეწინააღმდეგებია,"** – ნათქვამია გერმანიის ფინანსთა სამინისტროს და ბანკების პრესრელიზში.

ცნობისათვის, გერმანიის ფინანსთა სამინიტროს ინფორმაციით, რუსეთის ვალი პარიზის კლუბის წევრი ქვეყნების მიმართ 2004 წლის პირველი იანვრისთვის 47,7 მილიარდ დოლარს შეადგენდა, საიდანაც გერმანიის წილად 20,3 მილიარდი მოდიოდა.

ინვესტორებისათვის ახალი ფასიანი ქაღალდების პრეზენტაცია მომავალ კვირას გაიმართება. თუმცა, მისი მოცულობა, გაშვების თარიღი და ღირებულება კონსულტაციებზე და ბაზრის მდგომარეობაზე დამოკიდებული იქნება, - ნათქვამია პრესრელიზში. საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო Reuters-ის ინფორმაციით, ემისიის მოცულობა, დაახლოებით, ორნახევარ მილიარდ დოლარს შეადგენს.

როგორც რუსულ "ვედომოსტის" რუსეთის ყოფილმა პრემიერმა მიხაილ კასიანოვმა განუცხადა, **"ჩვენ გერმანელებს არაერთხელ შევთავაზეთ ვალის გადახდის სხვადასხვა სქემები, მაგრამ მათგან ყოველთვის უარს ვიღებდით."** ამასთან, **"ეს გერმანიის მიმართ არსებული ვალის 20 პროცენტზე ნაკლებია და, პარიზის კლუბის წესების თანახმად, ასეთ შემთხვევებში დანარჩენი წევრების თანხმობა საჭირო არ არის,"** – განაცხადა რუსეთის ფინანსთა სამინისტროს შიდა ვალის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა ანდრეი ჩერეპანოვმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერლინს ნოვატორული გადაწყვეტილება კარგი მდგომარეობის გამო არ მიუღია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, უკვე მესამე წელია, ევროკავშირის "ეკონომიკურ კონსტიტუციას" არღვევს. მისი ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის ისევ სამ პროცენტს აღემატება, ხოლო რუსეთის ვალის გადასახადი ქვეყანას წელიწადში მხოლოდ ორჯერ მიეწოდება. როგორც გერმანიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა იორგ მიულერმა განაცხადა, უკვე მიმდინარე წელს, ობლიგაციების სახსრები ჩართული იქნება გერმანიის ბიუჯეტში, როგორც პრივატიზაციის შემოსავლები.

ბანკ "ტრასტის" ანალიტიკოსი ნიკოლაი კაშეევი დასაშვებად მიიჩნევს, რომ ორი მილიარდი მხოლოდ დასაწყისია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეთანხმება ორივე მხარისთვის მომგებიანია, ინვესტორებს ამასთან დაკავშირებით უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ. **"ახალი ფასიანი ქაღალდები რუსული ვალების ბაზარზე მოთხოვნილებას გაზრდის,"** – აცხადებენ ისინი.

### მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტმა სამი თვის ვადით ენერგეტიკის სექტორში დარღვევების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია შექმნა. კომისია 15 წევრით დაკომპლექტდება. კომისიის შექმნა "ნაციონალების" წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა მოითხოვა. მისი განცხადებით, კომისიამ "ენგურჰესისა" და "ვარდნილჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის განაწილებისა და ელექტოენერგიის ტარიფის საკითხები უნდა შეისწავლოს. საპარლამენტო უმრავლესობის მოთხოვნით, დროებითი საგამოძიებო კომისია ბოლო წლებში დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ენერგეტიკის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერებასაც შეისწავლის. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის გაზგამანაწილებელი სისტემის აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით, კომპანია "თბილგაზმა" საუბნო მრიცხველების დამონტაჟება დაიწყო. როგორც "თბილგაზში" განაცხადეს, უცხოეთიდან 160 საუბნო მრიცხველი ჩამოიტანეს, რომელიც თბილისის სხვადასხვა უბნებში დამონტაჟდება. "ამით შესაძლებლობა მოგვეცემა ტექნიკური და კომერციული დანაკარგების შესახებ ინფორმაცია მოვიპოვოთ. მრიცხველები ზამთრის სეზონის დაწყებამდე დამონტაჟდება,"- განაცხადეს კომპანიაში. საუბნო მრიცხველების დამონტაჟების შემდეგ "თბილგაზი" აპირებს, თითოეულ საცხოვრებელ კორპუსზე ინდივიდუალური მრიცხველი დაამონტაჟოს, რითაც აბონენტების მრიცხველების ჩვენებებს გააკონტროლებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ენერგოსისტემა, ერთთვიანი დეფიციტის შემდეგ, ჩვეულ რეჟიმში მუშაობას შეუდგა. როგორც "ინტერ-პრესს" ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განუცხადა, ენერგეტიკოსებმა "ენგურჰესის" რიგით მესამე აგრეგატზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დაასრულეს, რამაც სისტემისათვის დამატებით 200 მეგავატი სიმძლავრის მიწოდება შესაძლებელი გახადა.

"ჰესის რიგით მეოთხე აგრეგატზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, სავარაუდოდ, 10 ივლისამდე დასრულდება. სისტემაში სიმძლავრის არსებობის მიუხედავად, ელექტროენერგიას არგადამხდელი მომხმარებელი ვერ მიიღებს. ამ პირობის დაცვა ენერგოსადისტრიბუციო კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ," - აღნიშნა ხეთაგურმა. **ინტერ-პრესი**



# ნატო-ს სამიტი - "ახალი ატლანტიციზმის" დასაწყისი?

პირველი გვერდიდან

ღია საჰაერო სივრცის ფარგლებში ხელშეკრულების ამოქმედება აშშ-ევროპის ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისზე მიუთითებს. ერთობლივი განცხადებები გაკეთდა, ასევე, ისეთი გლობალური პრობლემების შესახებ, როგორიცაა შიდსის საფრთხე და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა. გარდა ამისა, სამიტის მონაწილეები შეეხნენ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ტერორისტული კერების არსებობით გამოწვეულ რთულ ვითარებას.

ევროკავშირი-აშშ-ს სამიტი ნატო-ს სამიტის წინა ეტაპი იყო, რომლის შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თურქეთში გაემგზავრა. სტამბოლში ნატო-ს სამიტის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ანკარაში იგი თურქ კოლეგას, აჰმედ ნეჯდეთ სეზერსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრს რეჯეპ ტაიპ ერდოგანს შეხვდა. შეხვედრის ძირითად თემას ერაყი შეადგენდა. საუბარი ასევე შეეხო ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების საკითხსაც, რომელთან დაკავშირებითაც აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ **თურქეთი წარმოადგენს ისლამური სახელმწიფოს მაგალითს, რომელიც ქვეყანაში ჭეშმარიტად დემოკრატიულ ღირებულებებს ამკვიდრებს და, ამდენად, საერთაშორისო თანამეგობრობას მისი ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის გრძელვადიან პერსპექტივაში განხილვა აღარ მოუწევს.** ბუშის განცხადებითვე, ერაყთან მიმართებაში ევროპის სახელმწიფოებისა და აშშ-ს პოლიტიკის დაპირისპირება დასრულებულია, რადგან ერაყში მშვიდობის დამყარება და ხელისუფლების ადგილობრივი ძალებისთვის გადაბარება უკვე საერთო ინტერესებშია.

ჯერ კიდევ ირლანდიაში, ევროკავშირი-აშშ-ს სამიტზე, ბუში ევროკავშირის წარმომადგენლებთან ერთად შეთანხმდა ერაყისთვის საგარეო ვალების ჩამოწერის თაობაზე და იმედი გამოთქვა, რომ ნატო ამ ინიციატივას მხარს დაუჭერდა.

ნატო-ში 2004 წლის 29 მარტს 7 ყოფილი კომუნისტური სახელმწიფოს (ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია) შესვლის შემდეგ, ნატო-ს წევრი-ქვეყნების ლიდერების შეხვედრა პირველად შედგება. ნატო-ს სამიტი ორი დღის განმავლობაში, 28-29 ივნისს გაგრძელდება. უსაფრთხოების დაცვის უპრეცედენტო ზომების მიუხედავად, არ წყდება საპროტესტო დემონსტრაციები, რომლებიც, ძირითადად, ბუშისა და ნატო-ს წინააღმდეგ არის მიმართული. სამიტს ესწრება 46 ქვეყნის წარმომადგენელი, აქედან 26 - ნატო-ს წევრი-ქვეყანაა. თემატური თვალსაზრისით, ორდღიანი შეხვედრები დატვირთული და მრავალფეროვანი იქნება. პირველ დღეს დაგეგმილია ნატო-ს გენერალური მდივნისა და აშშ-ს პრეზიდენტის შეხვედრა, "ნატო-სა და რუსეთის საბჭოს" საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეხვედრა და საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მრავალეროვნული შესაძლებლობების პროექტის ხელმოწერა. მეორე დღე, ძირითადად, უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე "ნატო-უკრაინის კომისიის" მუშაობას ეთმობა.

სამიტის პირველივე დღეს შედგება ევროკავშირის ერთობლივი საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანასა და ნატო-ს გენერალურ მდივნის იაპ დე ჰუპ სხეფერის შეხვედრა, სადაც ნატო-ევროკავშირის ორმხრივი თანამშრომლობის სამომავლო გეგმებს განიხილავენ. კონკრეტულად კი, 2004 წლის ბოლოსთვის ბალკანეთის რეგიონში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სტაბილიზაციის ძალების მისიის დასრულებისა და ერაყში სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობის საკითხი განიხილება. გარდა ამისა, დღის წესრიგშია შეტანილი ავღანეთში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალების გაფართოების საკითხის განხილვაც. სამიტზე მოხდება ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ნატო-ს თავდაცვისა და ოპერატიული დაგეგმვის პროცესების გადახედვა.

სამიტის წინა დღეს, სტამბოლში, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სამიტი ახალი ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების შესახებ კონსენსუსის დემონსტრირებაა. 2003 წლის ერაყულ სამხედრო კამპანიასთან დაკავშირებული უთანხმოება ახალმა თანამშრომლობამ ჩაანაცვლა. "ახალი ატლანტიციზმის" დასაწყისი მსოფლიოში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატო-ს მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. მისი განცხადებით, **"ნატო-ს გაფართოების შემდეგ, პარტნიორობა ახალ ფაზაში შედის და მთელ აქცენტს რეფორმასა და თანამშრომლობაზე აკეთებს. კიდევ უფრო გამახვილდება ყურადღება კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართ, რომლებიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი რეგიონები არიან. ნატო დანიშნავს სპეციალურ წარმომადგენლებს საქართველოში, აზერბაიჯანსა და უზბეკეთში".** ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ისაუბრა ასევე რუსეთთან უსაფრთხოებისა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობის საკითხების შესახებ; ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციასთან უკრაინის დაახლოების პირობების შესახებ; ხმელთაშუა ზღვისპირეთის დიალოგისა და სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივაზე; მომავალში ნატო-ს თავდაცვის სისტემის გაუმჯობესების შესახებ. იაპ დე ჰუპ სხეფერის სიტყვებით, **"დაარსებიდან 50 წლის შემდეგ, ნატო უსაფრთხოების ინტერესების რეალურ დამცველ სტრუქტურად გადაიქცა, რომლის როლი და მნიშვნელობა მომავალშიც განუხრელად გაიზრდება".**



*ევროკავშირი-აშშ-ს სამიტი ნატო-ს სამიტის წინა ეტაპი იყო, რომლის შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თურქეთში გაემგზავრა*

## ევროკომისიის თავმჯდომარის ყველასათვის მისაღებ კანდიდატად პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი სახელდება

ევროპის ლიდერებს შორის განხეთქილების ვაშლად ქცეული ევროკომისიის მომავალი თავმჯდომარის საკითხი, როგორც ჩანს, უკვე გადაწყვეტილია. გუშინ ევროკავშირის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ, ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბერტი აჰერნმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც ნათქვამია, რომ ევროკომისიის თავმჯდომარის პოსტზე ყველასათვის მისაღები კანდიდატი პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი ხოსე მანუელ დურაო ბაროზო იქნება. "უკანასკნელი დღეების განმავლობაში მე ინტენსიური კონსულტაციები მქონდა კოლეგებთან და კმაყოფილებით ვადასტურებ, რომ პორტუგალიის პრემიერ-მინისტრ ბაროზოს კანდიდატურა ევროკომისიის თავმჯდომარის პოსტზე საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს," - განაცხადა აჰერნმა.

აჰერნის თქმით, ახლა მთავარი ბაროზოს თანხმობაა. "გუშინ ვესაუბრე ხოსე მანუელს და ეს ამბავი სიხარულით ვაუწყე. პორტუგალიისა და თავად პრემიერ-მინისტრისათვის დიდი პატივია, რომ კოლეგებმა ასეთი მხარდაჭერა გამოხატეს, და მე მოუთმენლად ველი მის თანხმობას, - ამბობს ბერტი აჰერნი, - (ევროკავშირის მთავრობის მეთაურთა) საბჭოს წევრებმა დაარწმუნეს იგი, ასე მოიქცეს და მეც იმედი მაქვს, მისი პასუხი დადებითი იქნება."

იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები ბაროზოს კანდიდატურას დაამტკიცებენ, იგი ევროკომისიის ამჟამინდელ თავმჯდომარეს რომანო პროდის მიმდინარე წლის 31 ოქტომბრიდან შეცვლის.

შეგახსენებთ, ამ თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი უკვე განიხილებოდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში - გერმანიისა და საფრანგეთის, სხვა დროს კი - ბრიტანეთისა და მისი მხარდამჭერების კატეგორიული უარის გამო, აქამდე წამოყენებულ ვერც ერთ კანდიდატზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

## აკრძალვების მიუხედავად, ირანი ბირთვულ პროგრამაზე მუშაობას ჯიუტად განაგრძობს

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან გამოთქმული უკმაყოფილებისა, 29 ივნისიდან ირანი განაახლებს ბირთვული რეაქტორის ცენტრიფუგის აღჭურვას, რომელიც ურანის გასამდიდრებლად არის საჭირო. ამის შესახებ განცხადება ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჰამიდ რეზა ასეფმა გააკეთა. თუმცა, მან ამავდროულად დასძინა, რომ ურანის წარმოებაზე მორატორიუმს არ დაარღვევს.

საგარეო უწყების წარმომადგენლის თქმით, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ირანმა როგორც "მაგატე" (ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო), ასევე დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობები საქმის კურსში უკვე ჩააყენა.

ასეფი აცხადებს, რომ ირანი მზადაა, მიმდინარე კვირაში ეროვნული ბირთვული პროგრამის თაობაზე მოლაპარაკებები საფრანგეთის, ბრიტანეთის და გერმანიის წარმომადგენლებთან გამართოს. მისი თქმით, ასეთი შეხვედრა, უბრალოდ, აუცილებელია, რათა გაიფანტოს ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან გამოთქმული ეჭვები, თითქოს ირანი ბირთვული იარაღის შექმნას საიდუმლოდ ცდილობდეს. ირანელ დიპლომატს, პირველ რიგში, აშშ ჰყავდა მხედველობაში, რომელიც ვერაფრით იჯერებს, რომ ირანს ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ ირანმა ასეთი, ბევრის აზრით, პროვოკაციული ნაბიჯი, ევროკავშირ-აშშ-ს სამიტის შემდეგ მიიღო, სადაც მონაწილეებმა დეკლარაცია შეიმუშავეს, რომლითაც ირანის ქმედებები იყო დაგმობილი. შეგახსენებთ, მანამდე, "მაგატე"-მ ირანს მოუწოდა, თავისი გადაწყვეტილებისათვის გადაეხედა და ბირთვული პროგრამა შეეჩერებინა.


ძვირფასო აბონენტებო!

ჯეოსელი გილოცავთ ზაფხულის დადგომას და შეგახსენებთ, რომ თუ საკრედიტო ან საავანსო სისტემის აბონენტი ბრძანდებით, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ფასდაკლებებით:

ჯეოსელი



GEOCELL

-50% - ღამის საათებში (24:00-08:00) განხორციელებულ ლოკალურ ზარებზე

-10% - დღის საათებში (08:00-24:00) ჯეოსელსა და ლაი-ლაიზე განხორციელებულ ზარებზე

1 ივლისიდან ღამის ფასდაკლება გავრცელდება მხოლოდ ჯეოსელსა და ლაი-ლაი-ზე განხორციელებულ ზარებზე.

www.geocell.ge

# ნარკომანიასთან ბრძოლა ორშაბათიდან

*საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლა ორშაბათიდან იწყება და, როგორც ჩანს, ეს არ უნდა იყოს მავნე ჩვევის მოყვარულთა აფერისტული დაპირების მსგავსი განცხადება. ეს არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის საქმიანი პოზიცია, რომელიც მან ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს დააფიქსირა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო დღე - 26 ივნისი საქართველოს საპატრიარქოში შეხვედრით დაიწყო, რომელსაც ლადო ჭიპაშვილმა უმნიშვნელოვანესი უწოდა. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული შეხვედრა ნარკომანიასთან ბრძოლას დიდ ბიძგს მისცემს. ამის საფუძველს იძლევა შეთანხმება მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე.

"ნარკომანიასთან ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივ, შეთანხმებულ მოქმედებას. საპატრიარქოდან წამოვიდა ინიციატივა და ორშაბათს შეიქმნება ერთობლივი მუშა-ჯგუფი, რომელიც თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე შეარჩევს ადგილს, ნარკომანთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კომპლექსისათვის. შეიქმნება კომისია, რომელიც იმუშავებს ნარკომანიასთან ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიაზე. ამავე დროს ჩვენი სამინისტრო მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ზიანის შემცირების პილოტურ პროგრამას", – განაცხადა ლადო ჭიპაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ ეს სამი კონკრეტული ნაბიჯი რეალურ შედეგს გამოიღებს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ამ კუთხით, განსაკუთრებით იმედის მომცემია უწყებათაშორისი კოორდინირებული საქმიანობა, რომელშიც, ჯანდაცვის სამინისტროს გარდა, მონაწილეობენ განათლების სამინისტრო, შსს, შიდს-ის ცენტრი და სხვა უწყებები.

დღეისათვის საქართველოში ნარკოლოგიის ინსტიტუტის ერთიან საინფორმაციო ბანკში ოფიციალურად რეგისტრირებულია 21.300 ადამიანი. აქედან 15 ათასამდე ნარკოტიკების მომხმარებელია, 6.300 კი – წამალზე დამოკიდებული. მაგრამ, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, რეალური მონაცემები ოფიციალურზე 10-ჯერ მეტი მაინცაა.

ნარკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ გელა ლეჟავას განცხადებით, რომ არაფერი ვთქვათ ერის გენოფონდის გადარჩენაზე, ნარკომანიასთან ეფექტური ბრძოლა ქვეყანაში ეკონომიკურ აღმავლობასაც გამოიწვევს. მასშტაბური პრევენციისა და ეფექტური მკურნალობისთვის სწორად დახარჯული თითოეული ლარი ორმაგ და უფრო მეტ უკუგებას მოგვცემს. აშშ-ში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ნარკოტიკი ერთხელ მაინც გაუსინჯავს 15 მილიონ ადამიანს, აქედან 2.5 მილიონს მკურნალობა სჭირდება. ოფიციალური განცხადებით, სწორედ ამ ორმილიონ ნახევარ ადამიანს მოაქვს აშშ-სთვის 160 მილიარდი დოლარის ზარალი.

ჩვენთან ნარკომანიის სახელმწიფო პროგრამა იმდენად მწირ ბიუჯეტს ითვლის, რომ 2002 წელს ამ პროგრამით მხოლოდ ოცმა ადამიანმა იმკურნალა - ისიც იმიტომ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. შარშან ნარკომანიის სახელმწიფო პროგრამისთვის ერთი ლარიც არ გადარიცხულა. სახელმწიფოს მიაჩნდა, რომ ნარკომანთა მკურნალობას აზრი არ ჰქონდა და არ იხარჯებოდა. დღეს კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წამოაყენა დევიზი – "ნარკომანიის მკურნალობა შედეგიანია" და ჩვენთანაც უნდა მოხდეს ძვრები ამ მიმართულებით. როგორც ნარკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ხათუნა თოდუამ ინატრა, - "მალე დამდგარიყოს ის დრო, როცა საქართველოც შეუერთდება ამ დევიზს".

# ვინ მოხვდება ქაფში და ჭუჭყში?!

*26 ივნისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2003-2004 სასწავლო წლის გამოსაშვები საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. მანამდე კურსდამთავრებულები თსსუ-სთან არსებული ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიის წინამძღვარმა მამა მიქაელმა დალოცა.*

თამარ ჭაჭანიძე

წელს ევროპის საგანმანათლებლო არეალში ინტეგრირებულ პირველი უმაღლესი სამედიცინო სკოლის 9 ფაკულტეტს 734 კურსდამთავრებული ჰყავს; მათგან 80 -წარჩინების დიპლომს მიიღებს. მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც არიან.

ფიცი დადებულია, მაგრამ სამედიცინო განათლების მიღება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. კვალიფიციურ ექიმებად ჩამოყალიბებამდე მათ დიპლომისშემდგომი განათლება ელით. თსსუ თავის კურსდამთავრებულებს ამის შესაძლებლობასაც აძლევს. რეზიდენტურაში სწავლების მსურველებს 2004 წლის შემოდგომიდან შეუძლიათ, "ოჯახის ექიმის" სპეციალობა მიიღონ კოლუმბია-მისურის და თსსუ-ს ერთობლივ პოსტდიპლომური სწავლების ფაკულტეტზე. წელს შეიქმნა "კლინიკური ჩვევების სასწავლო ცენტრიც", რომელიც აღჭურვილია უახლესი სასწავლო ტექნოლოგიებით - მაღალი მსგავსების სიმულატორებით, რომლებზეც სტუდენტს შეუძლია გაიაროს პრაქტიკა, მიიღოს მშობიარობა, გააკეთოს ქირურგიული ოპერაცია, თავად შექმნას და გადაჭრას ნებისმიერი ის პრობლემა, რომელიც შეიძლება ექიმის პრაქტიკაში გაჩნდეს. სამედიცინო უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტიცაა გახსნილი, რომელიც მედიცინის დარგში თარჯიმან-რეფერანტებს ამზადებს.

საქართველოში ამ დროისთვის 60-მდე უმაღლესი სამედიცინო სკოლაა გახსნილი. თუმცა, მათი უმრავლესობა თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. არადა, დღევანდელ პირობებში მხოლოდ მაღალკვალიფიციურ ექიმს შეუძლია სამსახურის შოვნა. "24 საათის" კითხვაზე, - თუ დასაქმების რა პერსპექტივა აქვთ თსსუ-ს კურსდამთავრებულებს, - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი პასუხობს: **"ვერ ხედავთ რას ვახორციელებთ ახლა ჯანდაცვის სისტემაში? მთელი ქაფი და ჭუჭყი უნდა გადავღვაროთ იმისათვის, რომ ჯანსაღი ძალა მოვიდეს".**

სამწუხაროდ, გადასაღვრელ ქაფსა და ჭუჭყში გაცილებით უფრო მეტი ადამიანი მოხვდება, ვიდრე სამკურნალო დაწესებულებებში. უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებს ყოველწლიურად 3000-მდე ახალგაზრდა ამთავრებს, რასაც ლადო ჭიპაშვილი კატასტროფას უწოდებს და სვამს კითხვას, - "რატომ ვაკარგვინებთ ამ ახალგაზრდებს საუკეთესო წლებს"? საქმე ისაა, რომ კვლავწარმოებისთვის ქვეყანას წელიწადში, მაქსიმუმ, 250-300 ექიმი სჭირდება.

მომავალ ექიმებს უნივერსიტეტის დამთავრება ჭიპაშვილთან ერთად მიულოცა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა.

*საფეხურები*

# მარის 200 ლარი სასწრაფოდ სჭირდება!

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი – "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

თინათინ ასათიანი

(მარის დედის სახელი და გვარი გამოგონილია)

ვერა აზმაიფარაშვილი მეუღლესთან და შვილებთან - სამი წლის მარისა და ერთი წლის ნიკასთან ერთად თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, ნაქირავებ მიწურში ცხოვრობს და მასში ყოველთვიურად 30 ლარს იხდის გაჭირვებით.

მარის და ნიკას რამდენიმე თვის წინათ წითელა დაემართათ და დილმის ბავშვთა მეორე საავადმყოფოში იწვნენ. მშობლებს მათი ინფექციურში გადაყვანა მოუხდათ. მარის იქ კარდიოგრამა გადაუღეს და ქალბატონ ვერას ბავშვისთვის ექოსკოპიის გაკეთება სთხოვეს. ამის შემდეგ დედამ ქალიშვილი ჯო ენის სახელობის კლინიკაში მიიყვანა და ექიმების - ირაკლი მეტრეველის, თამთა ბოცვაძისა და ვახო ხელაშვილის დახმარებით, შვილს უფასოდ გადაუღო ექოსკოპია.

ექოსკოპიის შემდეგ გაირკვა, რომ ბავშვის გული ჰქონდა გადიდებული. ექიმების თქმით, შესაძლებელი იყო, ბავშვს გულზე წანაზარდები ჰქონოდა. ჯო ენის კლინიკაში არსებული აპარატურა ასეთი ტიპის დიაგნოზის დასასმელად გამოუსადეგარი აღმოჩნდა, მარისთვის კომპიუტერული ტომოგრაფია უნდა გაეკეთებინათ. საჭირო აპარატი ღუდუშაურის კლინიკაში, თოდუას ცენტრსა და სამკურნალო დიაგნოსტიკურ ცენტრ "ლეჩკომბინატში" აქვთ, მაგრამ პროცედურა 200 ლარი ჯდება, აზმაიფარაშვილებს კი ფულის გადახდის არანაირი საშუალება არ გააჩნიათ.

მარის მშობლები უმუშევრები არიან. ქალბატონ ვერას მეუღლე პერიოდულად ელიავას ბაზრობასთან დგას, რომ რამე სამუშაო იშოვოს და ოჯახში საჭმლისა და ქირის ფული შემოიტანოს, თუმცა ამას ხან ძლივს, ხანაც საერთოდ ვერ ახერხებს. 200 ლარი, რაც, თითქოს, ბევრი არაა, აზმაიფარაშვილების ოჯახისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თუ მარის დიაგნოზს სასწრაფოდ არ დაუსვამენ და დროულად არ უმკურნალებენ, ბავშვის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დგება.

შენიშვნა: სტატიის შინაარსი დაფუძნებულია რესპონდენტთან უშუალო ინტერვიუზე და მიუკერძოებლად აღწერს მხოლოდ იმ ფაქტებს, ისტორიებს, თუ პრობლემებს, რის შესახებაც თავად რესპონდენტი საუბრობს. პროექტის მიზანია, მისცეს საშუალება მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლებს, თავიანთი პრობლემების შესახებ ამცნონ საზოგადოებას.

**P.S. თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", კოორდინატორს.**

**მობ: 893 32 44 41**

**ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე:**

**stagesngo@hotmail.com**

# როდის დალევენ ოსები სააკაშვილის სადღეგრძელოს

*მეორე კვირაა, რაც, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მეშვეობით, კონფლიქტის ზონაში პენსიების დარიგება დაიწყო. ამას ოსი მოსახლეობის მხრიდან, საქართველოს პრეზიდენტის მისამართით, მადლიერების გამომხატველი სიტყვები მოჰყვა. ფონდის გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძე, მიუხედავად იქ შექმნილი პრობლემებისა, იმედოვნებს, რომ მალე ოსები საქართველოს პრეზიდენტის სადღეგრძელოსაც შესვამენ.*

ნონა მაისურაძე

- მეორე კვირაა, რაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე პენსიების დარიგება დავიწყეთ. ამ პერიოდში პენსიის მისაღებად იმაზე მეტი ადამიანი მოვიდა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით. საუბარია ოსი ეროვნების მოქალაქეებზე, ვინც დღემდე საქართველოს პენსიით არ სარგებლობდა. მათმა რიცხვმა ორასს მიაღწია. თუმცა, რეგისტრირებული გაცილებით მეტია. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მათი მოსვლა იმ პუნქტებამდე, სადაც პენსიას არიგებენ, ვერ ხერხდება.

**- ასეთი პუნქტები ცხინვალში თუ არის გახსნილი?**

- სამწუხაროდ, იქაურმა რეჟიმმა ამის საშუალება არ მოგვცა. ცხინვალში არც სახალხო ბანკის ფილიალია და არც - საქართველოს ფოსტის განყოფილება. თუმცა, ეს არ უქმნის პრობლემებს მათ, ვისაც პენსიის მიღება სურს. აღნიშნული პუნქტები გახსნილია ცხინვალის ახლომდებარე სოფლებში ნიქოზსა და თამარაშენში. საპენსიო თანხებს გასცემენ, აგრეთვე, ქურთაში, კეხვში, ვანეთში, ქსუისში, მეჯვრისხევში, ქვეშში, არცევში, ავლევში, პერევში და ირში. ჩვენი პარტნიორები სახალხო ბანკი და საქართველოს ფოსტა აღნიშნულ სოფლებში მუშაობენ და, მათი ვარაუდით, პენსიის მიმღებთა რიცხვი, მიუხედავად სამხრეთ ოსეთის მხრიდან ტოტალური დაშინებისა, საგრძნობლად გაიზრდება.

**- რა იძლევა ასეთი ვარაუდის საფუძველს?**

- ბოლო პერიოდში პენსიის გაცემა უკეთესი ტემპით მიმდინარეობს. უფრო მეტიც, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ცხინვალში იმყოფება რუსეთის საპენსიო ფონდის წარმომადგენელი. იქვე შექმნილია ჯგუფი, რომელიც ოსი ეროვნების პენსიონერებს მოუწოდებს რუსეთის მოქალაქეები გახდნენ და ისარგებლონ რუსეთის პენსიით. მათი მხრიდან სხვა დაპირებებიც გაისმის. თუმცა, ასეთი განცხადებები ვერ ახდენს გავლენას მოსახლეობაზე და ოსი პენსიონერების აქტიობა ქართულ საპენსიო პუნქტებში მაღალია.

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ოსებსა და ქართველებს შორის ხელოვნურად არის შექმნილი კონფლიქტი. სოციალური სფერო პოლიტიკიდან შორს არის. უზნეობაა ოსი ეროვნების მოქალაქეებს წაართვა უფლება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს აქვს. დაპირისპირებას იწვევენ ისინი, ვისაც არ სურს დაკარგოს კონფლიქტის წლებში მოპოვებული გავლენის სფეროები.

**- რა ფორმით ეწინააღმდეგებიან სეპარატისტები ოს მოსახლეობას?**

- სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები ოსი ეროვნების მოქალაქეებს საცხოვრებელი ადგილებიდან გასახლებით ემუქრებოდნენ. ასეთი ფორმით დაშინებამ სასურველი შედეგი რომ ვერ გამოიღო, მათთვის პირადობის მოწმობების, სხვადასხვა საბუთის ჩამორთმევა დაიწყეს, რათა რეგისტრაციისთვის ხელი შეეშალათ; უფრო მეტიც, გზაში ხვდებოდნენ მოქალაქეებს, რომლებიც პენსიის ასაღებად მოდიოდნენ და უკან აბრუნებდნენ. ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთ პენსიის დამრიგებელ



ვახო ბესელიას ფოტო

*ზაზა სოფრომაძე: ეჭვი არ მეპარება, რომ მალე ოსები საქართველოს პრეზიდენტის სადღეგრძელოსაც.*

პუნქტთან 25-კაციანი შეიარაღებული რაზმი მუშაობდა მსგავსი დანაშაულებრივი ქმედების შესასრულებლად.

სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები არც ფიზიკურ შეურაცხყოფას და მოქალაქეების დაკავებას ერიდებოდნენ. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა სახალხო ბანკის წარმომადგენლები დააკავეს. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ფონდის თანამშრომლებსაც. თუმცა, ამ დანაშაულებრივმა ქმედებამ შედეგი ვერ გამოიღო. პრობლემები დროებითია და მიმდინარე პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. ცხინვალიდან პენსიონერები ამჟამადაც გამოდიან ჩვენს მიერ გახსნილ პუნქტებში და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

**- სამედიცინო დაზღვევის პროგრამებსაც ხომ არ შეექმნათ პრობლემები?**

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მხარდაჭერით, სამხრეთ ოსეთში სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამები ჩავიტანეთ. ეს პროცესი ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ცხინვალშიც ერთდროულად დაიწყო. ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, უფლება აქვს, ჩვენი პროგრამების ფარგლებში იმკურნალოს. ქურთაში გახსნილია კლინიკა, სადაც ქართველი და ოსი ეროვნების მოქალაქეები სამედიცინო დახმარებას, კარგა ხანია, იღებენ.

ასე რომ, ხელოვნურად შექმნეს იმის ილუზია, თითქოს მოსახლეობაში კონფლიქტია. ეროვნულ შუღლზე და დაპირისპირებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

1500-მდე რეგისტრირებული ოსი ეროვნების პენსიონერი მალე, ყოველგვარი შიშისა და დაბრკოლების გარეშე, აიღებს კუთვნილ პენსიას, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დააწესა. ეჭვი არ მეპარება, რომ მალე ისინი საქართველოს პრეზიდენტის სადღეგრძელოსაც დალევენ.

# "ვისაც გული ეწვის, ეს ხალხიც იმან შეიფაროს"...

*რაია თამლიანის მრავალშვილიანმა ოჯახმა მესტია 12 წლის წინათ, მეწყერის გამო, დატოვა. მათ მცხეთის რაიონის სოფელ "აგარაკში" თათრების მიერ მიტოვებული სათავსო მონახეს და დღემდე იქ ცხოვრობენ. გააგრძელებენ თუ არა თამლიანები ამ სახლში ცხოვრებას, 9 ივლისს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტს. თამლიანებს საცხოვრებელ ფართს "მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი" ედავება. ფონდმა, მათი გამოსახლების მოთხოვნით, ჯერ მცხეთის რაიონულ სასამართლოს, შემდეგ კი საოლქო სასამართლოს მიმართა. ამჟამად საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. თუკი მოსამართლე თამლიანების ოჯახს გამოსახლების განაჩენს გამოუტანს, მათ ღია ცის ქვეშ ცხოვრება მოუწევთ.*

თამარ დვალი

**"მესტიაში ჩვენი სახლი მეწყერსაშიშ ზონაში მდებარეობდა და იძულებული შევიქენით, წამოვსულიყავით. ოთხი შვილი მყავს და აქედან ერთი ავადმყოფია. რადგანაც, ბავშვს ექიმის ხშირი კონტროლი ესაჭიროებოდა, თბილისთან ახლოს დავსახლდით. სოფელ აგარაკში "მრავალშვილიან დედათა ასოციაციის" დახმარებით აღმოვჩნდი. სათავსო, რომელიც ადრე თათრებს ეკუთვნოდათ, არავიზე არ იყო გაფორმებული. ჩვენ ეს შენობა შევაკეთეთ, საქონელი მოვამრავლეთ და აქამდე ისე ვცხოვრობდით, არავინ შეგვდავებია",** - აღნიშნა ოთხი შვილის მარტოხელა დედამ რაია თამლიანმა.



*რაია თამლიანი: ჩვენ ეს შენობა შევაკეთეთ, საქონელი მოვამრავლეთ და აქამდე ისე ვცხოვრობდით, არავინ შეგვდავებია.*



ვახო ბესელიას ფოტოები

*დავით კუპრეიშვილი: ჩვენ სახლი არავისთვის გვიჩუქებია*

შეგახსენებთ, რომ 1989 წელს, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, "მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი" შეიქმნა. მისი დამფუძნებლები იყვნენ: მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ირაკლი ბათიაშვილი, ნოდარ ნათაძე, ვაჟა ადამია, დავით კუპრეიშვილი და სხვები. ფონდის მთავარ მიზანს სოციალურად დაუცველი ხალხის დახმარება წარმოადგენდა. ისინი საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისაგან ყიდულობდნენ სახლებს და შემდეგ განვადებით, ანუ საბოლოო შესყიდვის ფორმით, გადასცემდნენ სტიქიით დაზარალებულ, მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს. აღნიშნულმა ფონდმა მომდევნო წლებში თავისი საქმიანობა შეაჩერა და 1996 წელს კვლავ დარეგისტრირდა. ძველი დამფუძნებლებიდან მხოლოდ ვაჟა ადამია და დავით კუპრეიშვილი დარჩნენ.

თამლიანების ადვოკატის გაცხადებით, 1998 წელს ვაჟა ადამიამ და დავით კუპრეიშვილმა ახალი ფირმა დაარეგისტრირეს, რომლის ბალანსზეც 1989 წელს რეგისტრირებული ქონება გაატარეს და, ყველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე, თავი მერაბ კოსტავას დროს შექმნილი ფონდის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადეს. 2000 წლიდან აღნიშნულმა ფონდმა 90-იან წლებში შესახლებული მოსახლეობის წინააღმდეგ სასამართლო პროცესები დაიწყო. ისინი იმ ხალხის გამოსახლებას ითხოვდნენ, რომლებმაც ფულის გადახდა ვერ შეძლეს.

თამლიანების შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. კოსტავას სახელობის ფონდს მათთან არანაირი ხელშეკრულება არ გაუფორმებია. როგორც ქალბატონი რაია აცხადებს, მან სათავსო თვითნებურად დაიკავა: **"მე კოსტავას სახელობის ფონდთან არანაირი შეხება არ მქონია. აღნიშნულმა ფონდმა ჩემს მეზობლად წიკლაურების ოჯახი დაასახლა, თუმცა მათ თანხა ვერ გადაიხადეს და ახლა ისინიც უნდა გამოასახლონ. წიკლაურებს ეკუთვნით ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი და ორი სათავსო. ჩემი სახლი მათგან მოშორებიითაა. ახლა ესენი ამბობენ, რომ ჩემი სახლი წიკლაურების ერთ-ერთი სათავსოა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მართალია, იურიდიულად ეს სახლი მე არ მეკუთვნის, მაგრამ იგი არც ფონდის საკუთრება არ არის".**

თამლიანების ადვოკატი ვახტანგ ჩარგეიშვილი: **"სოფელ აგარაკის ტერიტორიაზე ბევრი უკანონოდ აშენებული სახლი იყო, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ. ფონდმა ეს სახლები სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის შეიძინა, აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნაწილმა კი სახლები თავისით დატოვა. ჩვენ გვაქვს საბუთები, რომ ის ხალხი, ვინც რაია თამლიანს უჩივის, სადავო ტერიტორიის იურიდიული მემკვიდრეები არ არიან, ისინი ფონდის სახელს იყენებენ. თუკი ეს ქონება ფონდის საკუთრება იყო, იგი მცხეთის საჯარო რეესტრში უნდა იყოს გატარებული, რაც დღემდე არ არის გაკეთებული. წიკლაურთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში თამლიანების საცხოვრებელი ფართი არ ფიგურირებს. უკვე 12 წელიწადია, ეს ოჯახი იქ ცხოვრობს და აქამდე არავინ შესდავებია. ისიც საკითხავია, თუ რა მორალური უფლება აქვს ფონდს, რომელსაც წესდებაში უწერია, რომ ასეთი კატეგორიის ხალხს დაეხმაროს, დახმარების მაგივრად, მათ გამოსახლებას ეწევა".**

მერაბ კოსტავას სახელობის ფონდის წარმომადგენელი და დამფუძნებელი დავით კუპრეიშვილი მიიჩნევს, რომ სადავო ტერიტორია მათი საკუთრებაა. მისივე თქმით, 1997 წლამდე ვისაც აქვს სახლი ნაყიდი, არავის სახლი არ არის საჯარო რეესტრში გატარებული და არც მათი შემთხვევაა გამონაკლისი.

**"ჩვენ სახლი არავისთვის გვიჩუქებია. პერიოდულად ყველას უნდა გადაეხადა თანხა, რომ ფონდს მუშაობა გაეგრძელებინა. თამლიანებს ოთხი შვილი კი არა, 14-იც რომ ჰყავდეთ, სახლს მაინც ვერ ვაჩუქებთ. ჩვენ მათ გამოსახლებას მოვითხოვთ. ისინი სახლში ძალით შეიჭრნენ",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დავით კუპრეიშვილმა. ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს კი შემდეგნაირად უპასუხა:

- დავუშვათ, ეს სახლი თამლიანების ოჯახს კანონიერად არ ეკუთვნის, მაგრამ თქვენ ხომ საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენელი ბრძანდებით, რომლის მოვალეობაც ასეთი ხალხის დახმარებაა. თანაც არსებობს მორალი, რომელიც სასამართლომ შეიძლება არ გაითვალისწინოს...

**- მორალზე ნუ გველაპარაკებით. ჩვენ 90-იან წლებში 800 ოჯახი დავასახლეთ. მორალი და მოძალადეობა სხვადასხვა რამაა. თქვენს სახლში რომ ვინმე ძალით შემოიჭრას, რას იზამთ, არ გამოასახლებთ? თამლიანები იმ სახლის კანონიერი მფლობელები არ არიან.**

- ეს ოჯახი თქვენ არ შეგისახლებიათ და არც ხელშეკრულება გაქვთ გაფორმებული. თუკი თქვენს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, რატომ აქამდე არ დააყენეთ მათი გამოსახლების საკითხი?

**- აქამდე არ ვიცოდი ესენი თუ იქ ცხოვრობდნენ. ხომ არ შეიძლება ყველა ვიცოდე, ვინც სათავსოში ცხოვრობს? ახლა ჩვენი ქონების უკან დაბრუნებას მოვითხოვთ და ამის სრული იურიდიული უფლება გვაქვს.**

- ცოტა უხერხული ხომ არ იქნება, მერაბ კოსტავას სახელობის ფონდმა გარეთ დატოვოს სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მრავალშვილიანი ოჯახი?

**- ესენი ჩვენს საკუთრებას არ ცნობენ. ვისაც გული ეწვის, წავიდეს და თავის სახლში შეასახლოს. 10 წელი ხომ ცხოვრობდნენ იმ სახლში? თუკი ჩვენს საკუთრებას აღიარებენ, შეიძლება დავსხდეთ და დავილაპარაკოთ, სად შეიძლება მოხდეს მათი შესახლება...**

# როგორი კანონებით იცავენ საქართველოში არასრულწლოვან პატიმართა უფლებებს



*არსრულწლოვან პატიმართა ბედი სპეციალური განათლების მქონე მოსამართლეებმა უნდა განსაზღვრონ.*

*ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვისაც სჯერა, რომ ციხე დამნაშავეთა გამოსასწორებელი ადგილია. პირიქით, დღეს უკვე აღიარებულია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთხელ მოხვედრილი ადამიანი (მით უმეტეს, საქართველოს პირობებში) მეორედ, მესამედ და უფრო მეტჯერაც უბრუნდება თავისუფლების აღკვეთის ადგილს. პრობლემა კი უცვლელი რჩება - ციხეში მოხვედრის შემდეგ, გამოსწორებული ადამიანის ნაცვლად, საზოგადოებას კიდევ უფრო საშიში პიროვნება უბრუნდება. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა დარგის მეცნიერები მუშაობენ იმ ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე, რითაც დამნაშავის პიროვნება იქნება შესწავლილი და მათ გამოსწორების საშუალება მიეცემათ, ხოლო თავისუფლების აღკვეთა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება. ამ მხრივ, მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღება არასრულწლოვან დამნაშავეებს ექცევათ, რაც ყველა ქვეყნის კანონმდებლობებში პირდაპირ არის მითითებული და რის აღსრულებაზეც პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, სწორედ ხელისუფლებას ეკისრება. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში არასრულწლოვან დამნაშავეებზე მხოლოდ კანონის შექმნით დაწესებული ზრუნვა ზოგჯერ ახალი უკანონობის დასაბამი ხდება.*

თამარ კაციტაძე

### კანონის არსებობა კანონიერების დამკვიდრებას არ ნიშნავს

არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის სასჯელის შეფარდების თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაშიც არის გათვალისწინებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ კატეგორიის დამნაშავეებთან სპეციფიკური მიდგომა, ხშირად, ბრალდებულის მხარესაც და მართლმსაჯულების წარმომადგენლებსაც ავიწყდებათ ხოლმე. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს, მთავარი კი პრობლემის მარტივად გადაჭრა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაა – **დამნაშავე უნდა დაისაჯოს** – ეს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული პრინციპია, რაც ხშირად სწორედ უცოდინრობისგან მოდის. ამის გამო კი, არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ხშირად შეხვდებით პატიმრებს, რომლებიც უკიდურესმა გაჭირვებამ დანაშაულამდე მიიყვანა და ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვისაც საკმაოდ მძიმე სასჯელის იხდიან.

თავისთავად ცხადია, ჩვეულებრივი ადამიანისთვის, თუნდაც იგი მართლმსაჯულების წარმომადგენელი იყოს, თუ მას სპეციალური განათლება არ გააჩნია, ძნელი განსასაზღვრია, ესა თუ ის პიროვნება შემთხვევით გახდა დამნაშავე თუ იგი დანაშაულისკენ არის მიდრეკილი. ამის დასარეგულირებლად საქართველოს კანონმდებლობაში "დაზღვევის" რამდენიმე მექანიზმია ჩადებული. ამ მხრივ, სხვა სისტემებში არსებულ პრობლემებს დღეს არ შევეხებით და მხოლოდ ქართულ მართლმსაჯულებაზე ვისაუბრებთ, რომლის წლევანდელი გადაწყვეტილებებიც, ნებსით თუ უნებლიედ, თავად არის კანონის დარღვევა.

საბჭოური სამართალწარმოების შემდეგ, დღევანდელი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები არასრულწლოვანი პატიმრების ბედზე ზრუნვით აიხსნა. ერთ-ერთი ასეთი ცვლილებაა აღნიშნული კატეგორიის ბრალდებულების საქმეებზე მომუშავე მოსამართლეებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების მოთხოვნის დაწესება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2000 წლის რედაქციით: **"არასრულწლოვანის დანაშაულის შესახებ საქმის სასამართლო განხილვას ატარებენ მოსამართლეები, რომლებსაც, როგორც წესი, გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში".**

მიუხედავად კანონის არცთუ კატეგორიული, მაგრამ მაინც მოთხოვნისა, საქართველოში იმ პერიოდში არ არსებობდნენ მოსამართლეები, რომლებსაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში შესაბამისი განათლება ჰქონდათ მიღებული. თუმცა, ისინი არასრულწლოვანთა ბედს მაინც წყვეტდნენ და ამით კანონიც არ ირღვეოდა.

**"ვინაიდან ქვეყანაში არ არსებობდა მოსამართლეთათვის შესაბამისი განათლების მიღების საშუალება, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძველი რედაქციის 654-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა არ იყო, რომ მოსამართლეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში განათლება აუცილებლად უნდა ჰქონოდა, ამიტომ გამონაკლისის წესით ვმუშაობდით",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ნინო გვენეტაძამ.

საკანონმდებლო შესაძლებლობიდან გამომდინარე, არასრულწლოვნების საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას, მართალია, კანონი სრულად არ იყო დაცული, მაგრამ იგი არც ირღვეოდა და, აქედან გამომდინარე, გასული წლების სასამართლო გადაწყვეტილებებიც კანონიერად ითვლება. არადა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, რაც ევროსაბჭოს შესაბამისი კონვენციის მოთხოვნაც არის (რომელსაც საქართველო ჯერ კიდევ 1995 წელს შეუერთდა), მოსამართლეთა სპეციფიკური განათლება, არასრულწლოვანთა ბედის განსაზღვრისას, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ქართველმა კანონმდებლებმაც დაადასტურეს და კანონის მოთხოვნა საბოლოოდ გაამკაცრეს.

2004 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო გახდა, რომ არასრულწლოვანთა საქმეები მხოლოდ და მხოლოდ იმ მოსამართლეებს განეხილათ, რომელთაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური განათლება ჰქონდათ მიღებული.

**"ახალი რედაქციით, კანონს უკვე იმპერატიული მოთხოვნა აქვს და გამონაკლისის წესით მუშაობა შეუძლებელია. ყოველივე ამან კი სასამართლოებში პრობლემა შექმნა. იმისათვის, რომ კანონი სრულფასოვნად ამუშავებულიყო, პარალელურად უნდა მომხდარიყო მისი უზრუნველყოფაც. ანუ, უნდა შექმნილიყო სპეციალური კურსები. მას ის მოსამართლეები გაივლიდნენ, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებს იხილავენ და რომლებიც არასრულწლოვნების საქმეებზე იმუშავებდნენ,"** - ამბობს ნინო გვენეტაძე.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა და აღნიშნული საქმეების განხილვა დღესაც ძველი წესით გრძელდება. ანუ, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, შესაბამისი კადრების არარსებობის გამო, არასრულწლოვანთა საქმეებსაც ის მოსამართლეები იხილავენ, რომლებსაც პედაგოგიური და ფსიქოლოგიური განათლება არ გააჩნიათ. მიმდინარე წელს მართლმსაჯულებამ სულ 47 არასრულწლოვანის საქმე განიხილა, რაც, ფაქტობრივად, კანონის მოთხოვნის იგნორირებით მოხდა და, აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 47 არასრულწლოვანი კანონის დარღვევით არის გასამართლებული.

**"იმისათვის, რომ პრობლემა მოგვარებულიყო, თავის დროზე, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ ლადო ჭანტურიამ რამდენჯერმე მიმართა ხელისუფლებას და იუსტიციის საბჭოს, მაგრამ უშედეგოდ. ივნისში, კვლავ ლადო ჭანტურიას თხოვნით, სამოსამართლეო სწავლების ცენტრში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალური კურსი შეიქმნა, სადაც მომზადება ყველა ინსტანციის დაახლოებით 30-მა მოსამართლემ გაიარა და შესაბამისი სერტიფიკატიც მიიღო. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თუ ხელისუფლებამ სასწრაფოდ არ მიიღო ზომები და შესაბამისი სახსრები არ გამონახა, მართლმსაჯულება კვლავ პრობლემის წინაშე დარჩება",** - ამბობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

სხვათა შორის, იმისათვის, რომ უზენაესი სასამართლო თავად არ გამხდარიყო კანონის დამრღვევი ორგანო, არასრულწლოვნების საქმეებზე საკასაციო საჩივრების განხილვა 2004 წლის 1 იანვრიდან დღემდე შეჩერებულია. ამის საშუალებას მათ საქმის განსახილველი ვადები აძლევთ, მაგრამ რა უნდა ექნათ პირველი ინსტანციის მოსამართლეებს, რომლებსაც კანონი ასევე უზღუდავს საქმის განსახილველ ვადებს? შეიძლება თუ არა აღნიშნული მოსამართლეების საქციელი კანონდარღვევად ჩაითვალოს ან ვინ არის ყოველივე ამაზე პასუხისმგებელი?

**"დარღვევა სახეზეა, მაგრამ თუ საქმე განსახილველია და შესაბამისი მოსამართლე არ გვყავს, საქმის განუხილველად დატოვება, ჩემი აზრით, უფრო დიდი კანონდარღვევა იქნება. მოსამართლეს, რომელთანაც ასეთი საქმე შევიდა, განათლების არქონის გამო განხილვაზე რომ უარი ეთქვა, ის კონკრეტულად თავის პრობლემას გადაწყვეტდა. მაგრამ, საქმე ვიღაცას ხომ უნდა განეხილა? აქედან გამომდინარე, არა მგონია, არსებობდეს საქმის ხელახალი გადასინჯვის აუცილებლობაც.**

**ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება იმათ, ვისაც მოსამართლეების სათანადო მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება ევალება. საუბარი მაქვს იუსტიციის საბჭოზე, რომელიც სასამართლოს პოლიტიკას განსაზღვრავს და თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა. საუბარი არ არის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. ამასთან, როდესაც ეს კანონპროექტი დამტკიცდა, კონკრეტული ხარჯთაღრიცხვა უნდა მოჰყოლოდა, რადგან იგი დამატებით ხარჯებს საჭიროებს. კანონმდებელმა, ვიდრე ახალ კანონს შექმნის, მისი შესრულების რეალურობა უნდა გაარკვიოს. ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს მთავარი ნაკლი ის არის, რომ საქმე ახალი კანონის ან ნორმის შექმნისთანავე დამთავრებულად ითვლება, თითქოს ეს არის პრობლემის მოგვარების მწვერვალი, სინამდვილეში ეს არის მხოლოდ დასაწყისი და აღნიშნული ფაქტიც ამის დასტურია,"** - ასეთია დამოუკიდებელი ექსპერტ-იურისტის დავით უსუფაშვილის პოზიცია.

მოკლედ, პრობლემა სახეზეა და იგი სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ხელისუფლება არასრულწლოვან პატიმრებზე მხოლოდ ქაღალდზე ფიქრობს და ამით სხვებსაც პრობლემებს უქმნის.

# დაკავებულის წამებისთვის არც ერთი პოლიციელი არ დასჯილა

წლეულს იუსიტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში შეყვანილ პატიმართაგან 209-ს სხეულის დაზიანებები აღენიშნებოდა და 71 მათგანი აცხადებდა, რომ ამის მიზეზი პოლიციელთა მხრიდან მათი წამება იყო.

ეს ციფრი გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 15 პროცენტით ნაკლებია.

ამ ციფრებს არასამთავრობო ორგანიზაციები და ადვოკატები არასწორ აღრიცხვას, ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტი - პატიმრებში სხეულის დაზიანების ფაქტების რეალურ შემცირებას მიაწერენ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ლაშა კლდიაშვილის თქმით, არავითარი გამართლება არ აქვს იმ ფაქტს, რომ დღემდე არავინ დასჯილა სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით, რომელიც პატიმრების წამებისათვის 4-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*მედია-ნიუსი*

# იუსტიციის სამინისტროში ახალი საზოგადოებრივი საბჭოს შექმნას აპირებენ

არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე შს და იუსტიციის სამინისტროებს ბრალდებებს უყენებს.

მისი თქმით, იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა გააუქმა იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭო, რომელშიც 17 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი შედიოდა და ამით საზოგადოებას პენიტენციალური სისტემის კონტროლის გზა მოუსპო, შს სამინისტრო კი კიდევ უფრო კარჩაკეტილი გახდა, ვიდრე მანამდე იყო.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს შექმნა კანონზე არ იყო დაფუძნებული და, შესაბამისად, ეს ორგანო კანონგარეშე საქმიანობდა. ამჟამად სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა მინისტრის სათათბირო ორგანოს - საზოგადოებრივი საბჭოს შექმნაზე, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები გაერთიანდებიან.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** უშიშროების მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მისივე უწყების დასავლეთ საქართველოს სამმართველოში საკადრო ცვლილებები განახორციელა.

სამსახურიდან გათავისუფლდა უშიშროების დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს უფროსი გოჩა მიქაუტაძე, ხოლო ამ პოსტზე მისი მოადგილე სოსო ნუცუბიძე დაინიშნა. როგორც უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, გოჩა მიქაუტაძის მუშაობით მინისტრი კმაყოფილია და მას, სავარაუდოდ, თბილისის ან მცხეთა-მთიანეთის რეგიონის უშიშროების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დანიშნავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო პოლიციის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ქუთაისის სამობილიზაციო განყოფილების უფროსი მაიორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს. იგი გარკვეული თანხის სანაცვლოდ მოქალაქეებს სამხედრო ბილეთის გაცემაში ეხმარებოდა.

სამართალდამცველებმა ლორთქიფანიძე მაშინ დააკავეს, როცა მან ამ მიზნით მირიან ფურცხვანიძეს 100 ლარი გამოსძალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უცხოელ მოქალაქეზე განხორციელებული ყაჩაღობისთვის ძებნილი უ. ჯიქია, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის და შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა პარასკევს, ერთობლივი მუშაობის შედეგად დააკავეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული პიროვნება, ჯერჯერობით დაუდგენელ პირთან ერთად, ხობის რაიონის სოფელ საგვიჩიოსთან თავს დაესხა ბულგარეთის რესპუბლიკის მოქალაქე პ. ბამბელოვს და ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის მუქარით 10 400 აშშ. დოლარი, მობილური ტელეფონი და პირადი საბუთები გასტაცა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 30 000 ლარის ღირებულების სომხური დასახელების საქონელი დააკავეს თბილისის რკინიგზის სადგურში, სატრანსპორტო პოლიციის კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, დაკავებულია 2 ტონამდე ყავა, რომელიც სომხეთის მოქალაქეებს რობერტ ჩუგურიანსა და კამუ სირდანიანს, საბაჟო წესების დარღვევით, თბილისში სარეალიზაციოდ შემოჰქონდათ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთიდან თბილისისკენ, ე.წ. ლილოს ბაზრობაზე მიმავალი მიკროავტობუსი გუშინწინ საღამოს დააყაჩაღეს. ექვსი ნიღბიანი პირი, რომლებიც დანებითა და პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულები, "ფორდის" ტიპის მიკროავტობუსს ჭიათურის რაიონის სოფელ კალაურის ტერიტორიაზე დახვდა. თავდამსხმელებმა იარაღის მუქარითა და ძალის გამოყენებით მგზავრების კუთვნილი თანხა - 4000 ლარი გაიტაცეს, რის შემდეგაც მიიმალნენ. დაზარალებულები ლილოს ბაზრობაზე სავაჭროდ მიდიოდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ზესტაფონელმა სამართალდამცველებმა, სპეცოპერაციის შედეგად, ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი გიორგი ყოყოჩიშვილი სოფელ დილიკაურში აიყვანეს. მას დაკავების დროს წინააღმდეგობა არ გაუწევია. წარსულში ორჯერ ნასამართლევი, 30 წლის ყოყოჩიშვილი, რომელიც თელავის რაიონის სოფელ კარფში ცხოვრობს, მიმდინარე წლის აპრილის თვეში, ზესტაფონში, გურამ ბერაძის ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაშია ეჭვმიტანილი. დაზარალებულმა დაკავებული გიორგი ყოყოჩიშვილი ამოიცნო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბელორუსის რესპუბლიკის სამართალდამცველების მიერ მკვლელობის ბრალდებით ძებნილი, გარდაბნის რაიონის სოფ. ბოტანიკაში მცხოვრები, 36 წლის ალადინ იუსუპოვი შსს ძებნის სამმართველოსა და ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. იუსუპოვის მიმართ აღძრული საქმის მასალებს საქართველოში ბელორუსიდან გადმოაგზავნიან და საქმის გამოძიება საქართველოში გაგრძელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ყაჩაღობისათვის ძებნილი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ნასამართლევი, 37 წლის გელა წურწუმია 25 ივნისს ხობის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. ბრალდების თანახმად, წურწუმია წლეულს, 14 აპრილს, დაუდგენელ პირებთან ერთად - ხობში, ჭალადიდელის ქუჩაზე მცხოვრებ პანტელეიმონ ალექსანდრიას ოჯახს, ხოლო 17 აპრილს - ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონში მცხოვრებ გივი ქანთარიას ოჯახს დაესხა თავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობისათვის ძებნილი, 42 წლის მანველ სოლომონიანი. შს სამინისტროს ინფორმაციით, მანველ სოლომონიანმა 2003 წლის 17 დეკემბერს სომხეთის ქუჩაზე დანით მოკლა ყოფილი მეუღლე ნ. ბალიევა. როგორც გაირკვა, სოლომონიანი რუსეთის ფედერაციის ქალაქ ბრიანსკში ჩადენილი მკვლელობისთვისაც იძებნებოდა. **მედია-ნიუსი**

# ახალი საგუშაგოები აფხაზური მილიციის წინააღმდეგ

ბოლო ერთი კვირის განმავლობში წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონის სოფლებში შეიარაღებული აფხაზების გადმოსვლამ და მათ მიერ ქართველების მიმართ გატარებულმა სადამსჯელო ღონისძიებებმა პიკს მიაღწია. შეიარაღებული აფხაზები, რომლებიც საკუთარ თავს აფხაზური მილიციის წარმომადგენლებად ასაღებენ, თავს ესხმიან ქართულ ოჯახებს და განსხვავებული აზრის მქონე ქართველებს სასტიკად უსწორდებიან. ყველაფერი კი იმით სრულდება, რომ მათ რამდენიმე ქართველი გაურკვეველი მიმართულებით მძევლად მიჰყავთ. გუშინწინ ღამით, შეიარაღებულ აფხაზთა მორიგი ეგზეკუცია სოფელ საბერიოში განხორციელდა. ისმოდა სროლის ხმაც. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ იქ შეჭრილმა აფხაზებმა ორი ქართველი – შონია და ჩაკაბერია უმიზეზოდ დააკავეს და გაიტაცეს.

განვითარებული მოვლენებისა და მოხშირებული თავდასხმების აღსაკვეთად ქართველმა სამართალდამცველებმა გამოსავალი მოძებნეს. შესაძლოა, წალენჯიხის რაიონში პოლიციისა და შინაგანი ჯარის რამდენიმე ერთობლივი საგუშაგო გაიხსნას. "დამატებითი საგუშაგოების გახსნა მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისა და კონტრაბანდასთან ბრძოლისთვის აუცილებელია", - აცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ახალი უფროსი მერაბ ბალათურია.

# ნეო-ფოლკი და ქართული საბრძოლო ხელოვნება

ნინო ცინცაძე

*დედა, ასმათ ლეჟავა - ხელოვნებათმცოდნე; მამა, სამსონ ლეჟავა - ხელოვნებათმცოდნე; შვილები, ზურა ლეჟავა - გერმანისტი და ნიკა ლეჟავა - მედიკოსი. გარდა იმისა, რომ ეს ადამიანები ერთი ოჯახის წევრები არიან, მათ სხვა რამეც აერთიანებთ - ქართული ხალხური მუსიკის სიყვარული. ოღონდ, ეს უბრალო სიყვარული არ არის; იგი ქმედითი და აქტიურია.*

"გიმნაზისტი გიმნაზისტკას
ეფიცება, აძლევს სიტყვას.."

ეს სიმღერა ხომ ყველამ იცით? ჰოდა, იგი ბატონი სამსონის ბაბუის, პლატონ ლეჟავას დაწერილია. არსებობს დისკიც: მღერის ლეჟავების ოთხი თაობა. ამ დისკში პლატონ ლეჟავას სიმღერებიც შედის, ბატონი სამსონის მამის, ბატონი სამსონისა და მისი მეუღლის საავტორო სიმღერებიც და ბიჭების მუსიკაც. 2001 წელს ლეჟავების ოჯახმა მეორე დისკიც ჩაწერა. ეს დისკი უკვე ჯგუფი "დეციშის" სახელს ატარებს, მისი წევრები კი სამსონ, ზურა და ნიკა ლეჟავები არიან. ეს არის კონცეპტუალური დისკი - ტრადიციული ეთნოფოლკის პრინციპებზე დაფუძნებული ინსტრუმენტული მუსიკა.

სიტყვა - დეციში - ძველ სვანურ "ლილეში" გვხვდება და მისი შინაარსი ცის საუფლოს უკავშირდება. **"ჩვენს მიმდინარეობას, პირობითად, შეიძლება ნეო-ფოლკი დავარქვათ,** - ამბობს ბატონი სამსონი, - **იგი მთლიანად ქართულ ფოლკლორზეა დამყარებული, ოღონდ თანამედროვე, საავტორო კომპოზიციების სახითაა წარმოდგენილი და, ბუნებრივია, თანამედროვე ინსტრუმენტებით სრულდება**". თუმცა, ინსტრუმენტების გამოყენებისას ლეჟავები თავს არ იზღუდავენ. თანამედროვე გიტარის, ბას-გიტარის და დასარტყამი ინსტრუმენტები გარდა, უარს არც ტრადიციულებზე ამბობენ, იქნება ეს დიპლიპიტო დოლი, ჩონგური, ფანდური, ჩანგი, ჭუნირი თუ სხვა. კიდევ ერთს ინსტრუმენტსაც იყენებენ, რომელსაც "ჩონტარს" უწოდებენ, რადგან გიტარის შესაძლებლობები, მაგრამ ჩონგურის ჟღერადობა აქვს. ლეჟავებისათვის ხალხური ინსტრუმენტები, სამუზეუმე ნივთთა გროვა კი არა, ცოცხალი მუზიცირების საშუალებაა. ისინი სოფელ-სოფელ დადიან და ცდილობენ, იმ "უკანასკნელი მოჰიკანების" ჩანაწერები გააკეთონ, რომლებიც ჯერ კიდევ ნამდვილ ტრადიციულ ინსტრუმენტებზე უკრავენ. უკანასკნელად, მაგალითად, სოფელ ბულაჩაურში ჩაიწერეს ხევისბერი ღვთისო პატარაშვილი, რომელიც ტრადიციულად დამზადებულ ფანდურზე მღერის.

ლეჟავების შემოქმედება საინტერესო კიდევ იმითია, რომ მათ თავიანთი მუსიკალური ექსპერიმენტები ქართული საბრძოლო ხელოვნების ჯგუფს დაუკავშირეს. როგორც ბატონი სამსონი ამბობს, ქართული საბრძოლო ხელოვნების პლასტიკური კოდი ძალიან ახლოსაა ქართულ ქორეოგრაფიასთან. ოღონდ, სხვა ფოლკლორული ანსამბლებისაგან განსხვავებით, ისინი ცდილობენ, მუსიკას ქართული საბრძოლო ხელოვნების ნამდვილი ელემენტები შეურწყან.

## ქართული საბრძოლო ხელოვნების პლასტიკის თეატრი

ლეჟავების ოჯახისა არ იყოს, სოფელ-სოფელ ლაშა კობახიძე და მისი მეგობრებიც დადიან, თუმცა ისინი მუსიკას კი არა, ქართული საბრძოლო ხელოვნების ელემენტებს ეძებენ. ლაშა კობახიძე: "**დავდიოდით სხვადასხვა კუთხეში, დავეძებდით მოხუცებს; მივაგენით რამდენიმე ადამიანს, რომლებმაც საბრძოლო ხელოვნების ძირი იცოდნენ, შემდეგ კი უკვე ამ ძირზე აშენება თავად დავიწყეთ, მერე ეს ყველაფერი გავაერთიანეთ და საბრძოლო ხელოვნებად ჩამოვაყალიბეთ**". თავის დროზე დააარსეს ფედერაცია "ხრიდოლი", მაგრამ მერე ხრიდოლის სპეციალისტობა იმდენმა ხალხმა დაიბრალა, რომ ხრიდოლი-კარატეც კი შექმნეს. ახლა ლაშამ და მისმა მეგობრებმა, საბრძოლო ხელოვნების ბაზაზე, პლასტიკის თეატრი დააარსეს. მათი მიზანია, ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნება, მაქსიმალურად რეალურად წარმოაჩინონ - ბრძოლისას ძალიან მნიშვნელოვანი მიწაზე მყარად დგომის და გადაადგილების პრინციპია; ცეკვისას კი ამის კარგად დაფიქსირება შეუძლებელია. ბოლო წლებში ლეჟავების ჯგუფთან ერთად ქართული საბრძოლო ხელოვნების პლასტიკის თეატრმა რამდენიმე ერთობლივი პროექტი განახორციელა. 1999 წელს მუსიკა და ქართული საბრძოლო ხელოვნება მიშა მრევლიშვილისა და სანდრო კაპანაძის მიერ გადაღებულ სატელევიზიო კლიპში იყო შეკავშირებული. 2000 წელს ქორეოგრაფმა ბოჟენა ტიტოვამ ქართული ფოლკლორის თეატრში დადგმა "ზღაპარ იყო" განახორციელა, წელს კი ფესტივალ "არტ-გენშიც" მიიღეს მონაწილეობა და "შარდენის ქუჩის ფესტივალშიც." ამ ფესტივალებზე "დეციშის" ძალიან დინამიური კომპოზიცია "ქარბორბალა" ქართული საბრძოლო ხელოვნების პლასტიკასთან იყო სინთეზირებული.

## ქართული საბრძოლო ხელოვნება მხოლოდ ხრიდოლი არ არის

ხრიდოლი, სინამდვილეში, ქართული საბრძოლო ხელოვნების მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობა - კრივია ცალი ხელით. მოვიდა დრო, ხალხმა იცოდეს, რომ, ხრიდოლის გარდა, კრივის კიდევ 7 სახეობა არსებობს, ჭიდაობისა კი - თვრამეტი. გარდა ამისა, არსებობს თუშური ხმალაობა, ხევსურული ფარიკაობა, ხევსურული კენჭაობა და კიდევ ბევრი. ერთად კი ამ ყველაფერს ქართული საბრძოლო ხელოვნება ეწოდება.

როგორც ლაშა ამბობს, ზოგადი პრინციპი ყველა საბრძოლო ხელოვნებაში ერთია - შეჩვევა იქნება, პრესის მორბილება, წინააღმდეგობის არ გაწევა თუ სხვა; იაპონურშიც, ჩინურშიც და ევროპულ საბრძოლო ხელოვნებებშიც ერთნაირია. მთავარია, რეალობაში რა ფორმებს შეიძენს. ხევსურები, მაგალითად, ხის ხმლებითაც იბრძოდნენ, წკნელებითაც და ნამდვილი ხმლებითაც, მაგრამ ვარჯიშისას ხმლები პირუკუ ეჭირათ, შემთხვევით ერთმანეთი რომ არ დაეჭრათ და ზარალი არ ენახათ. დაკენჭვა ხევსურულად მსუბუქი ჭრილობის დადებას ნიშნავს, ისევ იმ მიზეზით, ჩხუბს დიდი ზარალი რომ არ მოჰყოლოდა. კენჭაობის დროს სიმძიმის ძალას მხოლოდ მაჯაში დებდნენ და იქიდან უტევდნენ. სანამ ბრძოლას დაიწყებ, უნდა მოემზადო, ხასიათში უნდა შეხვიდე. საამისოდ, მებრძოლი ტორღვებას, ხმლების ტრიალს იწყებს. მებრძოლი და ხმალი ერთი მთლიანობაა - ხმალი, უსულო საგანი კი არა, ხელის გაგრძელება უნდა იყოს. ტორღვების უმაღლესი ხარისხი მიიღწევა მაშინ, როდესაც ხმალი სიმღერას იწყებს.



*კომპოზიცია "ქარბორბალა" და ხევსურული ფარიკაობა.*



*გიორგი წითრიაშვილმა ირმულის შესრულების დროს ჭვარედინი მყესი დაიზიანა; ექიმები ამბობდნენ, - ახლა მოძრაობა უნდა უჭირდესო, - მაგრამ, ხმალსაც მშვენივრად იქნევს და ფეხებსაც კარგად ხმარობს.*



*ტორღვების უმაღლესი ხარისხი მიიღწევა მაშინ, როდესაც ხმალი სიმღერას იწყებს.*



*მებრძოლი და ხმალი ერთი მთლიანობაა - ხმალი, უსულო საგანი კი არა, ხელის გაგრძელება უნდა იყოს.*



*თუშეთში ძალიან გავრცელებული იყო ორი ხმლით ხმალაობა; ამ დროს მთავარი მონაცვლეობის პრინციპი იყო - ხან ერთი ხმალი იღებდა თავის თავზე ფარის ფუნქციას და ხან - მეორე. ეს, თავისთავად, "ინ-იანის" ჩინურ პრინციპთან დგას ახლოს.*



## ახალი სამუზეუმო პოლიტიკა და ახალი მოდა - სამუზეუმო გამოფენები



B2

## კვირის მიმოხილვა



მინიმალისტური ეროტიკა, ანუ ყურებით უყურე, ხელით ნუ შეეხები

B3

## დიპლომანტები სამეფო უბნის თეატრში



"ერთადერთი რასაც ჩვენი სტუდენტებისგან მოვითხოვთ და ვაფასებთ, მაქსიმალურად ფანტაზიისა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაა".

B8

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

დროის ათვლაში ერთი საათით უკან დავიხიეთ და, როგორც ამბობენ, ევროპას მივუახლოვდით. ადრე, საბჭოთა ხელისუფლების ვისთვის შავბნელ და ვისთვის სანატრელ წლებში, ქართველებს ერთი სადღეგრძელო ჰქონდათ და მას, უფრო ხშირად, რუსულ ენაზე წარმოთქვამდნენ ხოლმე რომელიმე "რე-სე-ფე-სე-რელი" სტუმრის თანდასწრებით: "გაუმარჯოს პატარა ქალაქ თბილისს, რომელიც დიდ მოსკოვზე ერთი საათით ადრე იღვიძებს". ეჰ, სიამაყის კიდევ ერთი საბაბი წაგვერთვა და ეროვნული თვითმყოფადობის კიდევ ერთი საფუძველი გამოგვეცალა ფეხქვეშ! რას გვიშვრება ეს გლობალიზაცია!..

სამაგიეროდ, "24 საათი" არ გვივიწყებს და გვამხნევებს: *პრეზიდენტი ჩვეულ ფორმაშია* (იხ. 26 ივნისის ნომერი): "წითელა" თურმე სულ ტყუილი ყოფილა, თანაც აქვე ვკითხულობთ, რომ "**პრეზიდენტის გამოჯანმრთელების ფაქტი გუშინ საღამოს "რუსთავი-2"-სთვის სააკაშვილის მიერ მიცემული ინტერვიუთიც დადასტურდა**". ამ ინტერვიუს მეც ვუყურე და პრეზიდენტი მართლაც ჩვეულ ფორმაში მყოფი მეჩვენა, თუმცა კი გადატანილ ვირუსულ ინფექციას მცირეოდენი ზარალი მაინც მიუყენებია მისი გემოვნებისათვის: შევამჩნიე, რომ პრეზიდენტის უკან ვიღაცას აეყუდებინა მამუკა ჯინჭარაძის დაფინანსებული და ნესტან კირთაძის რედაქტირებული წიგნი "ქრისტეს ნათელი". იმედია, სახელმწიფო მეთაურს სულ მალე გაუვლის უძლურების უკანასკნელი კვალი და იმ გამოსაჩენ ადგილს ბიბლია დაიკავებს.

ასე რომ, შეგვიძლია მშვიდად ამოვისუნთქოთ... ძალიან კი დაგვეტყო შეშფოთება. ჩემს ეზოში ქალები ეუბნებოდნენ ერთმანეთს: კახეთში ვიღაც მოხუცს უთქვამს პრეზიდენტისთვის, შვილო, ყველა ხატს ნუ ჰკოცნი, მოწამლული არ იყოსო.

არ ვიცი, მართალია თუ არა ეს ამბავი, მაგრამ ერთ რამეს კი ამტკიცებს: გინდა საათი გადაუწიე და გინდა ნავთობსადენი გაუყვანე ეზოში — ქართველი ხალხის საღ აზროვნებას მაინც ვერაფერი მოერევა!

ქართველი ხალხი მშვიდობით იყოს, აი, მედიას კი ნამდვილად ღმერთი გაუწყრა. ეს რამდენიმე დღეა, ჩვეულებას ვუღალატე და ქართული გაზეთების კითხვას მივყავი ხელი. თქვენს მტერსა და ავს, რასაც მე იქ წავაწყდი. მაგრამ ახლა ამაზე თავს არ შეგაწყენთ, იქნებ ისე, პრეს-ომბუდსმენობისაგან თავისუფალ რომელიმე დღეს მოგაწოდოთ ორიოდე სტრიქონი. ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ პროფესიონალიზმი და ანალიზური სიღრმე კი არა, უბრალოდ საღი აზრიც კი სასიხარულოა ჩვენთვის.

საღი აზრის მარგალიტები აქა-იქ გასული კვირის "24 საათშიც" მიმოიფრქვა. მაგალითად, 26 ივნისს სტუმრად პროფესორი **დავით ლორთქიფანიძე** გვყავდა, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოვალეობას ასრულებს. მან **მაია ჭალაგანიძესთან** საუბარში ისეთი წინადადება წარმოთქვა, რომელიც, ჩემი აზრით, არა მარტო "24 საათის", არამედ მთელი ქართული მედიის სამოქმედო პროგრამად რომ იქნეს არჩეული, ძალიან კარგი იქნება. წინადადება კი ასეთია: "**ქვეყანას პოლიტიკურ მნიშვნელობას მხოლოდ პოლიტიკოსები არ ანიჭებენ**". ტყუილად კი არ აარჩია ინტერვიუს ავტორმა მთელი პუბლიკაციის სათაურად სწორედ ეს ფრაზა...

მიუხედავად გარეგნული სიმარტივისა და თანდაყოლილი სიცხადისა, ეს აზრი ნამდვილად იმსახურებს დაწვრილებით მსჯელობას. მართლაც, პოლიტიკოსები არავის ანიჭებენ რაიმე სახეს: უპირველეს ყოვლისა, ისინი თვითონ იბრძვიან სახის მოსაპოვებლად: "**სერიოზული დაპირისპირება არა საარჩევნო სუბიექტებს, არამედ ჯერ ნაციონალების საარჩევნო შტაბის უფროს ზაზა გოროზიასა და პარლამენტარ კობა დავითაშვილს, შემდეგ უსკო-ს თავმჯდომარეს, ირაკლი ფაღავასა და პარლამენტარ კობა დავითაშვილს, მოგვიანებით კი პრეზიდენტის რწმუნებულს, ლევან ვარშალომიძესა და კვლავ პარლამენტარ კობა დავითაშვილს შორის მოხდა**" (21 ივნისი, *აჭარამ საკუთარი არჩევანი გააკეთა*).

ხომ ხედავთ, როგორ იბრძვიან პოლიტიკოსები სახის მოსაპოვებლად? — ლამის სახის დაკარგვას არ მოერიდონ!

ქვეყნის პოლიტიკურ სახეს კი ჩვენ ყველანი ვქმნით — პოლიტიკოსები, უკეთეს შემთხვევაში, მას მხოლოდ გამოხატავენ და უფრო ხშირად კი ჩვენ მიერ შექმნილით სარგებლობენ.

ახლა კი 26 ივნისის ინტერვიუს დავუბრუნდეთ. რით იყო ღირშესანიშნავი ეს ტექსტი? — ჯერ ერთი, ყოველგვარი იდეოლოგიური რახარუხის გარეშე გავიგე დმანისის აღმოჩენის ისტორია. და მეორეც... მაგრამ ეს უფრო ძნელი ასახსნელია, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის დახმარების გარეშე ვერ მოვახერხებ.

23 ივნისს "24 საათში" დაიბეჭდა **ნინო ცინცაძის** ინტერვიუ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, **ალბერტ თავხელიძესთან**. სათაური აქაც საგულისხმო და სიმპტომატურია: *ჩვენ თაობათა ცვლის კი არა, ფულის პრობლემა გვაქვს!* ტექსტი საკმაოდ დამუშავებულია და მას ნინო ცინცაძის ქართული უფრო ეტყობა, ვიდრე ალბერტ თავხელიძისა. მაგრამ ეს იქით იყოს... ჯერ ის ვნახოთ, როგორ პასუხობს ორი სხვადასხვა ადამიანი ერთსა და იმავე შეკითხვაზე მეცნიერების მძიმე მატერიალური მდგომარეობის შესახებ.

ალბერტ თავხელიძე:

**"ის, რაც ერთ ინსტიტუტზე საშუალოდ თვეში იხარჯება, უცხოელი პროფესორის ერთი თვის ჯამაგირია... როდესაც საერთაშორისო ან რაიმე სხვა გრანტის აღება გინდა, პირველ რიგში გეკითხებიან არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა ინტელექტუალური შესაძლებლობები გაქვს, არამედ იმის შესახებაც, თუ რა ექსპერიმენტული შესაძლებლობები გაგაჩნია. იმისათვის, რომ რამე მოიპოვო, რაიმე პროგრამაში ჩაჯდე, ბაზაც უნდა გქონდეს. ამისათვის კი ბაზისური დაფინანსებაა საჭირო. მსოფლიოში არ არსებობს აკადემიური მეცნიერება ბაზისური დაფინანსების გარეშე".**

დავით ლორთქიფანიძე:

**"ის, რომ მძიმე მდგომარეობაა, არავინ დავობს — ექსპოზიციები ცუდ მდგომარეობაშია, მნახველი კლებულობს და ა. შ., მაგრამ, არა მგონია, რომ ამ საქმეს უფულობაზე წუწუნი შველოდეს. ეს რეალობაა და უნდა განისაზღვროს, როგორ გამოვიდეთ აქედან ...**

**მეცნიერების ფუნქციაა, ვაჩვენოთ, რა არის მნიშვნელოვანი, საზოგადოებამ და ხელისუფლებამ კი უნდა გვითხრას, ვართ თუ არა მართლები".**

იგრძენით განსხვავება? — პირველის ერთადერთი უნარ-ჩვევა ორადორი სიტყვით აიწერება: выбивать финансирование. ეს ტაქტიკა ავად ცნობილ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემას უკავშირდება. უნდა ითქვას, რომ 1970-1986 წლებში მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ამ ხელოვნების უბადლო ოსტატი იყო. იმდენად გაითქვა სახელი თავისი გავლენიანობითა და ყოვლისშემძლეობით, იმდენად მფარველობდა ქართველ ფიზიკოსებს, რომ დუბნასა და სერპუხოვში ჩემი ყოფნისას იქაურებს რამდენჯერმე ჩემზეც უკითხავთ — он что, тоже выкормыш Тавхелидзе? — თუმცა ამის თქმის საფუძველს მხოლოდ ჩემი გვარი და მათი ღვარძლიანობა იძლეოდა. მაგრამ დრო იცვლება და საბჭოთა ხანისათვის დამახასიათებელი გადარჩენის სტრატეგიები ძალას კარგავს. ამის შედეგად ჩნდება, მაგალითად, ასეთი არგუმენტაცია, რომლის საშუალებით აკადემიის პრეზიდენტი მეცნიერთა შორის ხანდაზმულთა დომინანტურობას ამართლებს: "**დღეს მეცნიერების "დაბერების" ბუნებრივი პროცესი კატასტროფულ ხასიათს იღებს. წლების მანძილზე მეცნიერთა შრომის ფაქტობრივმა აუნაზღაურებლობამ, აკადემიისათვის თავსმოხვეულმა მრავალგზის შემცირებებმა მეცნიერული მუშაობა არაპოპულარული გახადა**". მომიკვდეს თავი! — აქედან ხომ პირდაპირ გამომდინარეობს, რომ წლების მანძილზე სწორედ ახალგაზრდებს არ აძლევდნენ გასაქანს და სწორედ ახალგაზრდები ყვებოდნენ "შემცირებებში". თანაც მეცნიერების დაბერების პროცესი ბუნებრივი ყოფილა! აბა, თუ ფაქტობრივად აუნაზღაურებელია მეცნიერის შრომა, ეს დაბერებული აკადემიკოსები რად ებღაუჭებიან თავიანთ ადგილებს, რად არ თმობენ დიდი ხნის წინ გაუფასურებულ პოზიციებს? უმეტესი მათგანის კარიერა ხომ უკვე წარმატებით დაგვირგვინდა და შესრულდა? ალბათ ჩვენში კარიერა რაღაც სხვა რამეს ეწოდება...

მაგრამ ამაზე ლაპარაკი უკვე მოსაწყენია. ჯობია, დავით ლორთქიფანიძის ინტერვიუდან ერთი ადგილი გავიხსენოთ: "**აფრიკის მთელ ტერიტორიაზე გათხრები მიმდინარეობს, წარმატებებია კენიაში, ტანზანიაში ... მაგრამ ვერ ნახავთ, რომ ამ გათხრებს კენიელი ან ტანზანიელი არქეოლოგი ხელმძღვანელობდეს**". რატომ? რა თქმა უნდა, უფულობის გამო არა — სურვილი რომ ჰქონდეთ, კენიაშიც და ტანზანიაშიც საქართველოზე ბევრად უფრო მეტს დახარჯავდნენ მეცნიერებისთვის. ყველა პრობლემის გასაღები ჯიბეში კი არა, თავში ინახება. ასე რომ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა: ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული განათლების სისტემის ჩამოყალიბებაა.

იდეოლოგიისადმი ყოველთვის რაღაც განსაკუთრებით ემოციურად ვართ განწყობილნი — ან გვეზიზღება და გავურბით, ან ვაღმერთებთ და ვესწრაფვით. მაგრამ ამასაც ხომ სჭირდება სკოლა, ყველაფერი ხომ მზა სახით ციდან არ ვარდება! ამ ბოლო დროს სულ გვიჩიჩინებენ, უკვე გვაქვს ჩვენი ეროვნული იდეოლოგია — მართლმადიდებლობაო. "24 საათიც" ბეჭდავს დროდადრო მისი ზოგიერთი წარმომადგენლის ოპუსებს. 22 ივნისს ამ ტრადიციული იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთი წარმომადგენლის, გაზეთ "მრევლის" რედაქციის მუშაკის, **გალინა ხარებაშვილის** წერილი *შავსა და თეთრს "შუა უდევს დიდი ზღვარი"*. აქ ვკითხულობთ: "**როცა უფალთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობ...**". ესეც ასე — "უფალთან დაკავშირებული თემები". ნეტა, რომელი თეოლოგიური ან, უბრალოდ, რელიგიური კულტურიდან მომდინარეობს ეს ეგზომ თავისებური ლექსიკური კონსტრუქტი?

ვაცხადებ კონკურსს: ვინც დამიმტკიცებს, რომ საქართველოს გარდა სადმე შესაძლებელია გამოქვეყნდეს ქვემოთ მოყვანილი ან მათი მსგავსი წინადადებები — тематика, связанная с Господом, Lord connected issues, themes concerning Lord — პირადად ჩემგან მიიღებს ორ ლარს.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს უსაფუძვლო ქილიკი იყოს. მერამდენედ უნდა შევაწყინო თავი მკითხველს ისეთი ტექსტის განხილვით, სადაც ავტორს ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია მოზარდთა სქესობრივი აღზრდა და უხამსობა? ამათ კი მართლაც "შუა უზის დიდი ზღვარი" — სწორედ რომ "უზის" და არა "უდევს": ასე წერია "ვეფხისტყაოსანში".

მაინცდამაინც კიდევ ერთხელ უნდა მივეცეთ გაკვირვებას იმის გამო, რომ რუსეთის ბოლო იმპერატორის, ნიკოლოზ II-ის სახელზე თუ არ ვილოცეთ, მართლმადიდებლები არ ვყოფილვართ — ეს დალოცვილი ხომ "**ბოლო შემკავებელი, მართლმადიდებლობის უკანასკნელი საყრდენი იყო ამ ცოდვილ მიწაზე**". წმინდანები გამოგველია თურმე! რატომ **წმ. გრიგოლ ფერაძეზე** კეთილს არაფერს ამბობს გაზეთი "მრევლი"? — რატომ მის ნაწერებს ვერ იყიდი ვერც ერთ ქართულ ტაძარში, სადაც მრავლად მოიპოვება "მესამე რომის" ყავლგასული სულიერი მემკვიდრეობა, რომელზედაც ჭკვიანი რუსები უკვე კარგა ხანია მოკრძალებული და მაინც მრავლისმეტყველი ღიმილით პასუხობენ? მარტო "მესამე რომი" და მისი იმპერია რომ იყოს, კიდევ არაფერი — ეს უკვე სამუდამოდ გამქრალი წარსულია. მაგრამ სულ უფრო ხშირად ისმის ცნობა, რომ სამების საკათედრო ტაძრის გახსნა შემოდგომაზე **ვლადიმირ პუტინის** ვიზიტს უნდა დავამთხვიოთო!

სიტყვამ მოიტანა და 22 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ერთი მასალა უნდა გავიხსენო: ქართველ მუსიკოსს ეხება, რომლის სახელი მთელ ტექსტში ასე იბეჭდება — **ტუსЯ ბერიძე**. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ იმავე მუსიკოსის სახელი რომელიმე რუსულ გაზეთში ასე დაბეჭდონ: Туся Бериdе. ბოლოს და ბოლოს უნდა მივეჩვიოთ იმ აზრს, რომ ეს ერთი და იგივე იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უფრო იციან რუსული, ვიდრე რუსეთში — ქართული. აქ არაა ლაპარაკი ქსენოფობიაზე და "ანტირუსულ" განწყობაზე: უბრალოდ, უნდა ამოიძირკვოს ერთგვარი სულიერი ასიმეტრია, უფროს-უმცროსობის კომპლექსი, რომლის ერთ პოლუსზე ტანჩია ლენინგრადელი ბიჭუნასადმი მიძღვნილი პომპეზური ცერემონია დგას, მეორე პოლუსზე კი — ტრანსკრიფციის კურიოზული სიმახინჯე.

და რადგან ლოგიკის თანახმად (გალინა ხარებაშვილს ჰყვარებია ძალიან "ლოგიკური კატეგორიები"), ცრუ დებულებიდან ნებისმიერი დებულება გამომდინარეობს, ეს სულიერი თუ გონებრივი ასიმეტრია შეიძლება იმის მიზეზიც გახდეს, რომ მართლმადიდებლობა საშიშ მანძილზე მიუახლოვდეს ფაშიზმს. სწორედ ამას ჩაგვაგონებს **მაია გურაბანიძის** 22 ივნისს გამოქვეყნებული სტატია *"ჩვენ ქართველები ვართ! ჩვენ მართლმადიდებლები ვართ!"*: "**აბა, რა განსხვავებაა — "შენ რუსი ხარ", "შენ კათოლიკე", "შენ სომეხი", "შენ გრეგორიანელი" და ა. შ. ნაციონალიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის ყველაზე საშინელი გამოვლენა ფაშიზმი და ფუნდამენტალიზმია**".

ჩინელ მოაზროვნეს, ლათინურ ტრადიციაში კონფუციუსად მოხსენიებულს, ერთხელ ჰკითხეს, რას იზამდა ის, ყოვლისშემძლე რომ ყოფილიყო. ყველა სიტყვას მის პირვანდელ მნიშვნელობას დავუბრუნებდიო, უპასუხა კონფუციუსმა. ახლა არ მახსოვს, ასეთი იყო თუ არა კითხვა, მაგრამ პასუხი ნამდვილად ზუსტია. ოღონდ ამას მართლაც ყოვლისშემძლეობა სჭირდება, რადგან ძნელია ყოფითი მეტყველების დონეზე ამოძირკვო უდიდესი სოციალური ბოროტება. სხვა გზა კი არ არის: ბოროტება სიტყვებს შორის ბუდობს, მეტყველების განსაკუთრებულ თავისებურებებში. იქიდან უნდა ამოიძირკვოს, თორემ ვერ დამარცხდება.

აქ დროა დავუბრუნდეთ პროფესორ დავით ლორთქიფანიძის სიტყვებს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ სახეს მხოლოდ პოლიტიკოსები არ ქმნიან და ამ აშკარა ჭეშმარიტების ბნელ მხარესაც შევეხოთ. ჩვენი ქვეყნის სახეს ბევრი რამ ქმნის, საერთო ჯამში ის, ალბათ, საკმაოდ ლამაზიც არის, თუმცა მუწუკებიცა და წყლულებიც შეიმჩნევა მასზე. მაგალითად ასეთი: "**გასაგებია, რატომაა მასონობა ტაბუდადებული თემა მედიის საშუალებებისათვის — მათი ხსენება ხომ საერთოდ არაა, თუმცა ამ ბოლო დროს ხდება რიგი ინფორმაციების გაჟონვა ... რამდენიმე თვის წინ ტელეარხებმა ასევე გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გაწევრიანდა ე. წ. "მონაკოს კლუბში". და კიდევ: ცენტრალური ტელევიზიის პირველი არხით გაჟღერდა, რომ რამდენიმე კვირის წინ აშშ-ში სამკაციანი ქართული სახელმწიფო დელეგაცია ზ. ჟვანიას, ზ. ნოღაიდელისა და გ. ბეჟუაშვილის შემადგენლობით, შეხვდა მართლმადიდებლობის, ქართველობისა და ზოგადად, კაცობრიობის დაუძინებელ მტერს ზ. ბჟეზინსკის**". არა, ეს "24 საათი" არ გახლავთ, ამ გაზეთს გაცილებით უფრო საინტერესო სათაური აქვს: "აცხოვნე სული შენი" (2004, № 4). ახლა გავიგე, რომ თურმე მასონებისგან ვყოფილვართ მოსყიდულები და იმიტომაც არ ვამჟღავნებთ, რომ მასონები გვმართავენ და ჩვენი ხელისუფლებაც ლამის მასონებითაა დაკომპლექტებული. ახლა ისღა დაგვრჩა გასაგები, რამდენად მოგვისყიდეს.

სწორედ ამ და მსგავსი უგუნურების გამოა შეშფოთებული მეუფე **გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი**, რომლის მიმართვა კათოლიკოს-პატრიარქისადმი "24 საათმა" 26 ივნისს გამოაქვეყნა. მღვდელმთავრის აზრები საგულისხმოდ ეხმიანება ჩვენს ძირითად იდეას: "**ერთმანეთს ენაცვლებოდა პრობლემები და მათ მიმართ არსებული დამოკიდებულება. ცხოვრების ასეთი დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ დროის შესაბამისი სამეტყველო ენის დეფიციტი იწვევს გაუცხოებას და ისტორიული განვითარების გზაზე ჩამორჩენას**". ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვთქვათ: საცა ეპისკოპოსია, იქვეა ეკლესიაც.

ძნელია სიტყვებთან ჭიდილი, მძიმეა ახალი ენის შობა. მაგრამ ეს გარდაუვალია, უფრო მეტიც, ეს ერთადერთი მისაღები და ღირსეული გზაა ადამიანისთვის, რადგან ყველა საზოგადოება, რომელიც ამ სახელს იმსახურებს, ჭეშმარიტებას უნდა ეძებდეს. ამ მხრივ კი ისევ მეუფე გრიგოლის იმედიან სიტყვებს მოვიმარჯვებთ: "**ჭეშმარიტების პრივატიზაცია შეუძლებელია, იგი ხომ ყველასათვის არის მოცემული და მას ვერც დაშინებით და ტერორით წაართმევ ადამიანს და ვერც ხელკეტებით ჩაუტენი თავში**".

და სანამ ასეთი რამ არ მომხდარა, ნუ გვისაყვედურებთ, ძვირფასო ფუნდამენტალისტებო: ჩვენ ხომ იმაზე ვერაფერს გამცნობთ, რაც არ გვინახავს, ვერც იმას ვამხელთ, რაც არ არსებობს, ბოლოს და ბოლოს, მართლმადიდებლობის, ქართველობისა და ზოგადად კაცობრიობის მეგობრები ვართ.




საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# გახსოვდეს მომნუსხველი "შაქტი"

## ფესტივალის პირველი დღე: მედიტაცია და ვირტუოზულობა

ვერა ნეფარიძე

*მართლა განსაკუთრებულად დაიწყო წლევანდელი ჯაზფესტივალი. გინახავთ ოდესმე საქართველოს პირველი ლედის ისეთი სერიოზული და გასართობი მნიშვნელობის მუსიკალური ღონისძიება გაეხსნას, როგორიც თბილისის ჯაზფესტივალია? სანდრა რულოვსის ფუნქცია - ფესტივალის პატრონაჟობა რომ მხოლოდ ფორმალობა არ ყოფილა, ფესტივალის პირველივე დღეს დადასტურდა; როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, სწორედ პირველი ლედის ჩარევის შემდეგ, მოსკოვში საქართველოს საელჩოს დახმარებით გახდა შესაძლებელი მოძებნილიყო ჯონ მაკლაფლინისა და მისი ჯგუფის -* Remember Shakti-*ის ინსტრუმენტები. და ესეც რომ არა, ძნელია არ დაეთანხმო ფესტივალის გენერალური სპონსორის - "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტს. "საქართველოს პირველი ლედის მონაწილეობა, ფესტივალს თავისებურ ხიბლსა და სილამაზეს ჰმატებს", - თქვა ვლადიმერ პატეიშვილმა დიდ საკონცერტო დარბაზში ფესტივალის გახსნაზე.*

"არაერთ დიდ ჯაზფესტივალზე ვყოფილვარ ამერიკაში. ჩემთვის დიდი პატივია თბილისის ჯაზფესტივალზე სტუმრობა. ცნობილია, რომ ჯაზი ამერიკის მუსიკაა. ჯაზი ხდება მსოფლიოს მუსიკა. გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ ჯაზი საქართველოს მუსიკაცაა", - ეს კი ფესტივალის ამერიკელი სტუმარი, პროფესორი ჯერალდ ერლია, რომელიც სცენაზე ინგლისელი და ინდოელი მუსიკოსების გამოსვლამდე მიესალმა ფილარმონიის აუდიტორიას. ფესტივალის გახსნის ოფიციალურობა ამით ამოიწურა. თუმცა, პირველი დღის განსაკუთრებულობის მიზეზი წინ გვქონდა. ვინ აღარ იყო შაბათს ფილარმონიაში; მელომანებსა და პროფესიონალ მუსიკოსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დარბაზში ისინიც კი იყვნენ, ვინც ჯაზის მოყვარულობას არ იჩემებენ. მათი კონცერტზე დასწრების მიზეზი ნამდვილად გასაგებია - მაკლაფლინის სტუმრობა თბილისში უდავოდ მოვლენაა და თუკი საშუალება გაქვს, არ უნდა გამოტოვო.

არ უნდა გამოტოვო იმ შემთხვევაშიც, თუკი გაუცხოებული ხარ იმ მუსიკასთან, რასაც ჯონ მაკლაფლინი უკანასკნელი წლების განმავლობაში ინდოელ მუსიკოსებთან ერთად ქმნის. Remember Shakti-ის მუსიკაში იმდენად ღრმადაა შეზრდილი დასავლური სამყაროსთვის ნაცნობი და მისთვისვე უცხო რიტმები, ჰარმონია, რომ თავიდან, შესაძლოა, დაგთრგუნოთ კიდეც. პირადად ასე დამემართა, როდესაც ინდური წეს-ჩვეულებისამებრ ძირს მსხდომი მუსიკოსების მოსასმენად, ეგზოტიკისთვის განვეწყვე. მაგრამ, შანკარ მაჰადევანის მედიტაციური ვოკალის გაჟღერებისთანავე მივხვდი, რომ ეს გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ეგზოტიკაა. საკუთარმა



ბესო გულაშვილის ფოტო

*Remember Shakti-ის მუსიკაში იმდენად ღრმადაა შეზრდილი დასავლური სამყაროსთვის ნაცნობი და მისთვისვე უცხო რიტმები, ჰარმონია, რომ თავიდან, შესაძლოა, დაგთრგუნოთ კიდეც.*

პირველმა შთაბეჭდილებამ მიმტყუნა - უკვე მეორე კომპოზიციაზე, სცენიდან წამოსული ჟღერადობა აღარ იყო ისეთი უცხო. შესაძლოა, იმის გამოც, რომ ინდოელი შემსრულებლების: ვინა იაკრამ სელვაგანეშის (პერკუსია) და ზაქირ ჰუსეინის (ტაბლა) მაღალოსტატური ინსტრუმენტ-პაექრობა (რასაც შიგადაშიგ იმპროვიზაციას ვოკალისტი უკეთებდა), შეცვალა, უბრალოდ, არაჩვეულებრივმა მუსიკამ, სადაც ინდურ ეთნიკურ რიტმებს ფონად მიჰყვებოდა მაკლაფლინის შესრულებული დასავლური მუსიკის სტანდარტული ფრაზა. ამ თვალსაზრისით ეს კომპოზიცია "შაქტის" რეპერტუარში, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია, რომელიც გამოდგება ამ კოლექტივის შემოქმედებაზე ზუსტი შთაბეჭდილების შესაქმნელად. რაც შეეხება ჭაღარა ინგლისელს, მაკლაფლინი, უბრალოდ, თავის სიმაღლეზე იდგა: შეიძლება ბევრს არაფერს ამბობდეს ცალკე აღებული მისი აკუსტიკური გიტარა თუნდაც ინდურ მოტივებთან ორგანულად შერწყმული, მაგრამ მთელი კონცერტის განმავლობაში არ გტოვებდა განცდა, რომ შენ წინ მსოფლიოს უდიდესი შემსრულებელი იჯდა. ამ კონცერტამდე და აქ შესრულებულ რეპერტუარამდე კი მსოფლიოს უდიდესი გიტარისტი ძალიან დიდი და საინტერესო გზით მოვიდა: ეს იყო მაილს დევისთან თანამშრომლობა, ჯიმი ჰენდრიქსთან მუშაობის გამოცდილება და, რაც მთავარია "მაჰავიშნუ ორკესტრა", მაკლაფლინის პირველი უპრეცედენტო პროექტი, რომელმაც მთელი 70-იანი წლების მუსიკაზე მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება. მაგრამ, მაკლაფლინი Remember Shakti-ის ერთადერთი ვირტუოზი წევრი როდია. ასე რომ არ იყოს, ტყუილად როდი მოიხსენიებდნენ ამ კოლექტივს მაკლაფლინისა და ზაქირ ჰუსეინის სახელებთან ერთად. ინდური ტაბლას ჯადოქარმა (როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე) თბილისელებსაც არაჩვეულებრივი შესრულებით დაამახსოვრა თავი. ფილარმონიის აუდიტორია იმაზეც აღფრთოვანდა, რომ წინა დღით ნაჩუქარ დოლს ინდოელი მუსიკოსი შესანიშნავად იყენებდა კონცერტზე, მაგრამ სასწაული კონცერტის ბოლოს ელოდათ, როდესაც ჰუსეინის მარცხენა სოლოს განმავლობაში რიტმზე მუშაობდა, მარჯვენა კი ვირტუოზულ იმპროვიზაციაზე. არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა მანდოლინის ოსტატმა, თვალებმოციმციმე აპალაფუ შრინივასმა, რომელიც მთელი კონცერტის განმავლობაში თვალებში შეჰყურებდა გვერდით მსხდომ ორ ვირტუოზს: მაკლაფლინსა და ჰუსეინს. მაგრამ, ალბათ არასდროს დამავიწყდება, როგორ ეამბორნენ ერთმანეთის მარჯვენას ფილარმონიის მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე Remember Shakti-ის ორი ლეგენდა: ზაქირ ჰუსეინი და ჯონ მაკლაფლინი.

# ახალი სამუზეუმო პოლიტიკა და ახალი მოდა - სამუზეუმო გამოფენები

თეონა ჭაფარიძე

*ვანის ნაქალაქარი ძველი წელთაღრიცხვით მე-8-დან პირველი საუკუნის შუახანებამდე თარიღდება და იქ 22 სამარხია გათხრილი. არქეოლოგიურ ექსპედიციას 35 წელი სათავეში პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე ედგა სათავეში. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მეცნიერმა არქეოლოგიური სამუშაოების გასაგრძელებლად გერდა ჰენკელის ფონდისაგან გრანტი მოიპოვა. ექსპედიციამ ბატონი ოთარის გარდაცვალების შემდეგ მის გარეშე განაგრძო მუშაობა. გასული წლის სექტემბრის თვეში აქ კიდევ ერთი ანტიკური პერიოდის მდიდრული სამარხი გაითხარა.*

"ვფიცავ ზევსს, რომ ნამდვილად იყო ეს შორეული მოგზაურობა" - ეს ძველი ისტორიკოსი სტრაბონი ეკამათებოდა თავის წინამორბედ კოლეგას დემეტრიოს სკეფსისელს არგონავტების მოგზაურობის თაობაზე. როგორც ჩანს, მითები "ოქრომრავალ კოლხეთზე" მოსვენებას არ აძლევდა ყველა ეპოქისა და ყველა თაობის ისტორიკოსს და ყოველთვის პოპულარულ თემას წარმოადგენდა.

დღევანდელი გადასახედიდან მითები არგონავტებზე, ისევე როგორც, ვთქვათ, ტროას ომი, ისტორიის პოპ-კულტურად შეიძლება ჩაითვალოს, რომლითაც მხოლოდ ვიწრო სპეციალისტები კი არა, არამედ მასები დაინტერესდნენ. დღევანდელი ცივილიზებული მსოფლიო თავისი კულტურისა და ისტორიის იმ ნაწილს, რომელიც, შესაძლოა, "პოპად" გამოდგეს, შესაბამისად ფუთავს (რა თქმა უნდა, გამოფენები, სანახაობა და ტურიზმის სერვისი იგულისხმება) და ყიდის. ყიდის, რათა შემდეგ მუზეუმებმა თანხები კვლავ კოლექციების განახლებას, ექსპედიციებს, სამეცნიერო კვლევებსა და ისევ შოუ-გამოფენების მოწყობას მოახმაროს. ეს დასავლეთში უკვე კარგად აპრობირებული, კულტურული ბიზნესი და სამუზეუმო პოლიტიკაა, რომელიც ჩვენში პრველ ნაბიჯებს დგამს და რომელსაც (ჯერჯერობით მხოლოდ სანახაობას) შაბათს ქართველმა საზოგადოებამაც გაუსინჯა გემო. ჯანაშიას მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დავით ლორთქიფანიძემ მუზეუმის შიდა, განახლებული წითელხალიჩადაფენილი ეზოს კარი ფართოდ გაუღო თბილისურ საზოგადოებას, უცხო საელჩოთა წარმომადგენლებსა და ამ ჟესტით, ფაქტობრივად, საქართველოში ახალი სამუზეუმო პოლიტიკის დაწყება გვაუწყა.

...Эта уже давка - აღმოხდა ვანის განძეულის სანახავად რიგში ჩამდგარ ერთ ქალბატონს.

но культурная - ამაყად შეუსწორა მეორემ. ჯანაშიას მუზეუმის გაჩირაღდნებულ და განახლებულ შიდა ეზოში (შეგახსენებთ მუზეუმი წლების მანძილზე ჩაბნელებული იყო) ტყვიაგაუმტარი და დაცვიანი ვიტრინებისაკენ რიგი ნელა მიიწევდა წინ. განახლებული შადრევანი ჩართეს. დიდ მონიტორზე კი პროექტორით ექსპონატების სლაიდებს აჩვენებდნენ. დამთვალიერებელი, ვიდრე რიგი მოუწევდა, წინასწარ იღებდა ინფორმაციას კოლხური კულტურის უკანასკნელი აღმოჩენის შესახებ. გამოფენისათვის "ბოტანიკური ბაღიდან" ქოთნებით მცენარეებიც კი მოეტანათ: - "კოლხური ჭყორი", "კოლხური სურო" - ვკითხულობდი სპეციალურად გაკეთებულ წარწერებზე. ამასობაში, პირველ ვიტრინამდეც მივაღწიე: ოქროს პატარაბურთებიან მძივებს, წყვილ სასაფეთქლეებს, რომელიც ძალიან ჰგავდა ვანის ცნობილ ცხენებიან (ეტლებიან) სასაფეთქლეებს და კიდევ რამდენიმე ოქროს ნივთს, ვიტრინის განათება ეცემოდა. ვიღაც ვიტრინაში თმებს ისწორებდა. "რა ჭრელი პუბლიკაა" - დემონსტრაციულად



იური ლობოდინის ფოტო

*პროფესორმა დავით ლორთქიფანიძემ მუზეუმის შიდა, განახლებული წითელხალიჩადაფენილი ეზოს კარი ფართოდ გაუღო თბილისურ საზოგადოებას.*

გააკეთა კომენტარი მუზეუმის ერთმა ძველმა თანამშრომელმა, რომელიც, ალბათ, მხოლოდ მეცნიერთა კონფერენციებსა და რამდენიმეკაციან, უცხოელებით დაკომპლექტებულ დამთვალიერებელთა ჯგუფებს იყო მიჩვეული და თბილისელების ასეთ თავგამოდებულ "ლაშქრობას" ოქრომრავალი კოლხეთის ეპოქაში ნამდვილად არ მოელოდა. ძალიანაც კარგია, რომ სწორედ ისეთი ხალხიც კი მოვიდა მუზეუმში (თუნდაც მოდის აყოლის მიზნით), ვინც ვიტრინაში თმებს გაისწორებს. და თუ მუზეუმში სიარული ჯერ მოდად, შემდეგ კი ჩვევად იქცა და დამთვალიერებელს აქ შესაბამისი "შოუ გამოფენები" დახვდა, მაშინ ისინი სოლიდურ თანხასაც გადაიხდიან ამ სიამოვნების მისაღებად.

თავი რომ აღარ შეგაწყინოთ პრეზენტაციის აღწერით, ექსპონატების ჩამონათვალს შემოგთავაზებთ. ამისათვის კი ვანის ნაქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ქალბატონ **დარეჯან კაჭარავას** მოვუსმინოთ.

"ეს მასალა მხოლოდ ერთი სამარხიდანაა. ის გასული წლის სექტემბერში აღმოვაჩინეთ და გავხსენით. დედაქანში გამოკვეთილ სამარხში რამოდენიმე მიცვალებული დადასტურდა. ეს ქალებისა და მამაკაცების ჩონჩხებია. ასაკი 15-იდან 35 წლამდე. ყოველ მიცვალებულს თავისი ინვენტარი აქვს ჩაყოლებული: ოქროსა და ვერცხლის სამკაულები. 4 დიდი თიხის ამფორა და სანელსახებლე ათენშია დამზადებული და იმპორტს წარმოადგენს. სამარხში ვიპოვეთ ბრინჯაოს ფიალა, საღვინე დოქი, ვერცხლის ლარნაკი და მინის პატარა ჭურჭელი, რომელშიც თვალის შესაღები შავი ფხვნილი ეყარა. ასეთი მინის ჭურჭლები ფხვნილით ამ პერიოდის სამარხებისათვის დამახასიათებელია. საქართველოში ასეთი ფხვნილიანი ჭურჭელი 8 ცალია აღმოჩენილი, მაგრამ პირველი შემთხვევაა, როცა ფხვნილი ექსპერტიზისათვის საფრანგეთში წაიღეს. პასუხს მისი შემადგენლობის შესახებ ამ დღეებში ველით.

სამარხს **ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნის შუა ხანებით ვათარიღებთ** და ამის საფუძველს ის საბერძნეთიდან იმპორტირებული კერამიკის ტიპები იძლევა, რომლებსაც კუნძულებზე ქიოსზე და მენდეზე ამზადებდნენ.

უამრავ სამკაულს შორის სვასტიკის ფორმიან შემკრებ მძივებს ალვნიშნავდი (ეს ისეთი მძივებია, რომლის საშუალებითაც რამდენიმე ასხმას ილებდნენ, მაგრამ აქამდე სვასტიკისფორმიანი არასოდეს შეგვხვედრია. თუმცა, ვანის ძველ აღმოჩენებში და მის ცნობილ ცხენებიან სასალფეთქეებში სვასტიკა ცხენის გავაზეა ამოკვეთილი). აღმოჩენილია კიდევ ერთი ბეჭედი საბეჭდავით, რომელზედაც ინტალიო, ანუ სასიყვარულო სცენაა გამოსახული: - მამაკაცს კალთაში ქალი უზის, ქალს კი ფეხებზე გველი ჰყავს შემოხვეული.

სამარხში 4 ადგილბრივი წარმოების თიხის ჭურჭელიც აღმოჩნდა, რომელშიც 300-მდე ოქროს ნივთი იყო შენახული.

ჯანაშიას მუზეუმის გამოფენაზე აღმოჩენილი ნივთების მხოლოდ ნაწილი გამოვფინეთ, რომლებიც მუზეუმში დარჩება დაცული. დანარჩენი მასალა ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქელოგიურ მუზეუმში დამუშავდება და განთავსდება." - მიამბობს ქალბატონი დარეჯანი.

ჩვეულებრივ, რიგით და არაარქეოლოგ დამთვალიერებელს კი ვურჩევდი: თუ მეცნიერის ამ ჩამონათვალს წარმოსახვის უნარსა და საკუთარ ფანტაზიასაც მიაშველებთ, მაშინ "ოქრომრავალი კოლხეთისა" და იქ მცხოვრებთა სამყაროსა და ცხოვრების სტილსაც ჩასწვდებით და მერწმუნეთ, ეს ჰოლივუდურ კინოზე მეტად საინტერესოა. ამიტომ ეწვიეთ მუზეუმებსაც და გაერთეთ.

# პოეზიის აბრეშუმის გზა

ანა კორძაია - სამადაშვილი
თამარ სუხიშვილი

დღეს აბრეშუმის გზა მხოლოდ ძველ, რომანტიკულ საქარავნო მარშრუტს აღარ გულისხმობს - აღარც აქლემები დააჟღარუნებენ ეჟვნებს და აღარც ეშმაკი სოვდაგრები ინახავენ მოგებულ ოქროს ფართო ქამრებში. დღევანდელი აბრეშუმის გზა ის ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული სივრცეა, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს, იაპონიის კუნძულებიდან ევროპის უკიდურეს დასავლეთამდე, რომელშიც ადამიანური, მატერიალური და ინფორმაციული რესურსების უწყვეტი გაცვლა-გამოცვლა ხდება და, რაც მთავარია, კულტურათა დიალოგი მიმდინარეობს (და ვინაიდან ეს სიტყვათშეთანხმება მეტისმეტად ოფიციალურად ჟღერს, სხვაგვარად ვიტყვი: ჩვენ დამეგობრებას ვცდილობთ).

ციტატა ოფიციალური შეტყობინებიდან: "შავი ზღვა დიდი აბრეშუმის გზის საზღვაო მონაკვეთია, რომლის აღორძინებაც უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ევროპისა და აზიის მრავალი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან საქმედ იქცა". სწორედ ამ მიმართულებით წარმართა თავისი საქმიანობა საზღვაო მიმოსვლის კომპანია "**უკრფერრიმაც**" - ძირითადად, სწორედ მისი წყალობა იყო ის, რომ გასულ კვირას უკრაინელმა, რუსმა და ქართველმა ლიტერატორებმა აჭარაში რამდენიმე მშვენიერი დღე ერთად გაატარეს, ერთმანეთი მეტ-ნაკლებად გაიცნეს და, ალბათ, მომავალშიც იამხანაგებენ - ყოველ შემთხვევაში, საქმეს ასეთი პირი უჩანს (საერთოდ, "უკრფერრი" უკრაინის ხელოვნებისა და კულტურის განვითარებისთვის არაფერს იშურებს. როგორც გვიამბეს, მისი დახმარებით ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრში თუ უკრაინის თეატრში პრემიერები იმართება, რამდენიმე წლის წინათ კი ოდესის ფილარმონიის ეროვნულმა ორკესტრმა ვარნის საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა).

თავდაპირველად საერთაშორისო ფესტივალი "პოეზიის აბრეშუმის გზა" რუსული ლიტერატურული ჟურნალის, **"ოქტიაბრის"** ინიციატივა იყო. მას შემდეგ, რაც ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი და დელეგაციის არაოფიციალური მეთაური, ქალბატონი **ირინა ბარმეტოვა** გავიცანით, დავრწმუნდით, რომ ადამიანის შესახებ მსჯელობა მის საქმეთა სიდიადით არ შეიძლება: ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ქალბატონს, რომელიც საბჭოთა მოხელის ყველა ღირსებით იყო შემკული და რომლის მილანძღვის სურვილიც მთელი იქ ყოფნის განმავლობაში გვტანჯავდა, რამე კეთილშობილური საქმის წამოწყება შეეძლო - არადა, შეძლებია, თან როგორისა... "ოქტიაბრს" "უკრფერრიმ" დაუჭირა მხარი, მის კვალდაკვალ - უკრაინის გემთმფლობელთა ასოციაციამ, შემოქმედებითმა სახელოსნომ "**იუგოზაპადი**" და ტელეარხმა "**ნოვაია ოდესა**". ფესტივალის მიზანია რამდენიმე ქვეყნის შემოქმედთა სხვადასხვა თაობების ახალი დიალოგის წამოწყება.

ის, რომ ფესტივალმა ქართულ სანაპიროზე ამოჰყო თავი, უკრაინაში საქართველოს ელჩის, ბატონ **გრიგოლ ქათამაძის** დამსახურებაა, ასევე, აჭარაში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის, **ლევან ვარშალომიძისა**. უნდა გეჭორაოთ: მან ჩვენს უკრაინელ კოლეგებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა - უკრაინულადაც ილაპარაკა და მასთან ინტერვიუების შემდეგ რეპორტიორებმა ანთებული თვალებით გაგვიზიარეს, წარმოიდგინეთ, ცოლი არ ჰყოლია, არც უკრაინელი, არც ქართველიო! შეხვედრა ასევე ფოთის მერის, **ვახტანგ ალანიას** და ფოთის პორტის გენერალური დირექტორის, **ჯემალ ინაიშვილის** დახმარებით გაიმართა.



*პოეტები აბრეშუმის გზაზე.*

უკრაინელი და რუსი ლიტერატორები ხომალდ "გრაიფსვალდით" შემოვიდნენ ფოთის პორტში, სადაც მათ ხანგრძლივი მოლოდინისგან ქანცგაწყვეტილი და დასიცხული ქართული დელეგაციის წევრები დახვდნენ: **ნანა მაჭავარიანი, ირენ მახარაძე, დავით-დეფი გოგიბედაშვილი, შოთა იათაშვილი, ზურაბ რთველიაშვილი, კოტე ყუბანეიშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, გია დარსალია, ბესო ხვედელიძე, მალხაზ ხარბედია**, ასევე, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი **პაპუნა დავითაია**, რომელიც ძალიან ცდილობდა, რომ ყველაფერი საუკეთესოდ წარმართულიყო, და ამით ყველა ქართველი ლიტერატორის გული მოიგო, რაც, მოგეხსენებათ, საკმაოდ რთული საქმეა. მით უმეტეს, რომ ყველაფერი მთლად ისე ვერ წარიმართა, როგორც პაპუნას უნდოდა და ჩვენც და ჩვენს სტუმრებსაც წარმოგვედგინა; რატომ - არავინ იცის.

ასე, ვერავინ ჩამოგვიყალიბა, რატომ არ დაესწრო ბათუმში, თეატრის უზარმაზარ შენობაში გამართულ შეხვედრას არც ერთი "რიგითი" ბათუმელი. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ამ მშვენიერ ქალაქში პოეზია არავის უყვარს, ან რომ იქაურ რუსულენოვან მოსახლეობას რუსული თუ უკრაინული პოეზია არაფრად მიაჩნდა, ან რომ ანატოლი ნაიმანის თუ დიმიტრი ვედენიაპინის სახელი არავის ჰქონდა გაგონილი. სხვა თუ არაფერი, დანამდვილებით ვიცი, რომ ბათუმში პოეზიის საღამოები ძალიან უყვართ - აბა, რა მოხდა? არაფერი, უბრალოდ, არავინ არაფერი იცოდა, და ამიტომ შეხვედრა ისეთი იყო, 70-იან წლებში გვეგონა თავი: მაგიდები, მიკროფონები, სხდომის მკაცრი თავმჯდომარეები - სულ ველოდი, რომ ვინმე იტყოდა: "სიჩუმე, ამხანაგებო!" თქვეს კიდეც, ოღონდ "ამხანაგებო" კი არა, "ბატონებო", მაგრამ რა განსხვავებაა... საშინელი ამბავი იყო, დარბაზისთვის თვალი რომ გადაგევლოთ, გული დაგეწვებოდათ: **ვლადიმირ ნაუმენკო, ელენა ისაევა, მაქსიმ ამელინი, ინგა კუზნეცოვა, დიმიტრი ვედენიაპინი, ირინა ერმაკოვა, იგორ ირტენიევი, ანატოლი ნაიმანი, ოლგა ილინიცკაია, ვალერი ხაიტი, ანა სონი, ელენა პალაშეკი, ალექსანდრ ბებეხი, ვალენტინ კუბა** და **ვალენტინ ლანდა** დაუფარავად იტანჯებოდნენ. პირველი კოტე ყუბანეიშვილი აჯანყდა და ერთობ ტაქტიანად, მაგრამ მტკიცედ განაცხადა, რომ ქართველი პოეტები მოგვიანებით, ალბათ, სუფრასთან წაიკითხავდნენ თავიანთ ლექსებს, რადგან სხვაგვარად საღამო არასოდეს დამთავრდებოდა, რაც უხერხული იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს.

ამ, დეფის თქმით, სიურეალისტური შეხვედრის დასრულების შემდეგ ყველანი დიდ სუფრასთან აღმოვჩნდით, სადაც უკვე ნამდვილი, ადამიანური შეხვედრა შედგა. პოეტები და ჟურნალისტები ლექსებს კითხულობდნენ, მღეროდნენ, თავდავიწყებით ცეკვავდნენ... ერთმანეთიც გავიცანით და იმასაც მივხვდით, რომ ძალიან კარგები ვართ, ერთმანეთი ძალიან მოგვწონს და ვიმეგობრებთ, ლექსებს დავწერთ, წავიკითხავთ, გადავთარგმნით და კიდევ მრავალგზის შევხვდებით ერთმანეთს.

მოკლედ, "პოეზიის აბრეშუმის გზამ" გაამართლა, რისთვისაც ყველას მადლობას მოვახსენებთ - შეხვედრის სულისჩამდგმელებსაც, ორგანიზატორებსაც და მონაწილეებსაც.

რეცენზია

# კვირის მიმოხილვა

## მინიმალისტური ეროტიკა, ანუ ყურებით უყურე, ხელით ნუ შეეხები

დავით ანთაძე

აჭარა მიუზიკ ჰოლმა აკუსტიკური სრულყოფილებითა და ტრანს-მუსიკით განებივრებული მსმენელი კვლავ ეთნიკური ნიშნით გამორჩეული პოპ-მუსიკით მოათვინიერა. 22 ივნისს ქართული ჰანგებისთვის ნაკლებად შესაფერისმა კამერულმა სივრცემ მარიკა თხელიძის ტკბილხმოვანება აითვისა, რომელსაც ხანდახან ფონად გასდევდა ქართული ხალხური სიმღერა. მარიკა თხელიძის არცთუ უინტერესო ექსპერიმენტი "კოსმოპოლიტენი", რომელიც პაუზის გარეშე 15 კომპოზიციის შესრულებას გულისხმობდა, მსმენელმა ემოციურად განიცადა. არცაა გასაკვირი, რომ იეთიმ გურჯისა და გალაქტიონ ტაბიძის ლექსებზე ("მე და ღამე" და "ლურჯა ცხენები") საგულდაგულოდ შეთხზულ კომპოზიციებში თხელიძის ხმის გრადაცია მედიტაციურ ზემოქმედებას ახდენდა მათზე.

ჩანს, რუსუდან ბახტაძის, მიშა მდინარაძისა და ნიკა წერეთლის გარჯა ამაო არ ყოფილა; თხელიძემ შესანიშნავად გაართვა თავი მათ მიერ დამუშავებული კომპოზიციების შესრულებას და დამახასიათებელი სერიოზულობით, ხანდახან მისი ასაკისთვის უჩვეულო სიმკაცრით შეაბიჯა ვოკალური მომწიფების ასაკში. არსებითია იმაზე ლაპარაკიც, რომ თხელიძის კონცერტი იმდენად საინტერესო იყო, რამდენიც მოულოდნელი, რადგან მასში მომღერლის თითქმის ზღაპრული ზრდა შეიმჩნეოდა (კონცერტი-კოკონი). ასე უმტკივნეულოდ (უმანკოდ) შორდებოდა თხელიძე საკუთარ ბავშვობას და ამაყად მიაბიჯებდა დიდი ესტრადისკენ, რომელსაც უკვე რამდენი ხანია სერიოზულად შეჰყურებს.

სამაგიეროდ პატარა სცენის დიდი ვარსკვლავისგან განსხვავებით დიდი სცენისკენ თამამად და არასერიოზული განწყობით მიიწევდნენ ჟურნალისტები. 23 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა შოუ-პროგრამა "მუსმედია 2004". "მუსმედია 2004", რომელიც ერითმება მასმედიას და ბუნებრივია, მასთან ასოციაციას ბადებს, "ახალი ჟურნალის" ინიციატივაა, რომელსაც მხარში ამოუდგა სადაზღვევო კომპანია "იმედი L" და თბილისის მერიის კულტურის სამსახური დავით ოქიტაშვილის ხელმძღვანელობით. ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის დარგის ერთ სამინისტროში დაქვემდებარება საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხის გადარიცხვას ნორჩი რაგბისტებისთვის მეტ-ნაკლებად ლოგიკურსა და მოსალოდნელს ხდის. იმ დღეს ჟურნალისტები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ და პათეტიკურად აცხადებდნენ "გადავარჩინოთ ახალი თაობა, ვიხსნათ ისინი ნარკოტიკებისგან".

თუ ვინმეს ჰგონია, რომ მაყურებლის გართობა მხოლოდ ტელეკომპანია "202-ის" ჟურნალისტების ვალია, ცდება. ამაზე მათ იმ ჟურნალისტებმაც მიუთითეს, რომლებიც დღედაღამ დაუღალავად აფრთხობენ მაყურებელს ლოკალური კატაკლიზმებით. ერთი დღით მოთვინიერებულმა მასმედიამ ყველაფერი იღონა ავბედითი სტერეოტიპის დასამსხვრევად და ნდობის მანდატის მოსაპოვებლად თითქმის ორი საათის განმავლობაში გაისარჯა ("მუსმედია 2004-ის" ორგანიზატორებმა პრინციპულად თქვეს უარი შოუ-ბიზნესზე ორიენტირებულ ჟურნალისტებზე). გაირკვა, რომ "მუსმედია" ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია მომდევნო "შემოწირულობის" ადრესატი.

ალბათ, უფრო მეტ სკეპტიციზმს იწვევს სერგი ცქიტიშვილის აბსტრაქციული ნამუშევრები (1992 წლიდან დღემდე), რომელიც 24 ივნისს გალერეა "კოპალაში" გამოიფინა. სკეპტიციზმი აბსტრაქციონიზმისადმი, რომელშიც ბუნდოვანი და უჩვეულო ფორმა ჩვეული საგნის მსუბუქად კვაზიესთეტური დუბლიკაციაა (როგორც, მაგალითად, ცქიტიშვილთან ხალიანი ქალია), ჩვეული დამოკიდებულებაა. ფერწერის ყველაზე პრეტენზიული ჟანრი მხატვრის ფარულ ამბიციას ავლენს, რომელიც თითქოს გვაიძულებს ქვეცნობიერის გაშიფვრას. იმას, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, მხატვარი ხან ხალიან ქალს, ხან ნატიურმორტს, ხან კიდევ ღმერთი უწყის, რას უწოდებს...

"ჩემს შემოქმედებაზე ძალზედ დიდი გავლენა იქონია კანდინსკიმ, მალევიჩმა, მირომ, რომლებიც ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, საქართველოში აბსტრაქციით ნაკლებად ინტერესდებიან, თუმცა მიმაჩნია, რომ აბსტრაქცია ისეთივე კლასიკაა თანამედროვე მხატვრობაში, როგორიც ჯაზი თანამედროვე მუსიკაში", - განაცხადა სერგი ცქიტიშვილმა, რომელმაც სამშობლოში პერსონალური გამოფენა პირველად მოაწყო. ჯაზისა და აბსტრაქციის შედარება არახალია და მეტწილად იმაზე მიუთითებს, რომ ერთიცა და მეორეც განცდილი ემოციის "ილუსტრაციას" უახლოვდება.



"სად და რატომ მიფრინავენ ფრინველები?! - ეს იყო კითხვა, რომლის პასუხის ძიებასაც მთელ ცხოვრებას მიუძღვნიდა ასტამური" და რომელსაც უძღვნა ახალი რომანი "ისპაჰანის ბულბულები" ნესტან კვინიკაძემ.

ცქიტიშვილი წუხს, რომ აბსტრაქციისადმი უინტერესობას იჩენენ, მაგრამ მიძინებული ერი იმდენად ხანგრძლივ აბსტრაქციაში იმყოფებოდა, რომ ხელოვნების სხვადასხვა სფეროში რეალიზმის წყურვილი იგრძნობა. თუმცა, მხატვრის სასახელოდ უნდა აღინიშნოს ე.წ. სოციალური დაკვეთისგან აბსტრაგირებაც, რომელიც მის ფერწერას აუცილებლად მოაქცევდა სოცრეალიზმის კრიტერიუმში. სერგი ცქიტიშვილი თავისუფალი მხატვარია და მის დეფინიციისგან თავისუფალ შემოქმედებას ჯეროვნად აფასებენ სანქტ-პეტერბურგის და კაიროს საგამოფენო დარბაზებში. მეტიც, რამდენიმე დღეში მხატვარი პერსონალურ გამოფენას უკვე შტატებში გამართავს.

"სად და რატომ მიფრინავენ ფრინველები?! - ეს იყო კითხვა, რომლის პასუხის ძიებასაც მთელ ცხოვრებას მიუძღვნიდა ასტამური" და რომელსაც უძღვნა ახალი რომანი "ისპაჰანის ბულბულები" ნესტან კვინიკაძემ. 25 ივნისს მისი პრეზენტაცია კაფე "პარნასში" გაიმართა.

ნენე კვინიკაძეს მანამდე გამოქვეყნებული აქვს ლექსები და კინოჟურნალისტ ირაკლი ჩხიკვაძესთან ერთად პროვოკაციული თუ სკანდალური ლექსები, რომელშიც არანორმატიული ლექსიკის მეშვეობით ჩხიკვაძე უმტკივნეულოდ შორდებოდა ვაჟიშვილობას ("ვალენტინობის დღეზე"). ნენეს ეკუთვნის ასევე მხატვრულ-დოკუმენტური ოპუსი ჯინსების თაობაზე.

ჩიტები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ, მაგრამ აუცილებლად ბრუნდებიან. ეს ორნითოლოგიით დროებით დაინტერესებულმა ნესტან კვინიკაძემ უნდა იცოდეს. ამიტომ ბულბულების გადაფრენა უძღები შვილის მარადიული თემის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. მეტიც, ბულბულების გადაფრენა იმდენად ნოვატორული გამოდგა ფემინური დივიზიონისთვის, რომ მისი ანონსირება ლაშა ბუღაძემ, რატი ამაღლობელმა და მხოლოდ მილოცვით შემოფარგლულმა დათო ტურაშვილმა უნისონში არჩიეს.

"ისპაჰანის ბულბულები" - ეს არის ყველაზე შთამბეჭდავი ტექსტი, რომელიც ოდესმე დაუწერია ქალბატონ ნესტან კვინიკაძეს. მეტიც, არასწორხაზოვან ტექსტთან, ანუ არალინიალურ ტექსტთან გვაქვს საქმე, რომელიც ძალიან პოპულარული ხერხია თანამედროვე ლიტერატურაში", - აღნიშნა ლაშა ბუღაძემ. თუმცა, ამით არ შემოიფარგლა და "ისპაჰანის ბულბულებს" ემოციის ინტელექტუალიზირება უწოდა.

ანარქია წესრიგის დედაა, ანუ საბოლოოდ სისტემატიზირებული ქაოსი - პირობითად ასე შეიძლება შეფასდეს კვინიკაძის ოპუსი და მწერლის სტილი, რომელიც იმავე ბუღაძემ ლიტერატურულ ხტუნვას შეადარა. მეგობრობა მეგობრობით, მაგრამ ნესტან კვინიკაძის "ისპაჰანის ბულბულების" პაულო კოელიოს "ალქიმიკოსთან" ნაწილობრივ კი კორტასარის "კლასობანასთან" და მილორად პავიჩის "უკანასკნელი სიყვარული კონსტანტინოპოლში" შედარება შეიძლება ბუღაძისგან მეგობრულ რევერანსადაც აღვიქვათ. მით უმეტეს, რომ ლაშა ბუღაძე ნენე კვინიკაძეს რევოლუციურ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, პოეზიიდან პროზაში ევოლუციურად გადასულ მწერლად მიიჩნევს (ან პოეტიდან პროზაიკოსად ქცეულ მწერლად თვლის).

ბუღაძის პათოსი მეტ-ნაკლებად დაამიწა გონიოდან დაბრუნებულმა უძღებმა შვილმა დათო ტურაშვილმა (მას წიგნი არ წაუკითხავს) და ნენეს მალე გათხოვება უსურვა (ნუთუ მას წიგნი არ წაუკითხავს?!). ამრიგად პროზაული მესია და, რაც მთავარია, გენდერული ძალადობისგან გათავისუფლებული ლიტერატურა კვლავ კლასიკურ პოზაში ჩააყენეს. თუ ბუღაძე ნესტანის პროზის სახით პატრიარქალური ზღუდის რღვევაზე მიუთითებდა (იგი აშკარად მასკულინურ ჟანრს, ანუ პროზას ითვისებს), ტურაშვილი მას ირიბად იმავე პატრიარქალურ პირობებში დაბრუნებას ურჩევდა.

და ბოლოს, რეჟისორი ოთარ ეგაძე არტურ შნიცლერის პიესის "წრე" მიხედვით, რომელიც გაათანამედროვა დევიდ გერიმ, ქორეოგრაფ გია მარღანიასთან ერთად ახალ ექსპერიმენტულ ოპუსს დგამს (დეკორაციის მხატვარია სანდრო ერისთავი, მუსიკა ეკუთვნის ზურა გაგლოშვილს). მის რეპეტიციას გუშინ დავესწარით და ისიც გავარკვიეთ, რომ სპექტაკლის "პიესა ათ ინტიმურ აქტად" სამზადისი 3 ივლისისთვის უნდა დასრულდეს. მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება მასში განსაზღვრული თუ ნაგულისხმები ეროტიკის ელემენტებით კამასუტრას გახსენებს, ეგაძე პურიტანულ სანახაობას გვპირდება.

